დამოუკიდებელი და ზეპარტიული

WWW.ASAVALI.COM

# ასავალ დასავალი

2022 წლის 13 - 19 ივნისი

N 25 1437

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი

# ვარდების რეზოლუცია







2 3

## კუნილინგუს-გიქიმანტასების ხროვა საქართველოს უტევს!

**ლაშა ყორშია:**

სურვილი გამიჩნდა, სადგურზე მომღერალი ხაზარაძისთვის 14



**ლარიანი ჩამეგდო!**

**ლალი მოროშკინა:**

19 დღეს ევროპა იმ პირობებს გვიყენებს, რომელსაც აპრიორი არ შევასრულებთ!



„ჩვენთან ჯერ კიდევ არ ამბობენ, რომ ეს ომი უკრაინას პირწმინდად აქვს წაგებული!“

**თვალ-დათხრილი საქართველოს თვალ-დათხრილი სამართალი!!!**



4

## თავისუფლება - ირაკლი ხომასურიძეს!

**ირაკლი ურუმბეგაშვილი:**



ზურაბ ადეიშვილი ჰააგაში 20 თავისი ფეხით ჩამოვიდა!

„ქართველებო, იმ ევროპის იმედი გაქვთ, სადაც ჰააგაში ადეიშვილი გასართობად ჩამოდის?“

**გიგლა ბარამიძე:**



10

ევრო-პარლამენტის რეზოლუცია საქართველოში ხავერდოვანი გადატრიალების სცენარია!

**ედიშერ გვენეტაძე:**



8

**ვაფრთხილებ ყველას –** თუ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმება, აფხაზეთისა და 2008 წლის ომები მონაგონი იქნება!

«მიმიფურთხებია ასეთი ევროპისათვის!»

## «მსოფლიოში არანაირი პანდემია არ ყოფილა!» 9

**მაყვალა ბერიანიძე:**

1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი სპექტაკლი იყო!




«იქ არ იჯდა!» 12

**ნანა კაკაბაძე**

10 შეკითხვა



23

სალომე ზურაბიშვილს



6-7

40 წელი პროფესორ დავით გამეზარდაშვილის ჩამოგდებიდან



## რამდენჯერ ჩაისვარა ევროპამ საქართველოსთან? 15

*დღეს, თითქმის ორი ათწლეულის გადასახედიდან, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ვარდების რევოლუცია იყო ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲙᲐᲢᲐᲡᲢᲠᲝᲤᲣᲚᲘ ᲛᲝᲕᲚᲔᲜᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ, რადგან მან მოიტანა ნეოფაშისტური, კაცთმოძულე რეჟიმი და შავი სისტემა, რომელიც თავიდან ბოლომდე ტერორზე, სიკვდილსა და წამებაზე იდგა.*

# ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ



ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲕᲐᲠᲓᲘ ᲫᲐᲚᲐᲓᲝᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲢᲔᲠᲝᲠᲘᲡ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲓ ᲘᲥᲪᲐ!

**ვარდების რეზოლუციის** მიზანია, ხელახალი **ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲗ** საქართველოში ხელახლა დაამყაროს მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმი!

კონკრეტულად რა წერია ევროპარლამენტის მიერ მიღებულ ვარდების რეზოლუციაში?

**ვარდების რეზოლუციაში** წერია, რომ საქართველოში ადგილი აქვს ჟურნალისტების დევნას, დაშინებასა და მუქარას, ასევე მედიამფლობელთა მიმართ სისხლის სამართლის გამოძიების წარმოებას, თანაც სულ უფრო „მზარდი რაოდენობით".

**ვარდების რეზოლუციაში** მედიამფლობელთა მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის გაზშირების მაგალითად ტელეკომპანია „ფორმულას" მფლობელი, საქართველოდან გაქცეული **ᲓᲐᲕᲘᲗ ᲙᲔᲖᲔᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲐ** დასახელებული, რომელსაც საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაუსწრებლად აქვს მისჯილი 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტიდან 5 მილიონ ევროზე მეტი თანხის გაფლანგვა დაუმტკიცდა. ე.ი. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ უეცრად გამილიარდერებული კეზერაშვილი, რომელსაც ბრალი კიდევ არაერთ სისხლის სამართლის საქმეზე აქვს წაყენებული, **ᲙᲣᲜᲘᲚᲘᲜᲒᲣᲡ-ᲑᲘᲟᲘᲛᲐᲜᲢᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲠᲝᲕᲐᲡ** დემოკრატიისა და თავისუფალი მედიის ერთ-ერთ მებაირახტრედ მიაჩნია!

**ვარდების რეზოლუციაში** ასევე წერია, რომ „მთავარი არხის" გენერალური დირექტორის **ᲜᲘᲙᲐ ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲐᲡ** მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი **„საქართველოში ფართოდ აღიქმება, როგორც დღევანდელი ხელისუფლების მხრიდან კრიტიკული ხმის გაჩუმების მცდელობა".** სინამდვილეში, კუნილინგუსგიჟიმანტასების ხროვამ მშვენივრად იცის, რომ გვარამიას გასამართლება საქართველოში **„კრიტიკული ხმის გაჩუმების მცდელობად"** მხოლოდ ვიწრო წრეში — ნაცსექტასა და მასთან დაახლოებულ პატარ-პატარა სექტუკებში აღიქმება, მაგრამ **ვარდების რეზოლუციაში** მაინც წერს — **„ფართოდ აღიქმებაო"!** გესმით? ასე აღიქმებაო! ასეთი აღქმა არსებობსო! აღქმა! ფაქტი და მტკიცებულება კი არა, მხოლოდ აღქმა! აბა, **ᲙᲣᲜᲘᲚᲘᲜᲒᲣᲡ-ᲑᲘᲟᲘᲛᲐᲜᲢᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲠᲝᲕᲐᲡ** ფაქტები და მტკიცებულებები რაში აინტერესებს, მთავარია, თვითონ რას აღიქვამენ და როგორ აღიქვამენ! აკი, გვარამიაც სულ ამაზე ლაპარაკობდა — თანამედროვე სამყაროში მთავარია არა ფაქტები, არამედ აღქმებიო!

რაც მთავარია, **ᲙᲣᲜᲘᲚᲘᲜᲒᲣᲡ-ᲑᲘᲟᲘᲛᲐᲜᲢᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲮᲠᲝᲕᲐᲡ ვარდების რეზოლუციაში** „რკინის არგუმენტი" აქვს მოტანილი, თუ რატომ აღიქმება გვარამიას გასამართლება **„კრიტიკული ხმის გაჩუმების მცდელობად"...** ჰო, **ვარდების რეზოლუციაში** შავით თეთრზე წერია — **ეს საქმე საქართველოს სახალხო დამცველმა უარყოფითად შეაფასაო!** რის კანონი და სასამართლო! რა გამოძიება და მტკიცებულებები! **ᲗᲣᲠᲛᲔ, ᲚᲝᲛᲯᲐᲠᲘᲐᲡ ᲣᲗᲥᲕᲐᲛᲡ,** რომ გვარამიას პასუხისგებაში მიცემა არ შეიძლებოდა!

აი, ასე, ანი-დან ჰოე-მდე ლომჯარიას დასკვნებსა და ნაცსექტის აღქმებზეა დაფუძნებული **ᲙᲣᲜᲘᲚᲘᲜᲒᲣᲡ-ᲑᲘᲟᲘᲛᲐᲜᲢᲐᲡᲔᲑᲘᲡ** მიერ მიღებული **ვარდების რეზოლუცია,** რომელშიც ვკითხულობთ, რომ **პატიმარი სააკაშვილი, „ჰუმანიტარული მიზნებიდან გამომდინარე", ციხიდან უნდა გაათავისუფლონ და სამკურნალოდ უცხოეთში გაგზავნონ.**

და კიდევ: „ქართული ოცნების" დამფუძნებელი, საქართველოს ყოფილი პრემიერ-მინისტრი **ᲑᲘᲫᲘᲜᲐ ᲘᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘ ვარდების რეზოლუციაში** მოხსენიებულია კრემლთან დაახლოებულ ოლიგარქად, რომელიც **„საქართველოს პოლიტიკასა და ეკონომიკაში დესტრუქციულ როლს ასრულე-**

## ᲙᲣᲜᲘᲚᲘᲜᲒᲣᲡ-ᲑᲘᲟᲘᲛᲐᲜᲢᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲔᲗᲘᲗᲮᲜᲘᲚᲘ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲕᲝᲚᲣᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲔᲝᲠᲔᲑᲐᲡ ᲔᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ!

და აი, **ვარდების რევოლუციიდან** თითქმის 20 წლის შემდეგ ჩვენ წინაშეა **ვარდების რეზოლუცია,** რომელიც მიზნად ისახავს ერთადერთ რამეს — საქართველოში მოხდეს ნეოფაშისტური, კაცთმოძულე რეჟიმის რეანიმაცია და ფერფლიდან აღდგეს სისტემა, რომელიც კვლავ მასობრივ ტერორზე, სიკვდილსა და წამებაზე იქნება დაფუძნებული!

**ვარდების რეზოლუცია** — ეს არის 2022 წლის 9 ივნისს ევროპარლამენტის მიერ საქართველოს შესახებ მიღებული დოკუმენტი, რომელსაც 308 ევროპარლამენტარი აწერს ხელს და რომლითაც ქართველ ხალხს პირდაპირ ეუბნებიან: **თუ ევროკავშირში გაწევრიანება გინდათ, შეცვალეთ საქართველოს დღევანდელი მთავრობა და ხელისუფლებაში დააბრუნეთ ნაციონალური მოძრაობა!**

მოკლედ რომ მოვჭრათ, **ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ,** რომელიც ნაცმოძრაობის თანამზრახველი ევროპის სახალხო პარტიისა და სააკაშვილის რეჟიმის მოკავშირე ცალკეული ჯგუფების — კოლექტიური **კუბილიუსებისა თუ კუნილინგუსების,** კრებსითი **ჟიგიმანტასებისა თუ გიჟიმანტასების** დიდი მეცადინეობით იქნა მიღებული, საქართველოში მეორე ვარდების რევოლუციის, ანუ უსისხლო სახელმწიფო გადატრიალების მოწყობას ემსახურება!

ამიტომაც არის ეს **ᲕᲐᲠᲓᲔᲑᲘᲡ ᲠᲔᲖᲝᲚᲣᲪᲘᲐ!**



ᲙᲣᲑᲘᲚᲘᲣᲡ-ᲙᲣᲜᲘᲚᲘᲜᲒᲣᲡᲘ ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ

# ᲙᲣᲜᲘᲚᲘᲜᲒᲣᲡ-ᲑᲘᲟᲘᲛᲐᲜᲢᲐᲡᲔᲑᲘᲡ

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲕᲐᲜᲝ ᲩᲮᲐᲠᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*ბიზნესმენი*



**ჩვენ არასდროს კავშირი „როსნეფტთან" არ გვქონია.** მასთან არათუ პარტნიორობა, ურთიერთშეხებაც არ გვქონია და **ეს არის აბსოლუტურად უტიფარი ტყუილი,** რომელიც ტელევიზიით **ᲮᲝᲨᲢᲐᲠᲘᲐᲛ** გააჟღერა, რათა გადაფაროს სხვა ადამიანების ამ კომპანიაში მონაწილეობა.

„TV ᲘᲛᲔᲓᲘ"

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



**ჩვენ ვართ თავმოყვარე ერი,** უძველესი ცივილიზაციით და ამაყი ხალხით. **ისე ნუ წარმოვაჩენთ, თითქოს ვმათხოვრობთ და რაიმეს ვეხვეწებით ვინმეს.** ჩვენ არაფერს არ ვითხოვთ დაუმსახურებელს. **ჩვენ ვითხოვთ სამართლიან დამოკიდებულებას, პატივისცემის გამოხატვას.**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ"

**ᲙᲐᲮᲐ ᲙᲐᲚᲐᲫᲔ**
*თბილისის მერი*



თითოეულ ჩვენგანს რომ სანქციები დაგვიწესონ, **ქვეყანა ომში არ ჩაერთვება, ქვეყანაში იქნება მშვიდობა** და მოხდება ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. იმათ, ვითომ ქვეყნის მეგობრებად რომ გვევლინებიან, **თავიანთი ქვეყნები ჩართონ ომში.** საქართველოს არასდროს დაუხევია უკან. **ჩვენ ძალიან დიდი ხარკი გავიღეთ თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის ბრძოლაში!**

„ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲠᲔᲡᲜᲘᲣᲡᲘ"

**ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲙᲝᲑᲐᲮᲘᲫᲔ**
*„ქართული ოცნების" თავმჯდომარე*



**ჩვენი ეროვნული იდენტობის მიმართ ხორციელდება შეტევის ახალი ტალღა,** გამოარჩიეს რამდენიმე დიდი ქართველი და მათი სახელის დაკნინებით ცდილობენ, დააკნინონ ქვეყნისა და ხალხის იდენტობა. **ᲑᲔᲠᲫᲔᲜᲘᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲑᲝᲙᲔᲠᲘᲔᲑᲘ, ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲔᲑᲘ, ᲒᲕᲐᲠᲐᲛᲘᲔᲑᲘ** და სხვები არიან **ახალი დროის ბოლშევიკები,** რომლებიც დღეს ცდილობენ, პროპაგანდით დაანგრიონ ის, რასაც **მათი იდეური წინაპრები — ბოლშევიკები** 100 წლის წინათ უროთი ანგრევდნენ. რა თქმა უნდა, ჩვენ ამას არ დავუშვებთ.

„ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲐᲠᲮᲘ"

# რეზოლუცია

ბს“. **კუნილინგუს-ბიჟიმანტასები** წერენ, რომ კრემლთან ივანიშვილის პირადი და ბიზნეს-კავშირები განაპირობებს საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების პოზიციას, არ დაუწესოს რუსეთს ეკონომიკური სანქციები.

**ვარდების რეზოლუციის** ავტორები ევროსაბჭოსა და „დემოკრატიულ პარტნიორებს“ მოუწოდებენ, ივანიშვილისათვის პერსონალური სანქციების დაწესებაზე იფიქრონ **„საქართველოში პოლიტიკური პროცესების გაუარესებაში მის მიერ შესრულებული როლის გამო“.**

ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, **კუნილინგუს-ბიჟიმანტასების ხროვის** მიერ შეთითხნილი ვარდების რეზოლუცია ქართველ ხალხს ეუბნება — **სააკაშვილი, კეზერაშვილი და გვარამია ქართული დემოკრატიის მამები არიან! ნინო ლომჯარია განასახიერებს უკანასკნელი ინსტანციის ჭეშმარიტებას და მისი სიტყვა პროკურატურაზე, სასამართლოსა და კანონზე მაღლა დგას! ბიძინა ივანიშვილი და დღევანდელი ხელისუფლება საქართველოს უბედურებაა!**

შესაბამისად, **კუნილინგუს-ბიჟიმანტასების ხროვის** მიერ შეთითხნილი **ვარდების რეზოლუცია** ქართველ ხალხს გადარჩენის გზასაც სთავაზობს — **მოაწყვეთ ახალი ვარდების რევოლუცია! მოაშორეთ ხელისუფლებიდან ივანიშვილი და მისი გუნდი! დააბრუნეთ ხელისუფლებაში სააკაშვილი და მისი ბანდა!**

**კუნილინგუს-ბიჟიმანტასების ხროვის** მიერ შეთითხნილი **ვარდების რეზოლუცია** საქართველოს მოსახლეობას ერთგვარ ულტიმატუმსაც უყენებს — **თუ ახალ ვარდების რევოლუციას არ მოაწყობთ და არ დაამხობთ ხელისუფლებას, რომელიც რუსეთს სანქციებს არ უწესებს და მეორე ფრონტს არ უხსნის, მაშინ ევროპული მომავალი არ გექნებათ!** თუ ევროპული მომავალი გინდათ, ქვეყნის მართვა ჩააბარეთ ნაციონალურ მოძრაობას, რომელიც რუსეთს სანქციებსაც დაუწესებს და მეორე ფრონტსაც გაუხსნის, რათა რუსულ ჯარს უკრაინელი ქალებისა და ბავშვების ხოცვის გარდა სხვა საქმეც გაუჩნდეს, ანუ ქართველი ქალებისა და ბავშვების ხოცვაზე გადაერთოს, როგორც ეს უკრაინის თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს მდივანმა დანილოვმა განაცხადა!



2003 წლის 23 ნოემბერი – ასე მოვიდა სააკაშვილის ნეოფაშისტური რეჟიმი!

**ვარდების რეზოლუციის მიზანია, ხელახალი ვარდების რევოლუციით საქართველოში ხელახლა დაამყაროს მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმი!**

საბოლოო ჯამში, მთელი ეს **ვარდების რეზოლუცია** ერთ რამეზე მეტყველებს — **ნაცბანდის თანამზრახველი ევროპარლამენტარები ცდილობენ, საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ ხალხზე შური იძიონ იმის გამო, რომ ქართული სახელმწიფო კოლექტიურ დასავლეთში არსებული შავბნელი ძალების დირექტივას არ დაემორჩილა და უკრაინის ომის პარალელურად, რუსეთს მეორე ფრონტი არ გაუხსნა!**

დიახ, **კუნილინგუს-ბიჟიმანტასების ხროვის** მიერ შეთითხნილი **ვარდების რეზოლუცია** წარმოადგენს ქართული სახელმწიფოს დასჯის მცდელობას იმის გამო, რომ მან სუვერენიტეტის ნიშნები გამოავლინა, საკუთარი ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედება გაბედა და ქვეყანას ახალი ომი აარიდა!

ახლა ქართული სახელმწიფოსა და ქართველი ხალხის წინაშე კიდევ ერთი ეგზისტენციური ამოცანა დგას — **არ დაუშვას ვარდების რეზოლუციის საფუძველზე ვარდების რევოლუციის გამეორება, რადგან ვარდების რევოლუცია თავისი ბოროტების მასშტაბითა და სისხლის მდინარეებით თუ არ აღემატება, არაფრით ჩამოუვარდება 1917 წლის დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას, რომელსაც დიადი საბჭოეთის მოსახლეობას ნოემბერში აზეიმებდნენ — „ოქტომბრის დილა გათენდა, დღეს 7 ნოემბერია!“**

ქართველ ხალხს ის ავბედითი 7 ნოემბერიც ახსოვს, რომელიც მას ვარდების რევოლუციით მოსულმა უბოროტესმა რეჟიმმა მოუწყო!

ქართველი ხალხი ახალ **ვარდების რევოლუციას** არ დაუშვებს, ხოლო **ვარდების რეზოლუციას** დაახევს და **კუნილინგუს-ბიჟიმანტასების ხროვას** უკან ... გაუგზავნის!

**ჯაბა ხუბუა**



ქუიგიმანტას-ბიჟიმანტასი ნიკანორ მელიასთან ერთად

## ბოლოთქმის მაგიერ

# ხუნდაძე ხუნდების წინააღმდეგ!

***ევროპარლამენტის მიერ მიღებული ვარდების რეზოლუციის შესახებ საქართველოს პარლამენტის წევრმა, მმართველი უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა დიმიტრი ხუნდაძემ ასეთი განცხადება გააკეთა:***

*„გაგვიჩნდა განცდა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა კვლავ საფრთხის ქვეშაა! რა განსხვავებაა ჩვენთვის, ვინ იქნება მბრძანებელი, თუკი კვლავ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლა მოგვიწევს?! დიახ, სახელმწიფოს შიდა საქმეებში ჩარევა და მოსახლეობის უმრავლესობის არჩევანის უარყოფა ქვეყნის დამოუკიდებლობის ხელყოფის მცდელობაა.* ***ვერც ბიძინა ივანიშვილს და ვერც ქართულ სახელმწიფოს სანქციების მუქარით ვერავინ შეაშინებს.*** *რაც შეეხება ევროკავშირის მოახლოებულ გადაწყვეტილებას, თუკი საქართველო კანდიდატის სტატუსს ისეთივე უსამართლო ვალდებულებებით მიიღებს, როგორი უსამართლო ბრალდებებიც რეზოლუციაში იყო ასახული, მაშინ ქვეყანამ საპასუხოდ სამართლიანი უარი უნდა თქვას!“*

**დიმიტრი ხუნდაძე მართალს ამბობს და ქართველი ხალხის უმრავლესობის განწყობას გამოხატავს!**

დიახ, **ხუნდაძე ხუნდების, ანუ ბორკილების წინააღმდეგ გამოდის, რადგან არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ დაგვადებს მას — ჩრდილოეთი თუ დასავლეთი, სამხრეთი თუ აღმოსავლეთი! არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოსათვის დასადები ხუნდები მოსკოვში გამოიჭედება თუ ბრიუსელსა და ვაშინგტონში!**

ქართველი ერი არავის ხუნდებს არ დაიდებს!

ქართველი ერის სამოქმედო პროგრამა არის არა **კუნილინგუს-ბიჟიმანტასების ხროვის** მიერ შეთითხნილი **ვარდების რეზოლუცია,** არამედ ილია ჭავჭავაძის ანდერძი — **ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!**

# ხროვა საქართველოს უტევს!

## კვირგვინოსნები

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**კუბილიუსი და იუკნევიჩიენე** არასდროს ყოფილან საქართველოს ინტერესების გამტარებლები, ისინი **ნაციონალური მოძრაობისა და მისი ლიდერების ინტერესების დამცველები იყვნენ.**

„პირველი არხი“

**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*ხელოვნებათმცოდნე*



მართლა გჯერათ, რომ **ივანიშვილს** თუ დავკლავთ ბრიუსელში და **მიშასა და გვარამიას** თუ დავუბრუნებთ ქვეყანას, თუ დავიკიდებთ **გირგვლიანს, 26 მაისს, 7 ნოემბერს, რობაქიძეს, ასეულობით მილიონის მითვისებას, კეზერაშვილს, ადეიშვილს,** მერე მიგვიღებენ ევროკავშირში? მერე ვიქნებით ევროპელები? **მკვლელი და კორუმპირებული ჩინოვნიკები კანონზე მაღლა თუ დადგებიან,** ეს იქნება ევროპა? ასე ხდება გერმანიაში ან დანიაში? რა თქმა უნდა, არა! ყველაფერი ხელისუფლების ბრალია — **ნაცებს რომ არ სჯიდნენ, არჩევნებში საფრთხობელად რომ ჰყავდათ ურჩხული, ახლა გაიზარდა და მისი დამორჩილება ძნელია.**

„იმედინიუსი“

**ლევან ნიკოლეიშვილი**
*ექსპერტი*



სასაცილოა, რომ **ბიძინა ივანიშვილის** დაშინებას ცდილობენ და თან ვინ? **მიშა სააკაშვილის** პარტუკანები, თავს რომ ოპოზიციასა და პოლიტიკოსებს უწოდებენ. რაც შეეხება ევროპარლამენტარებს, **მართლაც, ჩალის ფასია მათი სიტყვაც და რეზოლუციაც.**

„იმედინიუსი“

**გია ვოლსკი**
*პარლამენტის ვიცე-სპიკერი*



**კუბილიუსისა და იუკნევიჩიენეს** განცხადება არის მოწოდება — **ხელისუფლება ნებისმიერი მოქმედებით შეცვალეთ** და ევროსტრუქტურებისკენ ამ შემთხვევაში გაგეხსნებათ გზა.

„პირველი არხი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



პირადად მე, ჩემს პარტიას და **ათიდან ყოველ ცხრა ქართველს მტკიცედ გვწამს, რომ ევროკავშირი წარმოადგენს ჩვენი ხალხის ოჯახს,** ისტორიულ საბოლოო დანიშნულების ადგილს.

„პირველი არხი“

# თვალდათხრილი საქართველოს თვალდათხრილი სამართალი!!!

***გასულ კვირას თბილისის საქალაქო სასამართლომ აღკვეთის ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობა შეუფარდა მოქალაქე ირაკლი ხომასურიძეს, რომელიც პოლიტიკოს დავით ბერძენიშვილისათვის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაშია ბრალდებული.***

უფრო კონკრეტულად, **მოქალაქე ხომასურიძეს,** რომელსაც 2009 წლის 6 მაისს სააკაშვილის რეჟიმმა თვალი ამოთხარა, ბრალი ედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 156-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით, რაშიც იგულისხმება **„ადამიანის დევნა სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობის, რწმენის ან მრწამსის გამო, ანდა მის პოლიტიკურ, საზოგადოებრივ, რელიგიურ ან მეცნიერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით — ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით“.** დანაშაული სასჯელის სახით ითვალისწინებს ჯარიმას, ან ერთიდან ორ წლამდე შინაპატიმრობას, ანდა 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას.

ინციდენტი, რომლის გამოც სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი **ირაკლი ხომასურიძე** ციხეში გაუშვეს, ამა წლის 6 ივნისს თბილისში, რუსთაველის გამზირზე მოხდა. კერძოდ, **ხომასურიძე და მისი მეგობარი ვეფხია ღვალაძე ქაშუეთის ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე შემთხვევით გადააწყდნენ რესპუბლიკური პარტიის ლიდერებს — დავით ბერძენიშვილსა და ხათუნა სამნიძეს. მოქალაქეებმა დავით ბერძენიშვილის მიმართ უკმაყოფილება გამოხატეს იმის გამო, რომ მისმა ძმამ ლევან ბერძენიშვილმა ერეკლე მეფე საქართველოს მოღალატედ გამოაცხადა. შელაპარაკება სიტყვიერ შეურაცხყოფასა და ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში გადაიზარდა, რის შემდეგაც ბერძენიშვილმა და სამნიძემ საპატრულო პოლიცია გამოიძახეს და ხომასურიძე და ღვალაძე დააპატიმრეს.**

როგორც **დავით ბერძენიშვილმა** „ფეისბუქში“ დაწერა, ირაკლი ხომასურიძემ მას არამხოლოდ ერეკლე მეფის გამო აგინა, არამედ **„პედერასტების დამცველიც“** უწოდა და წვივის არეში ფეხი მიარტყა, ხათუნა სამნიძის განცხადებით კი, მას და ბერძენიშვილს ხომასურიძე და ღვალაძე უყვიროდნენ — **ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, ქუჩაში დაცვის გარეშე ვერ გაივლითო!**

ასე და ამრიგად, **სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძის წინააღმდეგ მთელი სიმკაცრით ამოქმედდა საქართველოს კანონმდებლობა, რომელიც საოცრად ლმობიერი და ლოიალური ია საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე დიდი და სასტიკი დამნაშავის — მკვლელი, მწამებელი და გამაუპატიურებელი რეჟიმის შემქმნელი მიხეილ სააკაშვილის მიმართ!**

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძის მიმართ** წამითაც არ დააყოვნა მოქმედება საქართველოს კანონმა, რომელიც დღემდე უმოქმედოა **ბიძინა ბოკერიას, გიორგი ბარამიძისა და სააკაშვილის** დანაშაულებრივი რეჟიმის სხვა წარმომადგენლთა მიმართ, რომლებიც არაერთ ბოროტმოქმედებაში იმხილებიან!

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძე დავით ბერძენიშვილის შეგინებისა და წვივში ფეხის მირტყმის გამო არ დაინდო იმ ქვეყნის სამართალმა,** სადაც საზოგადოებისათვის საშიში ნამდვილი დამნაშავეები — სახელმწიფო ბიუჯეტიდან მილიონების მომპარავები, ფულის გამთეთრებლები, ბიზნესისა და მედიის დამტერორებლები, მშვიდობიანი მიტინგების დარბევის ორგანიზატორები და წაგებული ომის ხარჯზე გამდიდრებულები ოპოზიციის ლიდერებად, პარლამენტის დეპუტატებად და ტელევიზიების მფლობელებად გვევლინებიან!

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, **თვალდათხრილი ქვეყნის**




ირაკლი ხომასურიძე სასამართლო პროცესზე

## თვალდათხრილი ქვეყნის თვალდათხრილმა სამართალმა სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძე ციხეში ჩასვა!

**თვალდათხრილმა სამართალმა სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძე ციხეში ჩასვა!**

**ირაკლი ხომასურიძემ თვალი მაშინ დაკარგა, როცა სააკაშვილის რეჟიმის მიერ დაგეშილმა და სპეცრაზმელების ფორმაში გამოწყობილმა მანქურთებმა დიღომში, პოლიციის მთავარ სამმართველოსთან მშვიდობიანი აქცია „მიშა-მიშას“ სკანდირებით დაარბიეს.** ისინი ე.წ. არალეტალურ ტყვიებს დამიზნებით ესროდნენ აქციის მონაწილეებს, რომლებიც ოპოზიციის ორი აქტივისტის — **გიორგი ონიანისა და რეზი რევაზიშვილის** უკანონო დაკავებასა და პოლიციის სამმართველოში წამებას აპროტესტებდნენ. **2009 წლის 6 მაისს დამიზნებით ნასროლმა ტყვიებმა ოპოზიციის არაერთ ლიდერსა და აქციის უამრავ მონაწილეს შუბლი გაუგლიჯა, ირაკლი ხომასურიძეს კი თვალი ამოუგდო.**

საქართველო იმიტომ არის თვალდათხრილი ქვეყანა და ქართული სამართალი იმიტომ არის თვალდათხრილი სამართალი, რომ დღემდე არავის უგია პასუხი 2009 წლის 6 მაისს ჩადენილი დანაშაულისათვის! **არავინ დასჯილა იმის გამო, რომ მშვიდობიანი მომიტინგეების წინააღმდეგ არაპროპორციული ძალა და იმ დროისათვის კანონით დაუშვებელი ე.წ. არალეტალური იარაღი გამოიყენა! არავინ წარმდგარა სასამართლოს წინაშე იმის გამო, რომ სპეცრაზმელებს უბრძანა, ტყვიები დამიზნებით ესროლათ აქციის მონაწილეებისათვის!**

სამაგიეროდ, სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძე ზის ციხეში!

**ჰო, ისინი კი არ სხედან ციხეში, ვინც ირაკლი ხომასურიძეს თვალი ამოთხარა და მასთან ერთად კიდევ ბევრი ადამიანი დაასახიჩრა, არამედ ირაკლი ხომასურიძეა პატიმარი, რადგან ერეკლე მეფის მოღალატედ გამომცხადებელთა მიმართ პროტესტი მთლად კანონის ჩარჩოებში ვერ გამოთქვა!**

**ამ ქვეყანაში არ არსებობს კანონი, რომელიც დიდი ქართველი მეფეების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და წმინდანების შეურაცხყოფას, ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ფასეულობების შერყვნასა და ეროვნული იდენტობის წინააღმდეგ ბრძოლას აკრძალავს, მაგრამ არსებობს კანონი, რომელსაც, როცა მოუნდებათ, უსამართლოდ გამოიყენებენ და ირაკლი ხომასურიძის მსგავს გულანთებულ პატრიოტებს ციხეში გაუშვებენ!**

ამიტომაც არის საქართველო **თვალდათხრილი ქვეყანა** და

# თავისუფლება – ირაკლი

## კვირგვინოსნები

**გია ბაბრიძე**
*ჟურნალისტი*



ვერ იტანენ იმ სამ მილიარდს, რომელიც **ივანიშვილმა** ქველმოქმედებაში დახარჯა და **რომ შეეძლოთ, სამებას დაანგრევდნენ, ქუთაისის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტს აგურ-აგურ დაშლიდნენ, დენდროპარკს კი გადაწვავდნენ.**

„იმედინიუსი“

**დავით ქართველიშვილი**
*ანალიტიკოსი*



**სანქციების თემას გაშმაგებით წევენ,** რასთან გვაქვს საქმე? **პოლიტიკურ პარანოიასთან,** რომ **ივანიშვილის** ფინანსური დასჯით ფსევდოლიბერალური „იმპერია“ მოქმედ ხელისუფლებას გააქრობს და მათ ნაცმოძრაობით ჩაანაცვლებს?

„იმედინიუსი“

**ნინო ლომჯარია**
*სახალხო დამცველი*



ისტორია დაგიმახსოვრებთ **ყველა უქნარას და მედროვეს, ვინც ახლა მთავრობაში ან პარლამენტში ხართ** და მშვიდად უყურებთ, როგორ ნადგურდება ჩვენი უკეთესი მომავლის პერსპექტივა.

„ინტერპრესნიუსი“

**ნიკა მელია**
*ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე*



**სალომე ზურაბიშვილს,** არც მეტი, არც ნაკლები, **პოლიტიკური პატიმრების გათავისუფლება შეუძლია.** თუ მის მიერ ეს გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული, ნებისმიერ, თუნდაც სამართლიან რიტორიკას, რომელსაც იგი ავითარებს, ფასი არ ექნება.

„ინტერპრესნიუსი“

# ქვეყანა, რომელიც ლევან ბერძენიშვილს ერეკლე მეორის გინებას პატიობს, ხოლო ირაკლი ხომასურიძეს დავით ბერძენიშვილის გინებასაც არ პატიობს, თვალდათხრილი ქვეყანაა!

ამიტომაც არის ქართული სამართალი **თვალდათხრილი სამართალი!**

დიახ, **ქვეყანა, რომელიც** ლევან ბერძენიშვილს ერეკლე მეორის გინებას პატიობს, ხოლო ირაკლი ხომასურიძეს დავით ბერძენიშვილის გინებასაც არ პატიობს, თვალდათხრილი ქვეყანაა!

## დიახ, სამართალი, რომელიც ნიკა გვარამიას მთვარისა

**ლი ხომასურიძის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიების — პატიმრობის გამოყენება დიდი უსამართლობაა!** თავისუფლად შეიძლებოდა, მოსამართლეს დაცვის მხარის შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა და ბრალდებულისათვის გირაო შეეფარდებინა, ანუ ხომასურიძისათვის საშუალება მიეცა, საბოლოო განაჩენს არა ციხის საკანში, არამედ თავისუფლებაზე დალოდებოდა!

**აბსურდია პროკურატურის პოზიცია, თითქოს ირაკლი**





## ნავერიანისათვის ხელის დარტყმის გამო არ აპატიმრებს, ირაკლი ხომასურიძეს კი დავით ბერძენიშვილისათვის წვივში ფეხის მირტყმის გამო ციხეში სვამს, თვალდათხრილი სამართალია!

**ცხადია, ჩვენ ყოველგვარ ძალადობას ვგმობთ და ვემიჯნებით, მაგრამ მიგვაჩნია, რომ სასამართლოს მხრიდან ირაკ-**

**ხომასურიძე გირაოს შეფარდების შემთხვევაში მოწმეებზე ზემოქმედებასა და მტკიცებულებების განადგურებას შეეცდებოდა! ჯერ ერთი, ხომასურიძეს, რომელიც მარტოხელა კაცია და თითქმის ბერის ცხოვრებით ცხოვრობს, „მოწმეებზე ზემოქმედებისა" და „მტკიცებულებების განადგურების" არავითარი ბერკეტი არ გააჩნია!** დიახ, **ბერძენიშვილსა და სამნიძეზე,** რომლებმაც ხომასურიძეს პოლიციაში დაასმინეს, იგი ვერავითარ ზეწოლას ვერ მოახდენდა და ჩვენებებს ვერ შეაცვლევინებდა, სხვა მნიშვნელოვანი მოწმეები და ჩვენებები კი ამ საქმეში არ არსებობს! რაც შეეხება მტკიცებულებას, დიდი ალბათობით, ეს არის ქუჩის სათვალთვალო კამერების ჩანაწერები, რომლებიც პროკურატურას უკვე ამოღებული აქვს და, ცხადია, ხომასურიძე, თავისუფლებაზე ყოფნის შემთხვევაში, ვერც მათ განადგურებას მოახერხებდა!

პირდაპირ უნდა ითქვას — **სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძე ციხეში მხოლოდ იმიტომ ჩასვეს, რომ ნაცპოზიციასა და ლიბერალურ არასამთავრობო სექტორს ხმაური არ აეტეხათ — ხელისუფლება მოძალადეებს მფარველობს და განსხვავებული აზრის დევნას ახალისებსო!**

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, **სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძე** ციხეში არა კანონისა და სამართლის, არამედ პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით ზის!

**ამიტომაც არის საქართველო თვალდათხრილი ქვეყანა და ამიტომაც არის ქართული სამართალი თვალდათხრილი სამართალი!**

**სააკაშვილის რეჟიმის მიერ თვალდათხრილი ირაკლი ხომასურიძე** ძალადობრივი ნაცრეჟიმის წინააღმდეგ ქართველი ხალხის არაძალადობრივი ბრძოლის ერთ-ერთი სიმბოლო გახლავთ, მისი ციხეში ჩასმა კი იმის სიმბოლოა, რომ ნაცრეჟიმი ამ ქვეყანაში ბოლომდე ჯერაც არ დამთავრებულა!

ნაცრეჟიმი, რომელიც ამ ქვეყანაში ბოლომდე ჯერაც არ დამთავრებულა, ყვირის — **„თავისუფლება სააკაშვილსა და გვარამიას",** ხოლო დანარჩენმა საქართველომ, პატიოსანმა საქართველომ უნდა იყვიროს — **თავისუფლება ირაკლი ხომასურიძეს!**

ეს ქართველი საზოგადოებისათვის ღირსების საქმეა!

***ჯაბა ხუბუა***

# ხომასურიძეს!!!

## კვირგვინოსნები



**თეა წულუკიანი**
*კულტურის მინისტრი*

ქართველ ხალხს ჰკითხეთ, რას ფიქრობენ — **კარგია თუ არა, როდესაც კუბილიუსი გვასწავლის ჭკუას, ვინ ავირჩიოთ ხელისუფლებაში?** ქართველი ერი იმსახურებს კანდიდატის სტატუსს, რასაც მოთმინებით ველოდებით და ამ მოლოდინში ვცდილობთ, **ყურადღება არ მივაქციოთ კუბილიუსისნაირ ქართველი ერის შეურაცხმყოფელ განცხადებებს.**

„პირველი არხი"



**დავით არახამია**
*უკრაინის რადის დეპუტატი*

მე განვაცხადე, რომ **მივმართავ ევროპული საბჭოს ხელმძღვანელობას, ასევე აშშ-ს,** უკვე მქონდა საუბარი რამდენიმე კონგრესმენთან, მუდმივად გვაქვს კომუნიკაცია მათთან, რომ **განხორციელდეს პერსონალური სანქციები ბიძინა ივანიშვილის და მისი ბიზნესის წინააღმდეგ,** რომ თავიდან ავიცილოთ საქართველოს ჩაბმა უკრაინის წინააღმდეგ ომში რუსეთის მხარეს.

„აიპრესი"



**მამუკა მდინარაძე**
*ფრაქცია „ქართული ოცნების" თავმჯდომარე*

ორი გეგმაა: ერთი — **ქვეყნის დაღუპვა და ომი,** მეორე — **მშვიდობა, ევროპული გზა და მომავალი,** რაც ერთმანეთს არ ემთხვევა, ამდენად, ვერ ვემთხვევით ჩვენ და რადიკალური ოპოზიცია გეგმებში.

„ინტერპრესნიუსი"

## ტელემონიტორი

### ჯო ბაიდენი ძველებურად კინაღამ წაიქცა თვითმფრინავის ტრაპზე ასვლისას

***მომენტი, როგორ წაიბორძიკა თეთრი სახლის 79 წლის მეთაურმა, ტელეარხ „ენ-ბი-სის" კამერამ აღბეჭდა. პრეზიდენტი წაქცევისგან ტრაპის მოაჯირმა იხსნა.***

ერთი თვის წინათ, 12 მაისს, მერილენდის შტატში გამგზავრებისას ბაიდენმა ტრაპზე რამდენჯერმე დაკარგა წონასწორობა. მსგავსი რამ მოხდა 2021 წელსაც.

ამა წლის 6 აპრილს თეთრი სახლის ყოფილმა ექიმმა, წარმომადგენელთა პალატის წევრმა **რონი ჯექსონმა** განაცხადა, რომ **„ბაიდენის კოგნიტური უნარები ძალიან გაუარესდა და ის ეროვნული უსაფრთხოებისთვის პრობლემას წარმოადგენს".**



### ძალადობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში

***10 ივნისს სტუდენტების საპროტესტო აქციამ, რომელიც უკვე რამდენიმე დღეა, მიმდინარეობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ძალადობრივი ფორმა მიიღო.***

აქციის მონაწილეებმა ძალის გამოყენებით დაიკავეს რექტორის კაბინეტი, რა დროსაც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაშავდნენ დაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლები. სტუდენტებმა და გარეშე პირებმა შეურაცხყვეს პროფესორები, რექტორის თანაშემწე და ერთ-ერთი ფაკულტეტის დეკანი. ისინი მოითხოვენ თსუ-ის რექტორის გადადგომას, გამოცდების ონლაინ ჩაბარებას, საერთო საცხოვრებლის აშენებას და უნივერსიტეტის ხარჯების გამჭვირვალობას. როგორიც უნდა იყოს სტუდენტთა მოთხოვნები, ასეთი ძალადობა ცოდნის ტაძარში დაუშვებელია. ის, რაც უნივერსიტეტში მოხდა, სააკაშვილის ხროვისა და ნეოლიბერალების ხელში განათლების სისტემის დატოვების შედეგია.



### „ცარიელი ქვაბების მარში" კიშინიოვში

***ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები — საქართველო, მოლდოვა და უკრაინა — ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსზე წარდგენილი განაცხადის პასუხს ელოდებიან. დღეს უკრაინა კვლავ ცეცხლის ალშია გახვეული, საქართველოში ტყვიას არ ისვრიან, მაგრამ შინაური თუ გარეშე მტრები გაშმაგებით ცდილობენ ქვეყნის ომში ჩათრევას. აი, მოლდოვის დედაქალაქ კიშინიოვში კი „ცარიელი ქვაბების მარში" გაიმართა.***

სავაჭრო ცენტრების, ბაზრებისა და მცირე საწარმოების რამდენიმე ასეულმა მუშაკმა მთავრობის სასახლესთან საპროტესტო აქცია გამართა. **აქციის მონაწილეები ცარიელ ქვაბებზე კოვზებით დარტყმით შეეცადნენ ხელისუფლების ყურადღების მიპყრობას პროდუქტების გაძვირებისა და მოსახლეობის გაღარიბების ტენდენციებისადმი.** მათ მთავრობა დაადანაშაულეს, რომ დახმარების ნაცვლად მოსახლეობას დასცინის და ქამრების შემოჭერისკენ მოუწოდებს.



### ბოლივიაში პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებელს თავისუფლება 10 წლით აღუკვეთეს!

***სასამართლომ სახელმწიფო გადატრიალების მოწყობის მცდელობის გამო 10-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა ბოლივიის პრეზიდენტის მოვალეობის ყოფილ შემსრულებელს ჟანინ ანიესს.***



ანიესი 2021 წლის 13 მარტიდან არის დაპატიმრებული. მას ამბოხების წაქეზებასა და 2019-2020 წლებში ხელისუფლების სათავეში ყოფნისას კანონსაწინააღმდეგო ნორმატიული აქტების მიღებაში ადანაშაულებენ. **ანიეს** გარდა, დაკავებულები არიან რამდენიმე ყოფილი მინისტრი და სამხედრო-საჰაერო ძალების სარდალი.

# 40 წელი პროფესორ დავით გამეზარდაშვილის ჩამოგდებიდან



## ზუსტად 4 ათეული წლის წინათ შეთქმულებმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამაარსებელი და პირველი დეკანი გაწირეს!

*უნივერსიტეტში ბოლო ჟამს განვითარებულმა მოვლენებმა, როდესაც სტუდენტებმა რექტორზე მიიტანეს შტურმი, უნებურად გაგვახსენა სულ სხვა შინაარსის მოვლენა ერთ დროს მართლაც ალმა-მატერის ისტორიიდან.* ***40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან გათავისუფლებულ იქნა ჟურნალისტიკის განყოფილების დამაარსებელი და ამავე ფაკულტეტის პირველი დეკანი, სიკეთით და ადამიანურობით აღსავსე კაცი, პროფესორი დავით გამეზარდაშვილი. ამ ფაქტიდან სამი წლის შემდეგ ის გარდაიცვალა, ვერ აიტანა საყვარელი უნივერსიტეტის კედლების დატოვება და იმ მოწაფეთა ღალატი, რომლებიც შვილებად მიაჩნდა და რომლებზეც უდიდესი ამაგი ჰქონდა. 40 ტკივილიანი წლის შემდეგ ვესაუბრებით დავით გამეზარდაშვილის ვაჟს, პროფესორ ზურაბ გამეზარდაშვილს, რომელიც იხსენებს წარსულს, თავის ლეგენდარულ მამას და მის დამსახურებას ქართული ფილოლოგიისა და ჟურნალისტიკის წინაშე.***

**— ბატონო ზურაბ, 40 წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მამათქვენს — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დამაარსებელსა და მის პირველ დეკანს — დავით გამეზარდაშვილს თანამდებობა დაატოვებინეს და უნივერსიტეტიდან დაითხოვეს.**

— სანამ ამ საკითხს შევეხები, მოგახსენებთ მამაჩემის დამსახურების შესახებ: საქართველოში ის გახდა ყველაზე ახალგაზრდა დოქტორი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარგში, დისერტაცია მოსკოვში ჰქონდა დაცული. არადა, იმ დროისათვის დოქტორის ხარისხის მოპოვება ასე იოლი არ იყო.

ჯერ კიდევ 34 წლის ასაკში მამა ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს, შემდეგ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — ქართული ლიტერატურის კათედრის გამგედ, იყო ფილოლოგიის ფაკულტეტის დეკანი. **უნივერსიტეტში მან დააარსა ჟურნალისტიკის ფაკულტეტი და ამავე ფაკულტეტის პირველი დეკანი გახდა.** სამწუხაროდ, უნივერსიტეტის პირველ კორპუსში აღარ ფუნქციონირებს 1961 წელს მამაჩემის მიერ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტებისათვის დაარსებული სტამბა, სადაც იბეჭდებოდა გაზეთი და ჟურნალი „ახალგაზრდა ჟურნალისტი". იქვე ფუნქციონირებდა სასწავლო ტელევიზია... ეს ყველაფერი მამაჩემთან ერთად მოკვდა.

**— დავით გამეზარდაშვილის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოებით ასწავლიდნენ საბჭოთა სკოლებშიც...**

— დიახ, მისი შედგენილი იყო მეათე კლასის სახელმძღვანელოები. 1966 წელს მამამ პირველად განახორციელა უნივერსიტეტებს შორის სტუდენტური გაცვლა — პირველი ასეთი ქვეყანა ჩეხოსლოვაკია გახლდათ. დღეს სტუდენტები ადვილად გადიან უცხოეთში, მაგრამ მაშინ ეს ძალიან რთული იყო.

1962 წელს, მთვრობის დადგენილების საფუძველზე, მამამ დაიწყო **ნიკო ნიკოლაძის** შრომების მოძიება და შეკრება, ეს იყო ურთულესი სამუშაო, რვა ტომი გამოსცა, მეტი ვერ მოასწრო. მისი საქმე მე გავაგრძელე, მეცხრე ტომი დავბეჭდე და ახლა ხუთი წელია, რაც მეათე ტომი მაქვს მზად, მაგრამ გამოცემას ვერ ვახერხებ. პარადოქსია — ბიზნესმენები, ქუთაისისა და ფოთის მერები ნიკო ნიკოლაძის სახელს იფიცებენ, მაგრამ მისი წიგნის დაფინანსებაზე უკან იხევენ.

**— დავუბრუნდეთ 40 წლის წინანდელ ამბავს — დავით გამეზარდაშვილის გათავისუფლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიდან.**

— მამაჩემის გათავისუფლება ასე მოხდა: **ჩუმად ჩანიშნეს უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის სხდომა, თავმჯდომარე გახლდათ პარტკომის მდივანი, პროფესორი გურამ ლორთქიფანიძე.** მამას არ შეატყობინეს, რომ მისი გათავისუფლების საკითხს იხილავდნენ, თუმცა, დამსწრეთაგან ერთმა ვერ მოითმინა, ჩუმად გარეთ გავიდა და მამაჩემს დაურეკა. მამა ამის მერე მივიდა იმ სხდომაზე.

**— რა იყო ამის წინაპირობა?**

— მამაჩემი საკუთარი შვილებივით ზრუნავდა თავის სამ მოწაფეზე — ერთი ქალბატონი იყო, ორი მამაკაცი, რომელთაგან ერთ-ერთი ყოფილი მსახიობი გახლდათ, დისერტაცია დააცვევინა და გზაზე დააყენა. მეორემ, რომელიც მაშინდელი რექტორის **ვაჟა ოკუჯავას** ახლო ნათესავი იყო, მამაჩემის ადგილი — ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანობა მოინდომა... შემდეგ ამათ ერთმანეთი აიყოლიეს და თავის მასწავლებელს აუჯანყდნენ — შვილები რომ მამას უღალატებენ, ისეთი ამბავი მოხდა.

**— დავით გამეზარდაშვილის ერთ-ერთი მოწაფე, რომელიც მისი ჩამოგდების შემდეგ ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი გახდა, ნოდარ ტაბიძე იყო!**

— **დიახ, გალაკტიონ ტაბიძის ძმისშვილი!** უნივერსიტეტის მაშინდელი რექტორი **ვაჟა ოკუჯავა** გალაკტიონის მეუღლის — **ოლია ოკუჯავას** ძმისშვილი გახლდათ, ესე იგი, ნოდარ ტაბიძის ახლო ნათესავიც! ხვდებით, რაც მოხდა...

**— უნივერსიტეტის შემდეგ როგორ გააგრძელა ცხოვრება დავით გამეზარდაშვილმა?**

— ნერვიულობდა, უნივერსიტეტზე დარდმა სიმსივნე დამართა. იმ პერიოდში დიპლომატიურ სამსახურში ვიყავი, საქართველოში რომ ვყოფილიყავი, ვერ გაბედავდნენ იმას, რაც გაუკეთეს, ვერც იმ ჯაჭვს შეკრავდნენ, რის მიხედვითაც მისმა მოწაფეებმა იმუშავეს. როცა მამას დიაგნოზი დაუსვეს, მითხრა — არც იფიქრო სამაგიეროს გადახდაო. **3 თვე მოსკოვში იწვა საავადმყოფოში, თავზე ვადექი. ბოლო 20-22 დღეც ერთად ვიყავით, გარდაიცვალა 1985 წლის 21 დეკემბერს, 65 წლის ასაკში.** დღეს მე მასზე 12 წლით უფროსი ვარ. **იმ მოწაფეებს პანაშვიდებზე მოსვლა უნდოდათ, მაგრამ არ მივეცი ამის უფლება. მამა დაკრძალულია საბურთალოს პანთეონში, ეკლესიასთან ახლოს, ივლისში მას დაბადებიდან 102 წელი უსრულდება.**

**— რა იყო დავით გამეზარდაშვილის ბოლო სიტყვები?**

— სიცოცხლით სავსე კაცი იყო — უყვარდა ლხინი, მეგობრები, ქალბატონები... მიხვდა, რომ ეს ყველაფერი აღარ შეეძლო და მკითხა: **თბილისი ბაირამობს?**

**— შურისძიებაზე არ გიფიქრიათ?**

— გავიდა წლები, დიპლომატიური სამსახური დავტოვე და უნივერსიტეტში პრორექტორად დამნიშნეს. **ნოდარ ტაბიძე** უკვე აღარ იყო ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანი და, საერთოდ, უნივერსიტეტიდანაც გახლდათ დათხოვილი. პირველი, რაც გავაკეთე, **ნოდარ ტაბიძე** უნივერსიტეტში დავაბრუნე. ერთ დღეს, როცა რექტორატის სხდომა უნდა გამართულიყო, უნივერსიტეტში დავიბარე, მაგრამ მიზეზი არ მითქვამს. მოვიდა და სანამ სხდომა მიმდინარეობდა, გარეთ მელოდებოდა. რექტორს ხელი მოვაწერინე უნივერსიტეტში მის დაბრუნებაზე და ის ფურცელი გავუტანე.

**— ბოდიში მოგიხადათ?**

**— მხარზე მაკოცა, ეს იყო მისი ბოდიში, ამით მე მას სამაგიერო გადავუხადე...** ჯერ კიდევ 1937 წელს, როცა სოფელ კაცხიდან ჩამოსული მამაჩემი უნივერსიტეტში პირველ კურსზე სწავლობდა, ტროცკისტობა დასწამეს და დააპატიმრეს. გაათავისუფლეს ერთი წლის შემდეგ, 1938 წელს. კარგა ხნის მერე, როდესაც დიპლომატიურ სამსახურში ვმსახურობდი, საშუალება მომეცა, მისი პირადი საქმე მომეძია. შემდეგ ვინანე, ნეტა არ მენახა-მეთქი.

**1937 წელს მამა იმ კაცის დასმენის საფუძველზე დააპატიმრეს, ვინც სტუდენტობის წლებიდან მოყოლებული, ბოლომდე მის უერთგულეს მეგობრად ითვლებოდა!**

მამა ისე გარდაიცვალა, ეს ამბავი მისთვის არ მომიყოლია




## კვირგვინოსნები

**გიორგი გობრონიძე**
*საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალისტი*



ჩვენ უკვე დიდი ხანია, **ნატოს სტანდარტებს იმაზე მეტად ვაკმაყოფილებთ, ვიდრე ნატოს ზოგიერთი წევრი ქვეყანა,** მაგრამ არ ვართ წევრი.

„კვირის პალიტრა"

**დენის სამუტი**
*ექსპერტი*



**საქართველო კანდიდატობისთვის მზადაა** — ქართველმა ხალხმა და ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ ძალიან ბევრჯერ ხაზგასმით თქვა, რომ **ევროპული გზა მათი უცვლელი არჩევანია.**

„იმედინიუსი"

**მამუკა არეშიძე**
*ექსპერტი კავკასიის საკითხებში*



ახლა **ნატოს კანდიდატობის წევრი რომ ვყოფილიყავით,** ომი, პირველ რიგში, საქართველოში დაიწყებოდა.

„საერთო გაზეთი"

**გულბაათ რცხილაძე**
*ევრაზიის ინსტიტუტის ხელმძღვანელი, პოლიტიკის ექსპერტი*



დაუშვებელია **საქართველოს ჩათრევა უკრაინის ომში,** მაგრამ ამის მიღწევას მაინც ჯიუტად ცდილობენ ჩვენი მტრები და „მოყვრებიც".

„საერთო გაზეთი"

**ნინო ფოჩხუა**
*ექსპერტი*



ყველაზე დიდი საშიშროება **ბიძინა ივანიშვილს** 2012 წელს ელოდა, როცა ამ მკვლელებთან შევიდა ბრძოლაში. მაშინ არ შეშინებია და ახლა სანქციებით მისი შეშინება სასაცილოა!

„იმედინიუსი"

**ნანა ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



ყველაზე მაგარი ის არის, რომ **ამ ქვეყანას ჰყავს პატრონი** და ეს პატრონები არიან ქართველები.

„იმედინიუსი"

# ზურაბ გამეზარდაშვილი: მამაჩემს თავისი მოწაფეები აუჯანყდნენ, შვილები რომ მამას უღალატებენ, ისეთი სამარცხვინო ამბავი მოხდა!



და არც იმ კაცისთვის მითქვამს, რაც მამაჩემის საქმეში წავიკითხე. კარგა ხნის მერე მხოლოდ დედაჩემს ვუამბე და რაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ერთი საყვედურიც არ დასცდენია!

**— როგორი მამაშვილობა გქონდათ?**

— სკოლაში კარგად არ ვსწავლობდი და გაუთავებლად მეჩხუბებოდა. მაინტერესებდა უცხო ენები, ხელოვნება და ლიტერატურა. ფილოლოგი ვარ, მოსკოვში მაქვს დამთავრებული ასპირანტურა და დოქტორანტურა, 1969 წელს დავიცავი დისერტაცია. სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის **ანდრეი გრომიკოს** მოადგილემ — **ნიკოლაი ფირიუბინმა** დიპლომატიური სამსახური შემომთავაზა და დავთანხმდი. ეს იყო 1970 წელი. ასპირანტურაში სწავლის პერიოდში გავიცანი და დღემდე ვმეგობრობ **ნიკოლაი ფირიუბინისა** და მაშინდელი კულტურის მინისტრის **ეკატერინა ფურცევას** ქალიშვილთან **სვეტა ფირიუბინასთან.** როდესაც მამაჩემს ჩემი გადაწყვეტილება გავაცანი, მითხრა: არ ვიცი, როგორი დიპლომატი იქნები, მაგრამ გავა წლები და სანანებელი გაგიხდება ის პერიოდი, როდესაც საქართველოში არ იქნებიო... 42 წელი ვიყავი ამ სამსახურში, ბევრი მნიშვნელოვანი შეხვედრა მქონდა, მათ შორის, 1981 წელს შეხვედრა რომის პაპთან, მაგრამ მივხვდი, რომ მამაჩემი მართალი იყო, როცა მეუბნებოდა, საქართველოდან შორს გატარებულ წლებზე ინანებო. მოკლედ, დავკარგე აქაური ურთიერთობები და ბევრი სხვა რამეც... **ქიდევ კარგი, მამაჩემს ყოველდღე ტელეფონით ვესაუბრებოდი, როცა ჩამოვიდოდი, დამინახავდა თუ არა, თვალებიდან ცრემლები უგორდებოდა.** საერთოდ, ბოლო პერიოდში ძალიან გულჩვილი გახდა, კინოს ყურების დროსაც კი მეტად მგრძნობიარე ხდებოდა.

**— თქვენი ოჯახიდან ვინ მოღვაწეობს ჟურნალისტიკაში?**

— ჩემი და იყო ჟურნალისტი, რომელიც 2013 წელს გარდაიცვალა. დალის სიკვდილიდან სამი წლის მერე გარდაიცვალა დედაჩემიც, რომელიც, შვილის დარდი რომ არა, კიდევ დიდხანს იცოცხლებდა. ჩემი ვაჟი ქიმიკოსია, ქალიშვილი — ენების სპეციალისტი, შვილიშვილებს ფიზიკა-მათემატიკა აინტერესებთ. ამიტომ გადავწყვიტე, ჩემი და მამაჩემის ბიბლიოთეკა უნივერსიტეტს გადავცე, **დავით გამეზარდაშვილის ფონდს** ქმნიან და ეს ბიბლიოთეკა სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომი იქნება. წიგნებით სავსე ბოლო ყუთებს ამ დღეებში გადაიტანენ. **მადლობა ყველას, ვისაც ახსოვს დავით გამეზარდაშვილი და მისი დამსახურება ქართულ ლიტერატურასა და ჟურნალისტიკაში.**

**ნუგზარ ფოფხაძე**, ***საქართველოს ცენტრალური კომიტეტის ყოფილი მდივანი, საქტელერადიოკომიტეტის ყოფილი თავმჯდომარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის ყოფილი დეკანი:*** — სტუდენტობის დროს დავით გამეზარდაშვილის ფავორიტთა შორის არ ვიყავი, მაგრამ უდიდეს პატივს ვცემდი და როდესაც უნივერსიტეტში ჟურნალისტიკის ფაკულტეტის დეკანად მიმიწვიეს, პირველი, რაც გავაკეთე, ის იყო, რომ ბატონი **დავით გამეზარდაშვილის აუდიტორია** გავხსენი. ეს იყო უნივერსიტეტისთვის გაღებული მისი ღვაწლის დაფასება. ამასთან, ვესტიბიულში სტენდი განვათავსეთ, სადაც ჩამოვწერეთ დამსახურებული ადამიანების გვარები და სახელები: ჟურნალისტიკის კათედრის პირველი გამგის **გიორგი ჯიბლაძის,** ქართული კლასიკური ჟურნალისტიკის ისტორიის პირველი სახელმძღვანელოს ავტორის **პაატა გუგუშვილის** და სხვების... ეს იყო ჩვენი წინამორბედებისადმი ვალის გადახდა. ახალგაზრდობამ უნდა იცოდეს იმათი სახელები, ვისაც თავი გადადებული ჰქონდა მომავალი თაობის განათლებისა და განვითარებისთვის, ისინი არ უნდა იყვნენ დავიწყებული, არ უნდა დაგვენანოს მათთვის ყურადღებისა და სითბოს გამოხატვა.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## რედაქციისაგან:

ამ წერილში **ძალიან, ძალიან, ძალიან** ბევრი რამ არ ითქვა. არ ითქვა შეგნებულად. არც იმ გარემოებას გაესვა ხაზი, რომ „ასავალ-დასავალის" მთავარ რედაქტორს *(იმხანად უნივერსიტეტის სტუდენტს, რომელსაც* ***სადიპლომო სწორედ დავით გამეზარდაშვილის*** *ხელმძღვანელობით უნდა დაეცვა და, მიუხედავად შეთქმულთა წინააღმდეგობისა, დაიცვა კიდეც)* **ნოდარ ტაბიძე** პედაგოგიურ-შემოქმედებითი თვალსაწიერის, ცინიკური ტონისა და სხვა უარყოფითი პიროვნული თვისებების გამო არ უყვარდა... **არ ითქვა იმაზეც,** რომ ტაბიძის ერთ-ერთი იმდროინდელი მსტოვარი დღეს ***კულტურის მინისტრ წულუკიანის*** მარჯვენა ხელია *(შესაძლოა, ხელოვანთა წინააღმდეგ ტერორის დარგში).* ვფიქრობთ, **ნოდარ ტაბიძის** ფსიქოპორტრეტი ყველაზე საუკეთესოდ დახატა მწერალმა **რეზო მიშველაძემ** თავის უკვდავ ნოველაში **„გალაქტიონის სიკვდილი",** რომელიც ორჯერ დაიბეჭდა „ასავალ-დასავალის" ფურცლებზე და რომლის მცირე ამონარიდს დღესაც გთავაზობთ.

# ნაწყვეტი რეზო მიშველაძის ნოველიდან „გალაქტიონის სიკვდილი"

***1959 წლის 17 მარტი.***

.................

*სკამისკენ ხელი გაიწვდინა. საათს დახედა. ცხრა სრულდება.*

*საათი ბალიშქვეშ შეჩურთა.*

*ვიღაც შემოვიდა.*

**„ნოდარი იქნება, ნინა ვერ გამიბედავს... ახლა დაიწყება ბუნაგიდან ჩემი გამოტყუება..."**

— ბიძია!

*არ გადმობრუნებულა, არც საბანი გადაუძვრია.*

— ბიძია!

**— ჰო.**

— უნდა წამოხვიდე.

**— სად ნოდარ, სად?**

— საავადმყოფოში, დაგვპირდნენ.

**— რას დაგვპირდნენ, ნოდარ, რას?**

— მერე ადგილი აღარ იქნებაო.

**— სად არ იქნებაო ჩემი ადგილი, ძამიკო, აქ ჩემს სახლში?**

.................

— უნდა მორჩე, ბიძია. ბოლომდე უნდა მორჩე.

**— თუ არ ვიყავი მორჩენილი, რატომ გამომწერეს?**

— გენდნენ, ბიძია.

**— დიდი მადლობა ნდობისათვის, უფროსებო, გავამართლებ ამ ნდობას!**

— უნდა წამოხვიდე, ბიძია. მერე გვიანი იქნება.

**— საქმეები? თქვენ რას დაეძებთ ჩემს საქმეებს. მკურნალობის დრო მაქვს ახლა მეე? თავზე რომ ვადგივარ, მაშინაც არაფერი შველის მეორე ტომს.**

— მორჩები და მიხედავ.

**— მერე კაცმა არ იცის, რა მოხდება. ლაპარაკია, შეიძლება მთლად დახურონ სახელგამი.**

— ნუ გეშინია, არ დახურავენ. შენთვის გეუბნები, უნდა წამოხვიდე, ბიძია.

**— ძამიკო, რას გადამეკიდეთ, რა გინდათ. ამ სახლში ერთი კუთხე არ მეკუთვნის?**

— ყველაფერი გეკუთვნის და ყველაფერი შენია, მაგრამ ცუდად ხარ, უნდა იმკურნალო, ბიძია.

*საბანი გადაიძრო, ნოდარს შეხედა. ერთხანს კუშტად უმზერდა, უეცრად ფანჯრისკენ გაექცა თვალი და თითქოს გამოსავალი იპოვაო:*

**— ხომ ხედავ, რა უჟმური ამინდია. ასეთ ამინდში შეიძლება გარეთ გასვლა? ხვალ წავიდეთ, ნოდარ, ხვალ, ძამიკო. დღეს ისედაც ვერ ვარ კარგად. წელი მტკივა. პაპიროსიც გამითავდა, ხვალ „რეკორდს" ვიყიდი...**

*თითქოსდა ევედრებოდა, ხავსს ებღაუჭებოდა, არ უნდოდა წასვლა.*

— ხვალ ადგილი არ ექნებათ, ბიძია. ქვეყნის ავადმყოფებია. ყველას „ლეჩკომბინატში" უნდა მოხვედრა.

*... მარჯანიშვილის თეატრის გვერდითა სადარბაზოდან ორნი გამოვიდნენ.*

.................

**ძმისშვილი შინ ათ საათზე დაბრუნდა.**

**გალაქტიონი კი მეოთხე სართულიდან, ნევროპათოლოგ კონდოევის კაბინეტის ფანჯრიდან გადახტა 1959 წლის 17 მარტს, ზუსტად 6 საათზე.**

*ფანჯარასთან „ვენური სკამი" მიიდგა და გადახტა.*

*ფანჯრის რაფაზე ფეხის კვალი ვერ აღმოაჩინეს.*

*როგორც ჩანს, სკამიდან პირდაპირ გადაფრინდა. გადაეშვა ძირს. არც ხელგაშლილი წასულა თავდაღმა და არც ფეხზე დამდგარს უფრენია ბეტონის ასფალტამდე. დაეცა ჰორიზონტალურ მდგომარეობაში. მთელი ტანით დაეცა. ნეკნები ჰქონდა ჩამტვრეული და გულ-ფილტვები ელენთიანურთ დახეთქილი.*




## კვირგვინოსნები

**მამუკა მამულაშვილი**
*უკრაინაში ქართული ლეგიონის მეთაური*



საქართველოში ხელისუფლების **პოლიტიკური ოკუპაციაა,** თუმცა, დარწმუნებული ვარ, რომ საქართველოს **ოკუპირებული ტერიტორიების** დაბრუნება **ომის გზით** იქნება საჭირო.

„იმედინიუსი"

**გია ხუხაშვილი**
*ექსპერტი*



დღეს ხელისუფლება ეუბნება ევროკავშირს — რომ ***„მე ვარ ცუდი ბიჭი, მიმიღე ასეთი, როგორიც ვარ და თუ არ მიმიღებ, ნუ მიმიღებ"*** — ამ პრინციპით მოქმედებენ.

„ინტერპრესნიუსი"

**სალომე სამადაშვილი**
*„ლელოს" წევრი, პარლამენტარი*



კანდიდატის სტატუსს მხოლოდ **უკრაინა და მოლდოვა** თუ მიიღებენ და **საქართველო** ვერ მიიღებს, მოვითხოვ **ვადამდელი არჩევნების** დანიშვნას.

„პირველი არხი"

**გაემიჯნება თუ არა?**



# «მიმიფურთხებია ასეთი

ედიშერ გვენეტაძე:

# ვაფრთხილებ ყველას –

## თუ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმება, აფხაზეთისა და 2008 წლის ომები მონაგონი იქნება!

***პროფესორი ედიშერ გვენეტაძე წინა კვირას 308 ევროპარლამენტარის მიერ მიღებულ სკანდალურ რეზოლუციას ეხმიანება და აცხადებს, რომ საქართველოს ამერიკის შეერთებული შტატები ურჩობის გამო სჯის და ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალებას გეგმავს:***

— 308 ევროდეპუტატის მიერ მიღებული რეზოლუცია ერთადერთ რამეს ნიშნავს — **ამერიკის შეერთებული შტატები იმის გამო გვსჯის, რომ საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი არ გახსნა და ქვეყანა ომში არ ჩაება!** დიახ, ეს ყველაფერი დაკავშირებულია ამერიკის პოლიტიკურ ინსტრუქციებთან, რასაც ევროკავშირი, როგორც უხერხემლო და უპრინციპო ორგანიზაცია, ვერავითარ წინააღმდეგობას ვერ უწევს.

**2022 წლის 24 თებერვლიდან მოყოლებული დღემდე მთელი დასავლეთის შავბნელი ძალები მოწადინებული და მომართული არიან ერთადერთი მიზნისკენ — როგორმე საქართველო პუტინის წინააღმდეგ ომში ჩაითრიონ!** ირაკლი ღარიბაშვილის ხელისუფლება ამაზე არ წავიდა და არც წავა, ამიტომ ახლა ცდილობენ, ეს ხელისუფლება დაამხონ და მოათრიონ ნაცები, რომლებიც მეორე დღესვე ქვეყანას ომის ხანძარში გახვევენ და საქართველოს საბოლოოდ გაანადგურებენ! ვაფრთხილებ ყველას — **თუ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ომში ჩაებმება, აფხაზეთისა და 2008 წლის ომები მონაგონი იქნება!** რუსეთი აუცილებლად დაბომბავს თბილისს, მიწასთან გაასწორებს საქართველოს ქალაქებსა და პორტებს და ამაზე მთელი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ სამშობლოს მოღალატე ნაცებსა და იმ ევროპარლამენტარებს, კონგრესმენებსა და სენატორებს, რომლებსაც სააკაშვილი ქრთამებს აძლევდა და აძლევს!

**— ბატონო ედიშერ, საქართველო მხოლოდ ამის გამო ისჯება?**

— არა, საქართველო იმის გამოც ისჯება, რომ ქვეყნის ხელისუფლება, პირადად ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეწინააღმდეგებიან საქართველოს სოდომიზაციასა და გეი-პარადების გამართვას!

**— თქვენ ქრთამი ახსენეთ, ევროდეპუტატები ნაცებისგან ქრთამებს იღებდნენ?**

— ევროდეპუტატი **გლუქსმანი** თავის დროზე სააკაშვილთან ერთად საქართველოს ბიუჯეტის ხარჯზე ძვირადღირებულ კურორტებსა და სპეცსასტუმროებში ნებივრობდა, რისი დამადასტურებელი დოკუმენტებიც გასაჯაროვდა. ევროდეპუტატები და ამერიკელი სენატორები და კონგრესმენები, რომლებიც ამბობენ, რომ, თურმე, **გვარამია** არის „თავისუფალი სიტყვის მედროშე“, ხოლო ქურდი **კეზერაშვილი,** რომელიც ცალ-ცალი კალოშით მოვიდა ხელისუფლებაში და მილიარდერი გახდა — „დევნილი მედიამენეჯერი“, სუყველანი არიან მექრთამეები და ფულებს იღებდნენ და ახლაც იღებენ სააკაშვილისგან! ეს ის ფულია, რომელიც სააკაშვილმა და კეზერაშვილმა ქართველ ხალხს მოჰპარეს.

ეს უსინდისო და ნამუსგარეცხილი ევროდეპუტატები **იცავენ იმ ნიკა გვარამიას, რომელმაც პროკურორობის დროს სპეცოპერაცია ჩაატარა ტელეკომპანია „იმედში“ და მერე გადაიღო უბინძურესი ფილმი — „ნოემბრიდან ნოემბრამდე“.** არცერთ ამ ევროდეპუტატს, ამ მექრთამეებს, არ გაუპროტესტებიათ სამეგრელოს კადრები, პატიმრების წამება და 2011 წლის 26 მაისს თავგახეთქილი ხალხი. **ეს უზნეო ადამიანები, რომლებიც, დიდი ალბათობით, სააკაშვილისა და მისი სპეცსამსახურების მიერ სხვადასხვა პოზაში არიან გადაღებული, თავიდან ბოლომდე არიან კომპრომეტირებული.** მექრთამე ევროდეპუტატები, რომლებიც საქართველოს ომისკენ ექაჩებიან, ავადსახსენებელ **მიხეილ სუსლოვსა** და **ეკატერინა ფურცევას** მაგონებენ! სუსლოვი რა ძაღლთაპირი და ქართველთმოძულეც იყო, ქვეყანამ იცის, მაგრამ **ეკატერინა ფურცევა,** რომელიც 1960-1974 წლებში საბჭოთა კავშირის კულტურის მინისტრი გახლდათ, ქართველების სიძულვილში ყველას სჯობნიდა. ის გახლდათ ასევე ქართველთმოძულე **ნიკიტა ხრუშჩოვის** საყვარელი. სწორედ სუსლოვისა და ხრუშჩოვის კისერზეა 1956 წლის 9 მარტის ტრაგედია, როცა თბილისში უდანაშაულო ხალხს ტანკებით გადაუარეს. ამ ორ ქართველთმოძულეს შეემატა ფურცევაც...

**კუბილიუსი თუ კუილიუსი, ფოტიგა თუ ფოტინე, კრამონი თუ გარმონი, ჟიგიმანტასი თუ გიჟიმანტასი, სუყველანი მექრთამეები არიან, რომლებსაც სააკაშვილი და კეზერაშვილი ფულს უხდიდნენ და უხდიან! ეს გათახსირებულები მოწადინებული არიან, საქართველოში მოახდინონ გადატრიალება და სააკაშვილი ისევ ხელისუფლებაში დააბრუნონ!** არაფერი გამოგივათ, თქვე საცოდავებო!

**— მაინც რა გეგმა აქვთ ნაცებს?**

— როგორც 2019 წლის 20-21 ივნისის ღამეს, ნაცებს ახლაც უნდათ, პარლამენტში შეიჭრან, რასაც მერე ეს მექრთამე ევროპარლამენტარები და ამერიკელები დაუკანონებენ და ნა-









ანდრიუს კუბილიუსი, ანა ფოტიგა, ვიოლა ფონ კრამონი, ჟიგიმანტას პავილიონისი

## „კუბილიუსი თუ კუილიუსი, ფოტიგა თუ ფოტინე, კრამონი თუ გარმონი, ჟიგიმანტასი თუ გიჟიმანტასი, სუყველანი მექრთამეები არიან, რომლებსაც სააკაშვილი და კეზერაშვილი ფულს უხდიდნენ და უხდიან!“

## კვირგვინოსნები

**სერჯო მატარელა**
*იტალიის პრეზიდენტი*



**საქართველოს მრავალსაუკუნოვანი გამოცდილება აქვს,** ის ევროპული ცივილიზაციის წევრია და **აბსოლუტურად ლოგიკური და გასაგებია, რომ მას ევროპის სრულუფლებიანი წევრობა სურს** — იტალია საქართველოს ამაში მხარს უჭერს.

„იმედინიუსი“

**გია ცაგარეიშვილი**
*პარლამენტარი*



**თუ ევროკავშირი პუტინის წინაშე უკან დაიხევს,** ეს სისხლიანი ტალღა ევროპის ქვეყნებამდე მივა — ეს ტალღა ახლა თბილისსა და კიევს ეხეთქება და **თუ თბილისი და კიევი წაილეკა, პარიზამდე, ბერლინამდე და ყველა სკეპტიკოსამდე მივა.**

„ინტერპრესნიუსი“

**გიორგი გახარია**
*პარტია „საქართველოსთვის“ თავმჯდომარე*



**როცა საქმე ეხება** საქართველოს ევროპულ პერსპექტივას, ეშმაკსაც უპრობლემოდ გავუწვდი ხელს, **როცა საქმე ეხება** ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას, **ნიკა მელიას** და **კობახიძეს** კი არა, ვისაც გინდა, იმას ჩამოვართმევ ხელს. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ **დღევანდელი, სრულად კონსოლიდირებული ხელისუფლების სათავეში ივანიშვილია.**

„პალიტრანიუსი“

**მაკა ბოჭორიშვილი**
*პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე*



ძალიან სამწუხაროა, რომ ისეთი გამოცდილი პოლიტიკოსი, როგორიც არის ევროპარლამენტარი **ანდრიუს კუბილიუსი,** მსგავსი შინაარსის წერილს აქვეყნებს საქართველოს მოსახლეობის მისამართით — **ეს, ფაქტობრივად, აჯანყებისკენ ღია მოწოდებაა!**

„TV იმედი“

# ევროპისათვის!»



**„საქართველო იმის გამოც ისჯება, რომ ქვეყნის ხელისუფლება, პირადად ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი და საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ეწინააღმდეგებიან საქართველოს სოდომიზაციასა და გეი-პარადების გამართვას!“**

ცებს ხელისუფლებაში დააბრუნებენ! ვპირდები ყველას — **თუ საჭირო გახდება, შევაკავდებით, გავწყდებით და ამ სამშობლოს მოღალატეებს, ამ ქრთამისა და სხვა რაღაცების მიმცემებსა და უცხო ქვეყნების აგენტებს ხელისუფლებაში არ მოვუშვებთ!**

ჯერ ერთი, ბიძინა ივანიშვილს როგორ უჩხიკინებენ... კაცს, რომელმაც სამშობლოს 3 მილიარდ დოლარზე მეტი დაახარჯა და ამდენი სიკეთე გააკეთა, თურმე, სანქციები უნდა დაედოს. ივანიშვილი წავიდა პოლიტიკიდან, არ აკეთებს არავითარ პოლიტიკურ განცხადებას, არ აქტიურობს და რატომ არ უნდა ჰქონდეს უფლება, პოლიტიკაში ვინმე მოსწონდეს ან არ მოსწონდეს? მაგრამ რაშია, იცით, საქმე? როგორც დიდი შექსპირი იტყოდა, დანიის სამეფოში რაღაც დალპა. **მართლაც, ევროპაში რაღაც არათუ დალპა, არამედ ევროპარლამენტში დეპუტატმა კუილიუსმა და მისთანა მექრთამეებმა ყველაფერი ააქოთეს და ააყროლეს!** ეს არ არის ის ევროპა, რომლისკენაც ჩვენ მივისწრაფოდით. ევროპა, რომელიც ამბობს, კეზერაშვილი არის „დევნილი მედიამენეჯერი“, ხოლო გვარამია — „თავისუფალი სიტყვის მედროშე“ გაკოტრებული, უსინდისო და იდეურად მკვდარია.

**— როგორ ფიქრობთ, 308 ევროდეპუტატი ასე ერთხმად რამ აალაპარაკა?**

— ცხადია, შორს ვარ იმ აზრისგან, 308 კაცს, რომელმაც საქართველოს შესახებ უსინდისო და უსამართლო რეზოლუციას მხარი დაუჭირა, სააკაშვილი სათითაოდ ქრთამებს აძლევდა. არა! მაგრამ მათ შორის რამდენიმე სააკაშვილთან, ნაცებთან რომ სწორედ ამის გამო არის მიტმასნილი, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. **ძირითადად, ამ მექრთამეების რაოდენობა თხუთმეტ კაცამდე მერყეობს, ხოლო დანარჩენები მათი გავლენის ქვეშ არიან.** ანდა პირდაპირ გეტყვით — **წინააღმდეგობას ვერ უწევენ ამერიკელების პირდაპირ პოლიტიკურ ინსტრუქციებს!** არც იმას გამოვრიცხავ, რომ ის თხუთმეტი მექრთამე, რომლებსაც სააკაშვილი და კეზერაშვილი ფულებს ატენიან, შესაძლოა, ამ ფულს სხვა დანარჩენებსაც უყოფენ და სახეზე გვაქვს დღევანდელი ბაქანალია. **ისე, როგორ უნდა დაეცე ევროპარლამენტარი, რომ რეზოლუციაში მამალი ტყუილი ჩაწერო — სააკაშვილს კერძო კლინიკაში მკურნალობის საშუალებას არ აძლევენო!** სად აგდია სააკაშვილი ახლა, „ვივამედში“ არ არის, აგერ უკვე ერთი თვეა?

**— რატომ ჰგონიათ გადატრიალების მოსურნეებს, რომ საქართველოს მოსახლეობა მშვიდად დაელოდება იმას, როგორ მოვლენ ნაცები ხელისუფლებაში და როგორ ჩაითრევენ რუსეთის წინააღმდეგ ომში ქვეყანას?**

— ათი წელიწადია, ჩვენი ხალხი ბევრ გათახსირებულს ითმენს! არ გამოვრიცხავ, ერთ დღეს ქართველმა ხალხმა იხუვლოს და ეს სამშობლოს მოღალატეები და ყველაფრის მკისრებლები, რომლებიც საკუთარ დედასაც გაყიდიან, თუ მყიდველი გამოჩნდა, ძირს გაიფინოს! **ქრისტიანი კაცი ვარ და ისევ ჩვენი გადასარჩენები გახდებიან ეს ნაძირალები...** ჯერ როგორი ლაჩრები და მშიშრები არიან, შეხედეთ! „ბელუქსის“ კარადას რომ ჰგავს **დავით ბერძენიშვილი** *(არ აგერიოთ ცილისმწამებელ* ***ელისტრაკო კილაძეში,*** *რომელსაც ჟურნალისტი ნინო ჯღარკავა პარალელურად* ***„ბელუქსის კაროვად“*** *მოიხსენიებს. — რედ.)*, ერთი ჭიტლაყი ამოსცხეს უკანალში და ისე ჩაისვარა, მთელი რუსთაველი აქოთა.

**— მოგვცემენ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს?**

— თუ მოგვცემენ, ულტიმატუმსაც წაგვიყენებენ — გამოვუშვათ სააკაშვილი, გამოვუშვათ გვარამია, მივაფურთხოთ ჩვენს ქრისტიანობას, ჩვენს ტრადიციებს და ჩავატაროთ გეი-პარადები! **თუ ასეთი ულტიმატუმები იქნება, მაშინ მიმიფურთხებია ასეთი ევროპისათვის!**

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***





**მიხეილ სუსლოვი, ეკატერინა ფურცევა**

**„მექრთამე ევროდეპუტატები, რომლებიც საქართველოს ომისკენ ექაჩებიან, ავადსახსენებელ მიხეილ სუსლოვსა და ეკატერინა ფურცევას მაგონებენ!“**



# სააკაშვილმა საქართველოს განადგურების გეგმა გამოაქვეყნა!

***სააკაშვილსა და მის ამფსონებს რომ ჰკითხო, რუსთავის საპყრობილიდან კლინიკაში გადაყვანილი ნაცთა ფიურერი ლამის სულთმობრძავია და საწოლიდანაც ვერ დგება — თუმცა, სააკაშვილი იმდენად ჯანზეა, რომ აგერ, საქართველოს განადგურების გეგმაც კი შეუმუშავებია — ქართულ-აფხაზური სახელმწიფო უნდა შევქმნათ დედაქალაქით ქუთაისშიო!***

სააკაშვილი ჯანზეა-მეთქი, კი ვთქვი, მაგრამ ეს უბედური, მგონი, მთლად სრულ ჭკუაზე ვერ უნდა იყოს! რაც მან სოცქსელში გამოაქვეყნა, ისეთი საარაკო სისულელეა, აღწერაც რომ ჭირს! მაგრამ საქმეც ის არის, რომ

## ეს მავნებლური სისულელე მხოლოდ ბოროტი იდიოტის ჭიან ტვინში თუ მოიხარშებოდა!

მაშ, ასე: **სააკაშვილმა, აქაოდა, აფხაზების შემორიგების მიზნით, მათ ერთობლივი ქართულ-აფხაზურ სახელმწიფოში შემოსვლა უნდა შევთავაზოთო!**

თითქოს არაფერია: **ჩვენ ერთობლივ ქართულ-აფხაზურ სახელმწიფოში რომ უნდა ვიცხოვროთ, ეს აქსიომური ჭეშმარიტებაა! მაგრამ ძაღლთაპირი სააკაშვილის მიერ ძაღლის თავი სწორედ დეტალებშია ჩაფლული!**



სააკაშვილის აზრით, აფხაზებისთვის შეთავაზებულ **ქართველთა და აფხაზთა საერთო სახელმწიფო საქართველოსა და აფხაზეთის ფედერაცია იქნება!** და — ადმინისტრაციული ცენტრით — **ქუთაისში!** რატომ ქუთაისში და არა, ვთქვათ, თბილისში?! იმიტომ, რომ ისტორიულად აფხაზთა ქართული სამეფოს დედაქალაქი ქუთაისი იყო?! აი, იმ სამეფოსი, რომლებსაც აფხაზები აფხაზურად მიიჩნევენ და არა — ქართულად?!

აქ მეორე მომენტიც არის: **თბილისისა და ქუთაისის დაპირისპირების ძველი სააკაშვილისეული მავნებლობა, ანუ ამისი მოკლე ჭკუით, თუ ამ გაურკვეველი ქართულ-აფხაზური სახელმწიფოს დედაქალაქი ქუთაისი იქნება, იმერეთი თვალს დახუჭავს ყველაფერზე, ოღონდ ქუთაისი დედაქალაქად იხილოს!**

სააკაშვილი კი იძახის, ეს სახელმწიფო ფეფერაცია იქნებაო, მაგრამ, ნახეთ, რა დეტალებს გვთავაზობს იქვე: **ამ სახელმწიფოში იარსებებს ორმაგი მოქალაქეობა, რაც ნიშნავს, რომ აფხაზეთის მოქალაქე ავტომატურად იქნება საქართველოს მოქალაქე და დანარჩენი საქართველოს მოქალაქე არ იქნება ავტომატურად აფხაზეთის მოქალაქეო!** თითქოს ამით მოვუხსნით აფხაზებს ასიმილაციის შიშსო!

თუ ეს ფედერაცია იქნება, მაშინ რომელ **„აფხაზეთის მოქალაქეობაზე“** ბოდავს სააკაშვილი?! **მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, რომელიც გერმანული რეგიონების** (მიწების) **გაერთიანებაა, არსებობს ბავარიის ან რაინ-ვესტფალიის მოქალაქეობა?!** რა თქმა უნდა, არა! ჰოდა, **რასაც სააკაშვილი გვთავაზობს, ორმაგი მოქალაქეობითა და დანარჩენი ჯამბაზობებით, ეს ქართულ-აფხაზური ფედერაცია კი არა, კონფედერაციაა, ანუ ორი სახელმწიფოს ნებაყოფლობითი გაერთიანება, რომლიდანაც თითოეულის გასვლა მათ კეთილ ნებაზეა დამოკიდებული!**

დიახ, **ეს პირდაპირ საქართველოს განადგურების გეგმაა!** ეს იგივეა, რაც სააკაშვილის მეგობარი და თანამზრახველი **ძმები ბერძენიშვილების** მოღალატური პროექტი, რომელიც 1993 წელს, აფხაზეთის ომის მიმდინარეობისას, გამოაქვეყნეს: **სოხუმი და გალი-ოჩამჩირე ჩვენ დავიტოვოთ და ღალიძგას იქით აფხაზებს დავუთმოთო!**

## ვის ურიგებს ძირძველ ქართულ მიწებს უმძიმეს დანაშაულებში მხილებული ტუსაღი სააკაშვილი?! რა ფედერაცია, რის ორმაგი მოქალაქეობა?! ამას არ ეყო, რომ 2008 წლის ომში საქართველოს მიზანმიმართული ჩართვისას პირდაპირ ლანგრით მიართვა რუსეთს ცხინვალის რეგიონი, შემდეგ ქვების გროვად რომ მოიხსენია, დიდი არაფერი დაგვიკარგავსო!

ჰოდა, სწორედ ამ მოღალატეობრივი გეგმის მეორე ნაწილის განხორციელებაზე ოცნებობს ეს **მაოხრებელი გზირი,** რომელიც ვითომ სულთმობრავია და კვდება, სინამდვილეში კი ქართული სახელმწიფოს სიკვდილზე ათენ-აღამებს!

**სამშობლოს პათოლოგიური მოღალატეობა — აი, ასე ჰქვია სააკაშვილის ავადმყოფობას! და ეს ავადმყოფობა უცხოეთის ყველაზე ფეშენებელურ კლინიკებშიც არ იკურნება!** მხოლოდ — ქართულ ციხეში!

***გიორგი გიგაური***

## ეს არის ნაცთა ფიურერის მზაკვრული ჩანაფიქრი!

## კვირგვინოსნები

**მიხეილ სააკაშვილი**
*პატიმარი*



მე უკვე **საერთაშორისო მასშტაბით აღიარებული პოლიტპატიმარი ვარ,** რომელსაც მაქსიმალურად შეზღუდული აქვს კომუნიკაციები და წარმოუდგენელია, ძალიანაც რომ მოვინდომო, შევძლო რაიმე პარტიული საქმიანობის სრულფასოვნად წარმართვა.

„რეზონანსი“

**ხათუნა სამნიძე**
*რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე*



თურმე, ახლა მმართველი პარტიის თავმჯდომარემ უნდა ისაუბროს ეროვნულ იდენტობაზე და, სინამდვილეში, **მეფის და ერეკლე მეორის კრიტიკა კი არ არის მისთვის პრობლემა, „ქართული ოცნების“ მეფე, მთავარი პატრონი, ამ ქვეყნის არაფორმალური მმართველი რომ გააკრიტიკა ლევან ბერძენიშვილმა, ეს არის პრობლემა.** ფრთხილად, ბატონო ირაკლი!

„რეზონანსი“

**დავით უსუფაშვილი**
*„ლელოს“ წევრი, პარლამენტარი*



„ოცნების“ ლიდერები ვერ არიან **ყველაზე მაგარი ცინიკოსები,** მათ ნაციონალები სჯობდნენ.

„რეზონანსი“

**პაატა დავითაია**
*„ევროპული დემოკრატების“ თავმჯდომარე*



ხელისუფლებას **ვადამდელი არჩევნების დანიშვნა მოუწევს,** ევროკავშირმა სტატუსი თუ არ მოგვანიჭა.

„ახალი თაობა“



# „მინდა, ერეკლე მეფისა და დავით აღმაშენებლის მაგინებელ ლევან ბერძენიშვილს მადლობა ვუთხრა, რადგან თავისი გველური სისინით ქართველ ერს აფხიზლებს!“




ლევან ბერძენიშვილის პორტრეტი თელავის ცენტრში მდებარე საზოგადოებრივი ტუალეტის კედელზე

„ნაცბანდის თანამზრახველ ევრო-პარლამენტარებს ნამდვილ ევროპულ ფასეულობებთან არაფერი აკავშირებთ!“

## გიგლა ბარამიძე:

# ევროპარლამენტის რეზოლუცია სხვა არაფერია, თუ არა საქართველოში ე.წ. ხავერდოვანი გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ნაცბანდის დაბრუნების სცენარი!

***ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუციის კვალდაკვალ, რომელშიც საქართველოს ხელისუფლება თავისუფალი მედიისა და დემოკრატიული ინსტიტუტების მტრად გამოაცხადეს, ბიძინა ივანიშვილი სანქციების ღირს პრორუს ოლიგარქად შერაცხეს, ხოლო მიხეილ სააკაშვილი და ნიკა გვარამია დემოკრატიის მამებად და რეჟიმის მსხვერპლებად აღიარეს, დამოუკიდებელ ოპოზიციონერს, აღმოსავლეთმცოდნე გიგლა ბარამიძეს ვესაუბრებით:***

— ევროპარლამენტის მიერ მიღებული რეზოლუცია იმ მავნებლური საქმიანობის ერთგვარი შეჯამებაა, რომელსაც ნაცბანდა და მისი უცხოელი ლობისტები 2012 წლიდან ეწევიან. საქართველოს ხელისუფლებას, რომელიც ბოლო ხანს ცოტა გამოფხიზლდა, ნაცბანდის მოკავშირე ევროპარლამენტარების მხილება მაშინ უნდა დაეწყო, როცა ისინი ქვეყნიდან გაქცეულ, ბრალდებულ და მსჯავრდებულ სააკაშვილს ევროსტრუქტურების დერეფნებში დაატარებდნენ და აუდიენციებს უწყობდნენ. **დღეს არამარტო „ქართული ოცნება“, არამედ საქართველო და ქართველი ხალხიც სწორედ იმის შედეგს იმკის, რომ ნაცფაშისტურ ხროვას 2012 წლის 1 ოქტომბრის შემდეგ საკუთარი სახელი არ დაერქვა და სისტემურად არ გასამართლდა!**

**— როგორ ფიქრობთ, ევროპარლამენტის ასეთი რეზოლუციის შემდეგ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებენ?**

— კარგი იქნება, რომ ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მოგვანიჭონ, მაგრამ უარს თუ გვეტყვიან, არც ამით დაიქცევა ქვეყანა. ისე, **კანდიდატის სტატუსი რომც მოგვცენ, ევროკავშირის წევრად უახლოესი 15-20 წლის განმავლობაში მაინც არ მიგვიღებენ და საკითხავია — მაგ დროისათვის ევროკავშირი საერთოდ იარსებებს?**

მტერმაც და მოყვარემაც უნდა იცოდეს: უძველესი ქართველი ერი ევროპული ცივილიზაციის თანადამფუძნებელია და **ფოტიგები, ფონ კრამონები და კუბილიუსები** ვერ გვასწავლიან, რა არის ევროპული ფასეულობები! მეტიც, **კუბილიუსები, ფოტიგები და იუკნევიჩიენეები,** რომლებიც წლების განმავლობაში ნაცბანდის ლობისტებად გვევლინებიან, ყველა იმ დანაშაულის ირიბი თანამონაწილენი არიან, რაც სააკაშვილის რეჟიმმა ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე ჩაიდინა! ისინი ნამდვილ ევროფასეულობებს შეურაცხყოფენ, რადგან იცავენ და გულშემატკივრობენ მათ, ვინც საქართველოში შერყვნა და გააუპატიურა კანონიც, ჰუმანიზმიც და დემოკრატიაც!

**— როცა ევროპარლამენტარები რეზოლუციაში წერენ, რომ დღევანდელ საქართველოში თავისუფალი მედია იდევნება, იმავე რეზოლუციაში კი თავისუფალი მედიის ნამდვილი მესაფლავეების — სააკაშვილისა და გვარამიას ციხიდან გათავისუფლებას ითხოვენ, ეს საქართველოს მოსახლეობაში დასავლეთისადმი უნდობლობას არ გააღრმავებს?**

— პირდაპირ ვთქვათ, რომ **ევროპარლამენტის რეზოლუცია სხვა არაფერია, თუ არა საქართველოში ე.წ. ხავერდოვანი გადატრიალებისა და ხელისუფლებაში ნაცბანდის დაბრუნების სცენარი!** ბუნებრივია, ამის შემხედვარე საქართველოს მოსახლეობის დიდ ნაწილს ევროპისადმი პროტესტი და უნდობლობა კიდევ უფრო გაუღრმავდება, მაგრამ კარგად უნდა ვიცოდეთ ერთი რამ — **ნაცბანდის თანამზრახველ ევროპარლამენტარებს ნამდვილ ევროპულ ფასეულობებთან არაფერი აკავშირებთ!** ცნობილმა გერმანელმა ისტორიკოსმა და ფილოსოფოსმა **ოსვალდ შპენგლერმა** ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-იან წლებში გამოაქვეყნა ეპოქალური ნაშრომი **„ევროპის დაისი“**, დღეს კი ჩვენ საკუთარი თვალით ვუყურებთ **ევროპის დაისს,** როცა ევროპა საკუთარ ფასეულობებს თავადვე ებრძვის და ძირს უთხრის!

**— ამ ფონზე საქართველოში დიდი ქართველი მეფეების, სახელმწიფო მოღვაწეებისა და წმინდანების ლანძღვა-გინებასაც კი „ევროპულ ფასეულობად“ ასაღებენ! მაგალითად, ქართველი ლიბერალებისა და მედასავლეთეების გურუ ლევან ბერძენიშვილი ერეკლე მეორეს მოღალატედ აცხადებს, დავით აღმაშენებლის შვილებსა და შვილიშვილებს კი კრეტინებს უწოდებს! ამასთან დაკავშირებით რას იტყვით?**

— შეიძლება, გაგიკვირდეთ, მაგრამ **მინდა, ერეკლე მეფისა და დავით აღმაშენებლის მაგინებელ ლევან ბერძენიშვილს მადლობა ვუთხრა, რადგან თავისი გველური სისინით ქართველ ერს აფხიზლებს, ეროვნული ფასეულობების დასაცავად რაზმავს და კაცთმოძულე ნეოლიბერალების ჭეშმარიტ სახეს აჩვენებს!**

აქვე ვაცხადებ — თავისუფლება ქართველ პატრიოტს **ირაკლი ხომასურიძეს,** რომელიც დავით ბერძენიშვილისათვის შეგინებისა და მუჯლუგუნის წაკვრის გამო ციხეში გაუშვეს! ცხადია, ძალადობის ყველანაირ გამოვლინებას ვგმობ, მაგრამ ხომასურიძის საქციელი ქართველი საზოგადოების დიდი ნაწილის კოლექტიური ემოციის გამოძახილია — მან თავი ვერ შეიკავა, როცა ქუჩაში დაინახა დავით ბერძენიშვილი, რომელიც თავისი ძმის მიერ ერეკლე მეფის მოღალატედ გამოცხადებას ეთანხმება და ამართლებს!

## თავისუფლად შეიძლებოდა, ხომასურიძე დაეჯარიმებინათ და მის მიმართ ყველაზე მკაცრი აღკვეთის ღონისძიება – პატიმრობა არ გამოეყენებინათ! ეს პატრიოტი კაცი ქართველმა საზოგადოებამ ციხიდან უნდა დაიხსნას!

და კიდევ: ვინაიდან „ასავალ-დასავალი“ საქართველოში სა-




„ვინაიდან „ასავალ-დასავალი“ საქართველოში სახალხო სიყვარულით სარგებლობს, მინდა, ექსკლუზიურად გთხოვოთ, რომ დააწესოთ ორი სახის ჯილდო — ყორღანოვის სახელობის ორდენი და ბუდარასა და ბუდარიხას სახელობის მედალი!“

„როგორც ყორღანოვის, ასევე ბუდარასა და ბუდარიხას სახელობის ჯილდოებს დიდი სიამოვნებით გადავცემდი „მატრონა“ ლომჯარიას, რომელიც სახალხო დამცველი კი არა, ნაცბანდის ჩვეულებრივი აქტივისტია!“

## კვირგვინოსნები

**დავით ზურაბიშვილი**
*პოლიტიკოსი*



როგორ უნდა ბედავდეს ვიღაც ბნელი იდიოტი **ხათუნა სამნიძესა** და **დავით ბერძენიშვილზე** გაქაჩვას **„შენმა ძმამ ერეკლეს როგორ შეაგინა“** მოტივით? როცა ხელისუფლება შეიცვლება (და ის აუცილებლად შეიცვლება, მაქსიმუმ, 2024 წელს), **აი, ამგვარი ნაძირლური კამპანიების სულისჩამდგმელებსა და განმახორციელებლებს** ყველაზე მკაცრად უნდა მოეთხოვოთ პასუხი.

„აიპრესი“

**სოფო ხორგუანი**
*სახალხო დამცველის ყოფილი მოადგილე*



**ნინო ლომჯარიას** ომბუდსმენობას **10-ბალიან სისტემაში 5 ქულით შევაფასებდი.** როგორც სააკაშვილზე ლაპარაკობ, სხვა პატიმარზეც უნდა ილაპარაკო ზუსტად ასეთივე მოტივაციით. **ჩემთვის სააკაშვილსა და სხვა პატიმარს შორის სხვაობა არ არის.** უამრავი პატიმარია, რომელსაც პრობლემა აქვს.

„TV პირველი“

**ზურაბ ჯაფარიძე**
*„გირჩი — მეტი თავისუფლების“ ლიდერი*



ჩვენი ერთ-ერთი ფუნდამენტური პრობლემაა, რომ **საკუთარი ისტორია არ ვიცით და საკუთარ ისტორიას არ ვწერთ.** რაც არის დაწერილი, იმასაც არ ვკითხულობთ. მაგალითად, **ილია ჭავჭავაძე,** რომელიც წმინდანად გვყავს შერაცხილი, პრაქტიკულად, არავის არა აქვს ამ ქვეყანაში წაკითხული. სამაგიეროდ, **ერეკლე მეორის** სადღეგრძელო 5000-ჯერ ექნება დალეული. ამ დროს ვიღაცამ თქვა — მოღალატეაო და ამოხტა ტრუსიკიდან.

„TV პირველი“

**თენგიზ ფხალაძე**
*ექსპერტი*



ნაცვლად იმისა, **სრული ერთობის დემონსტრირება მოვახდინოთ,** ისევ კინკლაობენ თავად ოპოზიციაშიც. ისიც კი ვერ მოხერხდა, რომ **სრულ ოპოზიციურ სპექტრს ერთობლივად მიემართა** ევროკავშირისთვის.

„კვირის პალიტრა“

ხალხო სიყვარულით სარგებლობს, მინდა, ექსკლუზიურად გთხოვოთ, რომ დააწესოთ ორი სახის ჯილდო — **ყორღანოვის სახელობის ორდენი,** რომელიც ქვეყნის ღალატისათვის თავდადებით მომუშავე სუბიექტებს მიენიჭებათ და **ბუდარასა და ბუდარიხას სახელობის მედალი,** რომელიც ერის შეურაცხყოფაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის გაიცემა!

**— ძმები ბერძენიშვილების**



# „თავისუფლება ქართველ პატრიოტს ირაკლი ხომასურიძეს, რომელიც დავით ბერძენიშვილისათვის შეგინებისა და მუჯლუგუნის წაკვრის გამო ციხეში გაუშვეს!“

**გარდა კიდევ ვინ შეიძლება, იყოს თქვენ მიერ დასახელებული ჯილდოების პოტენციური ნომინანტი?**

— როგორც ყორღანოვის, ასევე ბუდარასა და ბუდარიხას სახელობის ჯილდოებს დიდი სიამოვნებით გადავცემდი **„მატრონა“ ლომჯარიას,** რომელიც სახალხო დამცველი კი არა, ნაცბანდის ჩვეულებრივი აქტივისტია! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, **სახალხო დამცველის ოფისი, რომლის ქირაშიც სახელმწიფო ბიუჯეტი ყოველთვიურად ათეულათასობით ლარს იხდის, აღმაშენებლის გამზირზე მდებარეობს და ლომჯარიას ცხვირწინ აქვს გახსნილი თურქული თუ არაბული ბორდელები, სადაც ქართველი არასრულწლოვნები პროსტიტუციაში არიან ჩართული, მაგრამ ომბუდსმენად წოდებულ „მატრონას“ ამაზე ერთხელაც არ ამოუღია ხმა.**

სხვათაშორის, უკრაინის რადამ სულ ცოტა ხნის წინათ თანამდებობიდან გააპანღურა **ლომჯარიას კოლეგა ლუდმილა დენისოვა,** რომელიც საქართველოში პატიმარ სააკაშვილის შარდის ფერის შესამოწმებლად ჩამოდიოდა ხოლმე. **უკრაინის სახალხო დამცველი აცხადებდა, რომ რუსი ჯარისკაცები პატარა უკრაინელ გოგო-ბიჭებს, მათ შორის, 2 წლის ბავშვებსაც კი აუპატიურებდნენ, მაგრამ, როცა კონკრეტული ფაქტების წარმოდგენა მოსთხოვეს, ვერ წარმოადგინა და რადა იძულებული გახდა, თანამდებობიდან გაეშვა.**

რამდენიმე დღის წინათ დენისოვამ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა, რომ შეგნებულად ტყუოდა, რათა ევროპას დაენახა, თუ რა ცუდები არიან რუსი ჯარისკაცები და უკრაინისათვის მეტი იარაღი მიეცა! აი, ასეთი ცრუპენტელები და უზნეოები არცხვენენ სახალხო დამცველის ინსტიტუტს საქართველოშიც და უკრაინაშიც!

***— როგორია სადღეისოდ რეალური მდგომარეობა უკრაინის ფრონტზე და რას უნდა ველოდეთ უახლოეს მომავალში?***

— უკრაინა უმძიმეს მდგომარეობაშია. როგორც ამერიკელი, ბრიტანელი, ებრაელი, თურქი, ჩინელი სამხედრო სპეციალისტები აღნიშნავენ, დაახლოებით თვენახევარში მთლიანად დაკარგავს დონბასის რეგიონს, რის შემდეგაც, სავარაუდოდ, ომის მესამე ფაზა დაიწყება და დნეპროპეტროვსკის ოლქი და ოდესაც რუსეთის ხელში გადავა. მოკლედ, მიმდინარე წლის აგვისტოს ბოლოსთვის ან სექტემბრის პირველ რიცხვებში აღმოსავლეთი და სამხრეთი უკრაინა შეიძლება, რუსეთის კონტროლქვეშ აღმოჩნდეს!

**— ნუთუ კოლექტიური დასავლეთის მიერ დაწესებული სანქციები რუსულ სამხედრო მანქანას ვერ შეაჩერებს?**

— ფაქტია, რომ სანქციები არ მოქმედებს, რუსეთში არც დეფოლტია და არც — ინფლაცია, პირიქით, **რუსული გაზის ექსპორტი გაორმაგდა და რუსეთი თვით ამერიკაშიც კი ორჯერ მეტ ნავთობს ყიდის, ვიდრე უკრაინაში ომის დაწყებამდე ყიდდა.**

ამასწინათ გამოვიდა ესტონეთის პრემიერ-მინისტრი, **ქალბატონი კალასი** და განაცხადა — თუ თავიდან სანქციები რუსეთზე ცუდად მოქმედებდა, ახლა ლამისაა ჩვენ გავნადგურდეთო! „სი-ენ-ენ“-ზე ერთ-ერთი ამერიკელი პოლიტიკოსის განცხადებაც მოვისმინე — ბენზინი ისეა გაძვირებული, ჯობს, კოკაინზე გადავიდეთ, ის უფრო იაფიაო!

მოკლედ, მსოფლიო იცვლება და ქართველები საფლავში არავის უნდა ჩავყვეთ! არავითარი მეორე ფრონტი და არანაირი დაძაბულობა — **ვაკეთოთ ჩვენი საქმე ჩვენივე ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, როგორც თურქეთი, აზერბაიჯანი და სხვა ქვეყნები იქცევიან!**

*ესაუბრა*

***ჯაბა ხუბუა***




**„უკრაინის რადამ სულ ცოტა ხნის წინათ თანამდებობიდან გააპანღურა ლომჯარიას კოლეგა ლუდმილა დენისოვა, რომელიც საქართველოში პატიმარ სააკაშვილის შარდის ფერის შესამოწმებლად ჩამოდიოდა ხოლმე!“**



***20 ივნისისთვის თბილისში „გავრილოვის ღამის“ მესამე წლისთავის დიდი აქცია დაანონსდა ლოზუნგით — „ევროპული გზისთვის“. მისი ორგანიზატორები კი, როგორც იტყვიან, არის ყველა, ვინც დედამ დაწყევლა: ნაცები, ლგბტ მოძრაობა „სირცხვილია“, პუტჩისტი სამხედროების გაერთიანება აკია ბარბაქაძის მეთაურობით და დანარჩენი ლელოგირჩელები!***

# ნაცბანდამ 20 ივნისს «გავრილოვის ღამე-2» დაგეგმა!






ლოზუნგი **„ევროპული გზისთვის“,** რა თქმა უნდა, იმის შესანიღბად არის მოფიქრებული, რომ თითქოს მთელი ეს ნაცოპოზიციური ბანდა ევროპული ინტეგრაციის ერთგულების დემონსტრირებას აპირებს და არა — იმ სამი წლის წინანდელი სისხლიანი „გავრილოვის ღამის“ გამეორებას!

დიახ, **ნაცბანდა ევროპული გზის ნიღაბქვეშ უკვე ღიად ემზადება რევოლუციისათვის, როგორც ამბობენ, ანტიევროპული და პრორუსული „ქართული ოცნების“ ხელისუფლების დასამხობად, ანუ რაც ნაცებს არ გამოუვიდათ 2019 წლის 20 ივნისს, იმის გაკეთებას აპირებენ სამი წლისთავზე!** თანაც, „ქართული ოცნების“ გამკრიტიკებელი ევროპარლამენტის იმ **სკანდალური რეზოლუციით** შეიარაღებულები, 9 ივნისს ნაცების გულის გასახარად რომ მიიღეს!

„გავრილოვის ღამის“ მესამე წლისთავის სამზადისში მყოფი ამ ნაცსატანისტების შემხედვარე, აბა, როგორ არ უნდა გაგახსენდეს **ჰიტლერელი ნაცისტების სამშობლოში დაბადებული, ცნობილი გერმანული „ვალპურგის ღამე“?!**

ნახეთ, რასაც იტყვიან, ერთი-ერთში ჯდება: **„ვალპურგის ღამე“** ჯერ კიდევ მე-8 საუკუნეში დაფუძნებული წმინდა ვალპურგისის დღესასწაულის წინა ღამეა, როდესაც ძველი გერმანული ხალხური ცრურწმენით, ჰარცის მთის უმაღლეს მწვერვალ ბროკენზე იმართებოდა ყველა ჯურის კუდიანებისა და ჯადოქრების ღრეობა!

აბა, რით არ ჰგავს ჩვენებური ნაცების სატანისტურ ღრეობას?! და იმავე გერმანიასთან ასოცირდება კიდევ ერთი ღამე — **„გრძელი დანების ღამეც“!**

**„გრძელი დანების ღამე“** (გერმ. Nacht der langen Messer) — მესამე რაიხში ჩატარებული სისხლიანი პოლიტიკური წმენდაა, რომელიც ნაცისტებმა **1934 წლის 30 ივნისიდან 2 ივლისამდე** ჩაატარეს — ჰიტლერის აბსოლუტური ძალაუფლების განმტკიცებისთვის! **ამ სისხლიანი ანგარიშსწორებისას ნაცისტებმა ყოველგვარი სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე დააპატიმრეს და დახვრიტეს ათობით მოწინააღმდეგე, ვინც ეწინააღმდეგებოდა ჰიტლერის უპირობო ფიურერობას!**

მისტიფიკაცია იქით იყოს, მაგრამ 21 ივნისი ზაფხულის ბუნიობის დღეა — თუ ზამთრის ბუნიობა 21 დეკემბერია და ამ დღეს წელიწადში ყველაზე გრძელი ღამე და ყველაზე მოკლე დღეა, 21 ივნისი წელიწადში ყველაზე გრძელი დღე და ყველაზე მოკლე ღამეა!

**ანუ ყველაზე გრძელ ღამეს, 21 დეკემბერს, დაბადებული სააკაშვილის ნაცბანდა ყველაზე მოკლე ღამის, წინა დღეს „ნაცვალპურგული ღამის“ სატანისტურ ღრეობას გეგმავს!**

ფუი, ეშმაკსო! — ამაზეა ზედგამოჭრილი! მაგრამ მხოლოდ ნაცბანდისკენ გადაფურთხება საკმარისი არ არის!

## ყველამ კარგად უნდა იცოდეს, რომ 20 ივნისს სახელმწიფო და ხელისუფლება ნაცხროვისაგან ერთ პატარა სატანისტურ მსხვერპლშეწირვასაც არ დაუშვებს და ნაცისტებს მცირე კანონდარღვევასაც არ აპატიებს!

იმ სამი წლის წინანდელი „გავრილოვის ღამის“ მსგავსად, პარლამენტში შეჭრაზე რომ არაფერი ვთქვათ!

***გიორგი გიგაური***

## კვირგვინოსნები

**ზურაბ ქადაგიძე**
*ანალიტიკოსი*



**გიგა ბოკერია** ის არ არის, **„ახალი ქართველის“ გამოყვანას რომ ცდილობდა და ბოლოს უპატრონო, 1-პროცენტიან მაწანწალად იქცა?!** ხან ევროპული დაირქვა, ხან ფოთში მაჟორიტარობას აპირებდა, თუმცა, ბოლოს ისევ ჩერგოს დაუბრუნდა გაუფასურებულ „ბედოვლათად“! **შენი შეცვლილი მთავრობა რა ვთქვი!**

„იმედინიუსი“

**ნიკოლოზ ხატიაშვილი**
*„ჯეოქეისის“ მკვლევარი საგარეო პოლიტიკის მიმართულებით*



თუ აქამდე **საქართველოს სჭირდებოდა ევროპა,** ახლა **ევროპასაც სჭირდება საქართველო,** განსაკუთრებით, იმ სტრატეგიული მიზნების გათვალისწინებით, რომლებიც ევროპას მომავლისთვის აქვს.

„იმედინიუსი“

**ირაკლი ქადაგიშვილი**
*პარლამენტარი*



**ოპოზიციას:** თქვენ რომ რამე გდომებოდათ, **ან 2008 წელს მშვიდობას შეინარჩუნებდით, ან იომებდით** — ვერც ერთი გააკეთეთ, ვერც — მეორე და აცადეთ ჩვენს პოლიტიკურ ძალას.

„ინტერპრესნიუსი“

**ნინო წილოსანი**
*პარლამენტარი*



**რადიკალურ ოპოზიციას:** ევროპა ხალხისა და ადამიანების პატივისცემაა და არა **ადამიანების ფეხქვეშ გათელვა, რასაც წლები აკეთებდით,** რომ არ გაგვეჩერებინეთ.

„იმედინიუსი“

**არჩილ თალაკვაძე**
*პარლამენტარი*



**რადიკალურ ოპოზიციას:** ევროპულ ღირებულებებზე ნუ საუბრობთ ის ადამიანები, ვინც **ყველაფერი ანტიევროპული გააკეთეთ** ამ ქვეყანაში.

„იმედინიუსი“



## ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ:

# 1995 ᲬᲚᲘᲡ 29 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘ ᲡᲞᲔᲥᲢᲐᲙᲚᲘ ᲘᲧᲝ!






## „9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲘᲛ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲜᲘᲚ „ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲨᲘ“ ᲐᲠ ᲘᲯᲓᲐ!“

ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ ᲘᲮ. „Ა-Დ“ №20-24

***ე.წ. ტერაქტებს, რომლებსაც ვითომდა შევარდნაძეს უწყობდნენ, თავის დროზე საზოგადოებამ „შტერაქტები“ უწოდა, რადგან ხალხს სამართლიანად სჯეროდა, რომ ხელისუფლება მაშინ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად სისხლიან სპექტაკლებს თავად დგამდა. ჩვენი კოლეგა, ჟურნალისტი ᲛᲐᲧᲕᲐᲚᲐ ᲑᲔᲠᲘᲐᲜᲘᲫᲔ კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით სწორედ ამასვე ამტკიცებს და წინამდებარე ინტერვიუში აცხადებს, რომ ყბადაღებულ 29 აგვისტოს ტერაქტის მეორე დღეს შევარდნაძეს მრავლისმთქმელი წამოცდენა მოუვიდა:***

— ე.წ. ვარდების რევოლუციის წინ გამოვიდა ჩემი ორი წიგნი — **„ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ“**, რომელიც ეხება 1995 წლის 29 აგვისტოს შევარდნაძის წინააღმდეგ მოწყობილ ე.წ. ტერაქტს და **„ᲣᲨᲘᲨᲠᲝᲔᲑᲘᲡ ᲞᲝᲚᲙᲝᲕᲜᲘᲙᲘᲡ ᲘᲓᲣᲛᲐᲚᲘ ᲡᲘᲙᲕᲓᲘᲚᲘ №1 ᲘᲖᲝᲚᲐᲢᲝᲠᲨᲘ“**. მეორე წიგნშიც ლაპარაკია ტერაქტზე, რომელიც შევარდნაძისთვის 1999 წლის მაისში უნდა მოეწყოთ, მაგრამ ეს თავდასხმა არ შედგა. ორივე ეს ე.წ. ტერაქტი მოხდა არჩევნების წინ და ორივე დაკავშირებულია დიდ სახელისუფლებო პოლიტიკურ თამაშებთან!

**— ქალბატონო მაყვალა, მოდით, თავიდანვე გავარკვიოთ ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი — შევარდნაძეს მართლა აფეთქებდნენ თუ თავის თავს იფეთქებდა?**

— იმ მასალებით, რასაც ჩემს წიგნებში თავი მოვუყარე, უტყუარად დასტურდება, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი სპექტაკლი იყო!

**— რაც შეეხება 1998 წლის 9 თებერვლის ტერაქტს, რასაც კრწანისში, 300 არაგველის ძეგლთან მსხვერპლი მოჰყვა, ამაზე რას იტყვით?**

— ეს ძალიან დიდი თემაა და ამაზე, ალბათ, ცალკე მოგვიწევს საუბარი, მაგრამ, ჩემი ღრმა რწმენით, 9 თებერვლის ტერაქტის მზადების შესახებ უცხოეთის სპეცსამსახურებმა შეიტყვეს და შევარდნაძე გააფრთხილეს. აქედან გამომდინარე, **ᲩᲔᲛᲘ ᲦᲠᲛᲐ ᲠᲬᲛᲔᲜᲘᲗ, 9 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲓᲠᲝᲡ ᲨᲔᲕᲐᲠᲓᲜᲐᲫᲔ ᲘᲛ ᲓᲐᲯᲐᲕᲨᲜᲘᲚ „ᲛᲔᲠᲡᲔᲓᲔᲡᲨᲘ“ ᲐᲠ ᲘᲯᲓᲐ!** ახლა კი იმის შესახებ, როგორ მოითხოვა გიული ალასანიამ ზემოხსენებული ჩემი წიგნები ე.წ. ვარდების რევოლუციიდან მეხუთე თუ მეექვსე დღეს და როგორ დააპატიმრა ისინი!

**— გიული ალასანიამ შემოგითვალათ, წიგნები მომიტანეთო?**

— დიახ, გიულიმ ეს პირადად შემომითვალა და ბოლოს ჩემი წიგნები დააპატიმრა! მე ვუთხარი — **ᲗᲥᲕᲔᲜ ᲩᲔᲛᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ ᲠᲐᲢᲝᲛ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲒᲘᲢᲐᲜᲝᲗ-ᲛᲔᲗᲥᲘ?** — მაშინ დეიდაჩემთან მიიტანეთ და იქ დატოვეთო! მეც ავდექი და ორივე წიგნი დეიდამისს დავუტოვე, რომელიც რუსთაველზე ცხოვრობდა. გიული მოვიდა და ეს წიგნები წაიღო.

იმის გამო, რომ გიული ალასანიას ბრძანებით, ორივე ეს წიგნი დააპატიმრეს, საშინელი ზარალი ვნახე და სტამბა და წიგნის ხარჯი რომ გამესტუმრებინა, იძულებული გავხდი, რამდენიმე სამკაული გამეყიდა. რაც შეეხება დაპატიმრებულ წიგნებს, ისინი მაინც შევაგზავნე ციხეებში.

2003 წლის 10 დეკემბერს დავკრძალეთ ჩემი მეგობრის შვილი, სპეცსამსახურის თანამშრომელი, რომელიც თბილისში ბორის ბერეზოვსკის ჩამოფრენას შეესწრო და ამიტომაც მოკლეს, ხოლო მეორე დღეს, 2003 წლის 11 დეკემბერს, დამიბარეს უშიშროებაში, სადაც ოთხი კაცი ხუთი საათის განმავლობაში მკითხავდა. მოდულის შენობაში პირდაპირ გამომიცხადეს — **ᲗᲣ ᲨᲔᲜ ᲐᲛ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲝᲢᲐᲜᲘᲚ ᲤᲐᲥᲢᲔᲑᲖᲔ ᲣᲐᲠᲡ ᲘᲢᲧᲕᲘ, ᲛᲐᲨᲘᲜ ᲛᲘᲘᲦᲔᲑ ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲡ — ᲗᲐᲜᲐᲛᲓᲔᲑᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲐᲢᲔᲠᲘᲐᲚᲣᲠ ᲡᲘᲙᲔᲗᲔᲡ, ᲗᲣ ᲐᲠᲐᲓᲐ, ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲔᲑᲘ ᲒᲔᲥᲜᲔᲑᲐᲗᲝ!** პრობლემები მართლაც დაიწყო— ხუთ დღეში სამსახურიდან გამომიშვეს, ხოლო სულ მალე უკან მომაყოლეს ჩემი ქმარიც.

**— მაინც რატომ იყვნენ სააკაშვილის სპეცსამსახურები აწრიალებული და რა წერია თქვენს წიგნებში ისეთი, რის გამოც ისინი ასე შფოთავდნენ?**

— წიგნში — **„ᲣᲪᲜᲐᲣᲠᲘ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘᲡ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲐ“** საუბარია ერთ დოკუმენტზე, რომელსაც რვა წლის განმავლობაში ველოდი, მაგრამ ეს დოკუმენტი ამ წიგნში გამოქვეყნებული არ არის. ამ დოკუმენტით აშკარად დასტურდება, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი იყო სპექტაკლი და რომ **ᲘᲒᲝᲠ ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ** ტერაქტის დროს საქართველოში საერთოდ არ ყოფილა. ცხადია, მაშინვე მკითხეს — **ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲒᲘᲝᲠᲒᲐᲫᲔ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲐᲠ ᲘᲧᲝ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲪᲘᲛᲑᲘᲠᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲒᲔᲒᲛᲐ ᲢᲔᲠᲐᲥᲢᲘᲝ?!** გასაგებია, რომ ტერაქტი შესაძლოა, ციმბირიდანაც და ავსტრალიიდანაც დაიგეგმოს, მაგრამ მაშინ საქმის მასალებში და იმ შეთითხნილ პატაკში, რომლითაც იგორ გიორგაძის დევნა დაიწყეს და საქმე აღძრეს, არ უნდა ჩაწერო, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს, ანუ ტერაქტის დღეს, იგორ გიორგაძე თავის საცხოვრებელ სახლში, თბილისში, ფალიაშვილის ქუჩაზე, იმყოფებოდა და სტუმრები მიიღო! არ იყო თბილისში გიორგაძე. 1995 წლის 18-19 აგვისტოდან მოყოლებული იგი იყო თურქეთში, როგორც დელეგაციის ხელმძღვანელი და ხვდებოდა თავის თურქ კოლეგას.

**— მაინც რა მიზანს ემსახურებოდა 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი?**

— ეს ტერაქტი-სპექტაკლი ემსახურებოდა ერთადერთ მი-




## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲓᲐᲣᲠ ᲑᲣᲐᲕᲐ**
*ოკუპირებული აფხაზეთიდან გამოქცეული 28 წლის ბლოგერი*



მე მიმყავდა ეთერი ტიკტოკის საკუთარ გვერდზე და გამოვთქვამდი საკუთარ აზრს, რომ **აფხაზეთს ვხედავ საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიის სახით,** რადგან ასე უფრო გვექნება განვითარების საშუალება. **მე კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ აფხაზეთი რუსეთთან იყოს.** გავიგე, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე სისხლის სამართლის საქმე აღძრეს, სიმართლე გითხრათ, ეს ძალიან სასაცილოდ მეჩვენა იმიტომ, რომ მე რიგითი ადამიანი ვარ, რომელიც, უბრალოდ, საკუთარ აზრს გამოხატავს. **მინდა, რომ შეხების წერტილები ვიპოვო აფხაზებსა და ქართველებს შორის,** რაც აუცილებელია და ამის გამო სისხლის სამართლის საქმე წამოიწყეს ჩემზე.

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲐᲠᲩᲘᲚᲐᲕᲐ**
*„საერთო გაზეთის“ მთავარი რედაქტორი*



აქ **მეორე ფრონტი** რომ გაიხსნას, საქართველოსგან აღარაფერი დარჩება, მაგრამ რაში ენაღვლება ეს ან **კოლექტიურ დასავლეთს, ან — ამერიკას, მითუმეტეს, უკრაინის ხელისუფლებას?**

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲮᲝᲛᲘᲖᲣᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ**
*ფინანსისტი*



მთავრობა იძულებული იყო, რომ სანქციებთან მიერთებაზე უარი ეთქვა, რაც სავსებით სწორია. **საქართველო იმდენად დამოკიდებულია რუსეთის ექსპორტზე,** რომ სანქციებთან მიერთება ჩვენი ეკონომიკისთვის თვითმკვლელობა იქნებოდა.

„ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ“

**ᲨᲐᲚᲕᲐ ᲮᲐᲭᲐᲞᲣᲠᲘᲫᲔ**
*ადვოკატი*



**კონსტიტუცია ირღვევა ყოველდღიურად** და ამაზე არ იღებს არცერთი მოსამართლე ხმას. **სირცხვილია ეს ყველაფერი,** ამის იქით უკვე აღარაფერია!

„ᲐᲮᲐᲚᲘ ᲗᲐᲝᲑᲐ“

# „ტერაქტის მეორე დღეს, 1995 წლის 30 აგვისტოს, იგორ გიორგაძე ჩამოფრინდა თბილისში, შევიდა შევარდნაძესთან და უთხრა – სასწრაფოდ ვიწყებ გამოძიებას! შევარდნაძემ უპასუხა – იგორ, ეგ შენი საქმე არ არის, მაგას სხვები მიხედავენ!“



ზანს — არჩევნების წინ შევარდნაძის თითქმის განულებული რეიტინგის აწევას! **ყველაზე უცნაური ის გახლავთ, რომ 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტი მოხდა ჩემ თვალწინ. დიახ, მე შემსწრე და თვითმხილველი ვარ იმისა, რაც მაშინ „იმელის“ შენობის უკანა ეზოში მოხდა.**

იმ დღეს ჩემი ვაჟი, პატარა **სანდრო მერმანიშვილი,** რომელიც სულ რაღაც ორი წლისა და ოთხი თვის იყო, „იმელში“ წავიყვანე. მოგეხსენებათ, მაშინ სწორედ ამ შენობაში იყო პარლამენტი და იქვე გახლდათ შევარდნაძის კაბინეტიც.

**— ბავშვთან ერთად „იმელში“ რა გინდოდათ?**

— იქ ჩემი ძველი თანამშრომლები და მეგობრები მუშაობდნენ და მთხოვეს — ბავშვი გვაჩვენეთო! ბავშვი მეგობრებმა ათამაშეს და აქეთ-იქით არბენინეს... თურმე, იმ სართულზე იყო **ჯაბა იოსელიანის** კაბინეტი. „იმელიდან“ წამოსვლა რომ დავაპირე, ჯაბა იოსელიანის მდივანი, მშვენიერი ქალბატონი მომესალმა და ბავშვს მოეფერა — რა კარგი ბიჭიაო! მასთან იმყოფებოდა **ბიგა გელაშვილი,** რომელიც ტელეფონზე საუბრობდა. ის-ის იყო ბავშვთან ერთად „იმელის“ შენობიდან უნდა გამოვსულიყავი, რომ გზად შევეჩეხე **ჯაბა იოსელიანს,** რომელიც სანდროს მოეფერა, რა ლამაზი ბიჭი ხარო და ჰკითხა — იცი, მე ვინ ვარ? — არა, არ ვიცი! — უპასუხა ბავშვმა. — როგორ არ იცი, კაცო, მე ჯაბა ვარ იოსელიანი! — ბავშვმა არც აცია, არც აცხელა და ჯაბას სახელის გაგონებაზე წამოიძახა — აააა, ვიცი, ვიცი, ქურდი და ყაჩაღი ხარო! *(იცინის)* მოულოდნელობისგან გავშრი... *(იცინის)* ჯაბამ სერიოზული სახე მიიღო, გადმომხედა და მრავალმნიშვნელოვნად თქვა — **ოჰო, ყოჩაღ, ჩემზე სახლში რასაც ლაპარაკობთ, ბავშვმა სწორედ ის გაიმეორაო!** წასვლა დავაპირე, მაგრამ ჯაბა იოსელიანმა შემაჩერა და მითხრა — **დამელოდეთ, არ წახვიდეთო!** აი, მაშინ კი მართლა შემეშინდა და გავიფიქრე — ვაიმე, ნეტავ, რას გვიპირებს ეს კაცი-მეთქი?! ჯაბა მალე გამოჩნდა ფოტოსურათით ხელში, რომელიც ბავშვს მისცა და უთხრა — **დედაშენს და მამაშენს არ დაუჯერო, მე თეატრში ვმუშაობ და შეხედე, რა კარგ ხალხთან ერთად მაქვს სურათი გადაღებულიო!** აი, ეს ფოტოსურათიც, სადაც ყველანი ერთად არიან: შევარდნაძეც, პატრიარქიც, გიორგი ჭანტურიაც, ნანულიც, ზურაბ წერეთელიც და ჯაბაც. ერთი სული მქონდა, ჯაბას გავცლოდი. გამოვედი ზუსტად იმ მხარეს, სადაც დღეს მერაბ მამარდაშვილის ძეგლი დგას. ბავშვი ჩახტა „იმელის“ უკანა ეზოსკენ ჩამავალ კიბეზე და სწორედ ამ დროს გაისმა აფეთქების ხმა. ატყდა ერთი ამბავი... ბავშვთან ერთად სასწრაფოდ გამოვიქეცი და გულგახეთქილმა დავტოვე იქაურობა.

**— როდის გაგიჩნდათ პირველი ეჭვი, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტი სინამდვილეში სპექტაკლი იყო?**

— 1996 წელს ერთ ბიჭს, რომელიც ჩემ ხელში იყო გაზრდილი და პროკურატურიდან უმიზეზოდ უშვებდნენ, გენერალურ პროკურატურაში მივყევი, სადაც მაშინ ჩემი ახლობელი, კასპის ყოფილი პროკურორი მუშაობდა. მას მაგიდაზე ედო 29 აგვისტოს ტერაქტის საქმე. ვიდრე ჩვენთვის მოიცლიდა, ხუმრობით მითხრა — მაყვალა, თუ გინდა, გადახედე, იქნებ, რამე იპოვოო! მეც გავეხუმრე — ვაიდა, რამე ვიპოვო, იცოდეთ, არ დაგინდობთ-მეთქი! ის დრო იყო, როცა 1995 წლის 29 აგვისტოს ტერაქტზე საერთოდ არაფერი მქონდა დაწერილი. გადავფურცლე საქმის მასალები და ჰოი, საკვირველებავ, მაშინვე ვიპოვე დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ მთელი ეს საქმე თეთრი ძაფით ნაკერი, შეთითხნილი და ყურით მოთრეულია!

**— მაინც რა დოკუმენტზეა ლაპარაკი?**

— ეს არის პატაკი, რომელსაც ვითომდა „ალფას“ უფროსი **გელა პაპუაშვილი** უშიშროების მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის **ავთანდილ იოსელიანის** სახელზე წერს!

**— მაინც რა ეწერა ამ პატაკში?**

— დავიწყოთ იმით, რომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, უშიშროების მინისტრი იგორ გიორგაძე 1995 წლის 18-19 აგვისტოდან, შევარდნაძის დავალებით, თურქეთში იმყოფებოდა. სხვათაშორის, **იგორ გიორგაძეს** შევარდნაძემ მაშინ **სულეიმან დემირელთან** ჭადრაკი გაატანა. 24 აგვისტოს თბილისში მიიღეს კონსტიტუცია, ხოლო 25-ში შევარდნაძემ თქვა — შეუძლოდ ვარო და **ნატო ონიანს** ინტერვიუ არ მისცა.

26 აგვისტოს შევარდნაძესთან შევიდა შინაგან საქმეთა მინისტრი **შოთა კვირაია,** რომელმაც უთხრა — მგონი, რაღაც ტერაქტი მზადდება, მაგრამ ამ ტერაქტს შენ გიწყობენ თუ მე, არ ვიციო! შევარდნაძემ კვირაიას სიტყვა ბანზე აუგდო — ტერაქტი არა ის მზადდება, ერთი შენ მოგცლიაო! 1995 წლის 26 აგვისტო არის ძალიან მნიშვნელოვანი დღე — თურქეთიდან წამოსული **იგორ გიორგაძე** იმყოფება მოსკოვში, მაშინდელი ელჩის **ვაჟა ლორთქიფანიძის** კაბინეტში, თვითმფრინავის ბილეთი აღებული აქვს და აპირებს თბილისში გამოფრენას. გიორგაძემ დაურეკა შევარდნაძეს და უთხრა — თბილისში ვბრუნდებიო! შევარდნაძემ უპასუხა — **არ დაბრუნდე, მანდ რაღაც საკითხებია გასარკვევი, ვაჟა ყველაფერს გეტყვის, იმას მიხედე და მერე ჩამოდიო!**

ამ ლაპარაკის შემდეგ იგორ გიორგაძემ თვითმფრინავის ბილეთი დააბრუნა. 28 აგვისტოს შევარდნაძემ ინტერვიუ მისცა **ნატო ონიანს** და განაცხადა — შეუძლოდ ვიყავი, ხალხს რაღაც ეჭვები გაუჩნდა, მაგრამ ახლა კარგად ვარო! 29 აგვისტოს იგორ გიორგაძის მოადგილე **ავთანდილ იოსელიანი** თბილისის აეროპორტში იყო, რომელსაც აცილებდა სპეცრაზმ „ალფას“ უფროსი **გელა პაპუაშვილი.** ამავდროულად, პაპუაშვილი აცილებდა იგორ გიორგაძის ოჯახის წევრებს — მეუღლესა და ბავშვებს, რომლებიც მოსკოვში მიდიოდნენ, ანუ **ავთანდილ იოსელიანი და იგორ გიორგაძის ცოლშვილი თბილისიდან ერთად გაფრინდნენ,** მაგრამ აქ ერთი დეტალია მნიშვნელოვანი — იოსელიანს ეს ბილეთი 29 აგვისტოს რეისზე დაახლოებით თვე-ნახევრით ადრე ჰქონდა დაჯავშნილი.



## „გიორგაძეს შევარდნაძემ სულეიმან დემირელთან ჭადრაკი გაატანა!“

**— ავთანდილ იოსელიანი რა საქმეზე მიდიოდა?**

— იოსელიანი ქალიშვილს აცილებდა ამერიკაში, რომელიც მოსკოვიდან უნდა გაფრენილიყო. მოსკოვში რომ ჩაფრინდნენ, ტერაქტი უკვე მომხდარი იყო... იგორ გიორგაძემ ავთანდილ იოსელიანს უთხრა — ბავშვი არ დატოვო, გაყევი და გააცილე, მე თბილისში უნდა წავიდეო! იოსელიანმა მინისტრს არ დაუჯერა და უკან დაბრუნდა. **ტერაქტის მეორე დღეს, 1995 წლის 30 აგვისტოს, იგორ გიორგაძე ჩამოფრინდა თბილისში, შევიდა შევარდნაძესთან და უთხრა — სასწრაფოდ ვიწყებ გამოძიებას! შევარდნაძემ ამაზე უპასუხა — იგორ, ეგ შენი საქმე არ არის, მაგას სხვები მიხედავენ!** — როგორ არ არის ჩემი საქმე? კარგით, ამ საქმეში არ ჩავერევი, მაგრამ რა სპექტაკლიც დადგით, იყავით და ითამაშეთ! — თქვა გიორგაძემ, შევარდნაძის კაბინეტის კარი გამოიხურა და წამოვიდა. სულ ვინტერესდებოდი, ე.წ. ტერაქტის შემდეგ რატომ არ წაიყვანეს შევარდნაძე ვაკეში, მეცხრე საავადმყოფოში, რომელიც „იმელის“ შენობიდან ყველაზე უფრო ახლოს იყო და რატომ წაიყვანეს ბევრად უფრო შორს, ე.წ. რესპუბლიკურში. როგორც გავარკვიე, მაშინ რესპუბლიკურ საავადმყოფოში ექიმი იყო **ირაკლი თოფურიძე,** რომელიც სააკაშვილის დროს მინისტრის მოადგილედაც მუშაობდა და მერე დაიჭირეს, მგონი... **ირაკლი თოფურიძის** დედა, რომელიც ადრე კონტროლის პალატაში მსახურობდა, შევარდნაძის უახლოესი მეგობარი იყო. როცა ეს ე.წ. ტერაქტი მოხდა, ირაკლი თოფურიძის დედა პარლამენტში ე.წ. დეპუტატთა ოთახის ხელმძღვანელი იყო. **დავადგინე და აღმოვაჩინე ისიც, რომ 1995 წლის 29 აგვისტოს ე.წ. ტერაქტის ათვლა 12 აგვისტოდან უნდა დავიწყოთ!**

**— 12 აგვისტოს რა მოხდა?**

— 12 აგვისტოს მედია ჩართეს პროცესებში და დაიწყეს საზოგადოების შემზადება რაღაც-რაღაცებისთვის! კერძოდ, **1995 წლის 12 აგვისტოს სამართალდამცავთა შეკრებაზე შევარდნაძემ აქო და ადიდა შინაგან საქმეთა მინისტრი შოთა კვირაია და დაარტყა უშიშროების სამინისტროს.** პარალელურად, სახელმწიფო ტელევიზიამ დაიწყო უშიშროების სამინისტროს დისკრედიტაცია, მზადდებოდა სიუჟეტები იმის შესახებ, თუ რა ცუდი იყო დახვრეტები, 30-ანი წლების რეპრესიები და ა.შ. ეს მანქანა, რომელიც დაიქოქა და უშიშროების სამინისტროს დისკრედიტაციას ეწეოდა, არჩევნებამდე არ გაჩერებულა.

**— ტერაქტის შემდეგ იგორ გიორგაძე და ედუარდ შევარდნაძე საქართველოდან ერთად გაფრინდნენ, მაგრამ შევარდნაძე წავიდა შუა აზიაში, ხოლო გიორგაძე — რუსეთში თუ თურქეთში, ზუსტად არ მახსოვს.**

— მანამდე, 30 აგვისტოს, ანუ ე.წ. ტერაქტის მეორე დღეს, შევარდნაძეს მოუვიდა ძალიან მნიშვნელოვანი წამოცდენა და რესპუბლიკის მოედანზე გამართულ მიტინგზე განაცხადა — **მაფიები და ბანდიტები ხელისუფლებას ხელში ვერ ჩაიგდებენ, საქართველოს ჰყავს კანონიერი პარლამენტი და ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტიო!** სად ჰყავდა საქართველოს 1995 წლის 30 აგვისტოს ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი?! არჩეული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ამ დროს მოკლული გახლდათ, ხოლო შევარდნაძე მაგ დროს პრეზიდენტად არჩეული არ ყოფილა. უფრო მეტიც, საპრეზიდენტო ინსტიტუტიც კი არ არსებობდა, მაგრამ შევარდნაძემ ვერ დამალა თავისი მიზანი და წამოსცდა, რომ რადაც უნდა დასჯდომოდა, სწორედ ის გახდებოდა პრეზიდენტი!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

***გაგრძელება იქნება***



## „გიული ალასანიამ ჩემი წიგნები დააპატიმრა!“

## კვირგვინოსნები

**ზაურ ბედია**
*მფრინავი*



1992 წლის 10 იანვრის რეისს **ჩემი ცხოვრების მთავარ რეისს** ვუწოდებ. სომხეთის საზღვარს რომ გადავცილდი და საქართველოში შემოვედით, დაგვადევნეს რუსული ავიაცია. **თვითმფრინავში იყვნენ ზვიადი ოჯახით და მანანა ძოძუაშვილი.** გვერდით ამომიდგა სამი გამანადგურებელი თვითმფრინავი. ისეთი ილეთები გავაკეთე, იმათ იფიქრეს, გიჟია ვიღაცაო. 5 წუთი მაინც გრძელდებოდა შეხლა-შემოხლა. მერე კი სად წავიდნენ, არც ვიცი. **ჩემზე ხშირად წერენ, გამსახურდიას მფრინავიაო. არ ვარ, ბატონებო, ზვიად გამსახურდიას მფრინავი.** ერთხელ გადავიყვანე მხოლოდ და შევასრულე ჩემი როლი, როგორც ქართველისა. ვალდებული ვიყავი, რადგან ჩემი პრეზიდენტი იყო!

„სარკე“

**ალი ბაბაევი**
*საქართველოს აზერბაიჯანელთა ეროვნული კონგრესის თავმჯდომარე*



**მე მომხრე ვარ ევროკავშირის წევრობის,** მაგრამ იმის გამო, რომ **საქართველოს არ მოსწონს ლგბტ საზოგადოება, არ გახსნა მეორე ფრონტი რუსეთის, აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ,** ამის გამო თუ არ მიგვიღებენ ევროკავშირის წევრად, არ გვინდა, ბატონო.

„საერთო გაზეთი“

**კაია კალასი**
*ესტონეთის პრემიერ-მინისტრი*



**ძალიან მაწუხებს ნაადრევი მოწოდებები ცეცხლის შეწყვეტის ან მშვიდობის შესახებ,** რადგან ცეცხლის შეწყვეტა არ ნიშნავს, რომ ოკუპირებულ ტერიტორიებზე სისასტიკე დასრულდება. **ჩვენ უკვე სამჯერ დავუშვით ეს შეცდომა საქართველოში, დონბასსა და ყირიმში** და ამ შეცდომას ვერ გავიმეორებთ.

„საქართველოს რესპუბლიკა“

**როман გოცირიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



როცა **კორონა მორჩა თუ მილევისაკენ წავიდა,** სწორედ მაშინ შემეყარა.

„აიპრესი“



**„სიმართლე გითხრათ, როგორც ადამიანი, შემეცოდა, სადამდე დაეცა – კაცი, რომელიც თავზე ბუზს არ დაიფრენდა, შუაგულ რკინიგზის სადგურზე დგას და თავგადაკლული მღერის!“**

ფულებს ითვლიდა. კაპიკებში იგდებდა ხელში ხალხის ქონებას. ის ტერიტორია ზუგდიდში, სადაც ახლა „თიბისი ბანკის“ ცენტრალური ოფისია, ფაქტობრივად, ჩვენგან იჩუქა. მილიონნახევრიანი ქონება 100 ათასად წაიღო. ეს აგვისტოს ომიდან თვენახევარში მოხდა. მამაჩემი, ფაქტობრივად, გაძარცვა, სააკაშვილის ხელისუფლებას კი დანაშაული ჩამორეცხა!

თემურ ყორშიას ზურგი აქცია თემურ ჭყონიამაც, რომელიც დღეს კუდს უქიცინებს ნაციონალებს და გვარამიას ტელევიზიას აფინანსებს. ჰკითხეთ აბა, ნაციონალური მოძრაობიდან რომელმა მაღალმა თანამდებობის პირმა დაურეკა და უთხრა, თემურ ყორშიასთან კავშირი გაწყვიტეო?! მოვა დრო და ამ პიროვნების სახელსაც ვიტყვი. მერობას რომ აპირებდა, ისეთი კაცი მოსკოვის ციხეში ჩამოკიდეს, თითქოს მწყერი ყოფილიყო. **თემურ ჭყონიამ და ხაზარაძემ არათუ**

## *ლაშა ყორშია:*

# სურვილი გამიჩნდა, რკინიგზის სადგურზე მომღერალი მამუკა ხაზარაძისთვის ლარიანი ჩამეგდო!



**შემოდებული თემურ ყორშიას და ათასობით სხვა ნაციონალების მიერ დაზარალებული ადამიანის საქმე? მამუკა ხაზარაძეს სისხლის სამართლის დანაშაულში დავადე ხელი, მაგრამ დღემდე არც ის დაუკითხავთ და არც – მე.**

***„თიბისი ბანკიდან“ პოლიტიკაში გადაბარგებულმა მამუკა ხაზარაძემ, როგორც იქნა, თავისი ადგილი იპოვა და თბილისის რკინიგზის სადგურზე ამღერდა! ძნელი სათქმელია, უკრაინულ ენაზე მოგალობე ბანკირმა რამდენად მოიგო მოძმე ხალხის გული, თუმცა, მისმა ხმამ ვერ გადაფარა იმ გამწარებულ თანამოქალაქეთა აღშფოთება, რომლებმაც მევახშის მიზეზით არათუ ქონება, ზოგჯერ თავიც კი დაკარგეს. ბიზნესმენ თემურ ყორშიას ვაჟი ლაშა ყორშია ამბობს, რომ შეიძლება, პოლიტიკურად ახუნტრუცებულ „ლელოს“ თავკაცს დღეს ემღერება, მაგრამ ის დროც მოვა, როცა ხალხი მას სულ სხვა ნოტაზე აამღერებს და პასუხს მოსთხოვს იმ არაკაცობისთვის, რის გამოც დღემდე ბოდიში არ მოუხდია.***

**— მოისმინეთ ხაზარაძის სიმღერა?**

— სმენა ჰქონია, მაგრამ რაც არ უნდა, ის არ ესმის. ჯობდა, სინდისი ჰქონოდა სუფთა და ხალხის დასაცინად თავი არ აეგდო! არაკაცის სახელის ჩამორეცხვას სიმღერით ცდილობს. **სიმართლე გითხრათ, როგორც ადამიანი, შემეცოდა, სადამდე დაეცა — კაცი, რომელიც თავზე ბუზს არ დაიფრენდა, შუაგულ რკინიგზის სადგურზე დგას და თავგადაკლული მღერის.** ფულის სიყვარულის გამო იაფფასიან პოლიტიკურ კეკლუცობაზეც არ ამბობს უარს. კარგი მსახიობი რომ იყო, თავისი ცხოვრებითაც დაამტკიცა, მაგრამ ასე თუ გაიბითურებდა თავს, ნამდვილად არ ველოდი. **სურვილი გამიჩნდა, ლარიანი ჩამეგდო მისთვის, როგორც პოლიტიკური ქულების გაქნილი მათხოვრისათვის.**

ვის რად უნდა მისი სიმღერა ან ვის სჯერა მისი მხარდაჭერის, როცა საკუთარი ხალხი არ დაინდო, გაძარცვა და გაატყავა?! უკრაინელი ხალხის მხარდასაჭერად „ვაგზალზე“ რომ დადგა, სად იყო მაშინ, როცა მე ვიბრძოდი?

**— სად იყო?**

— თავის ოფისში იჯდა და **დუმილი არჩიეს, ზურგში მახვილი ჩასცეს თავიანთ პარტნიორს. სააკაშვილის ბოროტება გააძლიერეს!** ჯოჯოხეთი გამოვიარე. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ამ ხალხმა სანაგვეში მოისროლა.

**— რამდენადაც ვიცით, ხაზარაძის დამსჯელ ღონისძიებებს უამრავი თანამშრომლის სამსახური შეეწირა და ბევრიც ულუკმაპუროდ დარჩა...**

— ჰოდა, ვკითხოთ, რატომ არ იმღერა მათ გასამხნევებლად? სააკაშვილის შეეშინდა თუ უკრაინელი ხალხის უბედურება უფრო მიიტანა გულთან?

მიუხედავად იმისა, რომ ხაზარაძე ხელისუფლების შეცვლის პირველ წლებში „ქართულ ოცნებასთან“ ახლობლობდა, არც კი იკადრა პროკურატურაში ჩვენების მისაცემად მისვლა და სიმართლის თქმა, არადა, თემურ ყორშიას საქმეში ოქროს მოწმე იყო, ბრწყინვალედ იცოდა, რა და როგორ მოხდა. ჯერ იყო, „ოცნებას“ ეტმასნებოდა, მაგრამ იგრძნო თუ არა, რომ მისი ბინძური საქმეები გამჟღავნდებოდა, ისევ ნაციონალებს შეაფარა თავი და პოლიტიკაში გადასვლით თავის დაძვრენა სცადა. ტიპური ყვარყვარეა! თუმცა, დღეს გული ხაზარაძის არაკაცობაზე მეტად „ოცნებაზე“ მტკივა, რომლის გვერდითაც ვიდექი წვიმასა და ქარში, დანის პირზე გავიარე, რომ მოძალადე რეჟიმი მოგვეშორებინა.

**— „ოცნებისგან“ რას ითხოვთ?**

— სწორედ „ქართულ ოცნებას“ ეკისრება პასუხისმგებლობა, ჩემნაირი ათასობით ადამიანის უფლებები ფეხქვეშ რომ გაითელა. მწარედ მოგვატყუეს! იმის ნაცვლად, ხაზარაძე თავისი დანაშაულისთვის პასუხს აგებდეს, მღერის და ისევ პოლიტიკური ქულების ჩაწერას ცდილობს. ნინიას ბაღად, დამნაშავეების თავშესაფრად იქცა პარლამენტი. რა უნდათ იქ ხაზარაძეს და მისნაირ მძარცველებს?! ასე გვინდა ევროკავშირში შესვლა?!

ერთი შეკითხვით მინდა, მივმართო ჩემს მეგობრებს უმრავლესობიდან, მათ შორის, **მიხეილ სარჯველაძეს,** რომელიც ჩემი ჯგუფელი გახლდათ და, ასე თუ ისე, იცის ჩემი ოჯახის ტრაგედია. **მიშა, ჩემო ძვირფასო მეგობარო, იქნებ ჰკითხოთ მამუკა ხაზარაძეს, რომელიც პარლამენტში გვერდით გიზის, რა მოუვიდა თემურ ყორშიას 2008 წელს? არ გაინტერესებთ, რა პასუხს გაგცემთ? წამიერად მაინც თუ შეაწუხა სინდისის ქენჯნამ, როცა ანაკლიაში ჩემი საგვარეულო მიწიდან მიმართა საზოგადოებას და წარუდგინა პარტია „ლელო“?** გაბედეთ და ჰკითხეთ, ვისი ჯიბიდან ამოღებული ფულით გახდა მდიდარი და როგორ მოახერხა სააკაშვილის მმართველობის დროს ამ კეთილდღეობის შენარჩუნება?

**მოიკითხეთ, რატომ არის დღემდე თაროზე**



**„ჯოჯოხეთი გამოვიარე. ჩემი ცხოვრების საუკეთესო წლები ამ ხალხმა სანაგვეში მოისროლა!“**

**— შეიძლება უკრაინელების მხარდასაჭერად ამღერებული ხაზარაძის გაკრიტიკებისათვის ბევრმა აქეთ მოგდოთ შარი — რას ერჩით, უკრაინელების გასამხნევებლად პარლამენტარმა კაცმა რკინიგზის სადგურზე სიმღერაც კი არ ითაკილაო...**

— კიდევ ერთხელ გავიმეორებ — მამუკა ხაზარაძე არის სააკაშვილის ჩანერგილი ბოროტება, რომელიც დღესაც ნაციონალების საქმეს აკეთებს. ეს არაკაცი და პირფერი ადამიანი ორი შაურის გამო სინდისსაც გაყიდის და სამშობლოსაც! **არ მგონია, ვინმეს სჯეროდეს, რომ უკრაინელების დარდმა აალებინა გიტარა ხელში. ახლაც თვალთმაქცობით ცდილობს იმ ხალხის გულის მოგებას, რომელიც თავად გაყვლიფა.** წარმოგიდგენიათ, რა დონის ნაძირალაა? ნეტა, იქ ვყოფილიყავი, პირში მივახლიდი სათქმელს, ვაჟკაცურად შევაგინებდი და ვნახავდი, კამერების წინ როგორ იმღერებდა!

უკვე მეათასედ ვამბობ — ვიდრე საქართველოში ასეთი პირფერი ვითომ ბიზნესმენ-პოლიტიკოსების დრო არ დასრულდება და ერთგულ ადამიანებს არ დააფასებენ, ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის იქნება აღებმიცემობა, ღალატი და ქვეყნის გამყიდველთა სიმრავლე!

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

№6 (130) ★ 2022 ᲬᲚᲘᲡ 13 ᲘᲕᲜᲘᲡᲘ ★ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 2003 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ




# ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲯᲔᲠ ᲩᲐᲘᲡᲕᲐᲠᲐ ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲛ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲗᲐᲜ?

***წინა კვირას 308 უსინდისო ევროდეპუტატმა საქართველოს შესახებ უსინდისო რეზოლუცია მიიღო და ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება სამი ძაღლისშვილის — სააკაშვილის, გვარამიასა და კეზერაშვილის დევნა-შევიწროებაში დაადანაშაულა! უფრო მეტიც, ევრო-ამერიკელი პოლიტმეძავები წიხლს გვაჭერენ და გვიჩხიკინებენ — რუსეთს სანქციები დაუწესეთ და ომი გამოუცხადეთო, თვითონ კი კრემლთან რუბლით ვაჭრობენ და რუსულ ფულს ამყარებენ. დიახ, ევროპა რუსეთისგან ნაყიდ ნავთობსა და გაზში ყოველდღიურად მილიარდ დოლარს იხდის, ხოლო ნაძირალა ზელენსკისა და მის გერაშენკო-პოდოლიაკებს წამითაც არ უჩნდებათ სურვილი, უკრაინის ტერიტორიაზე გამავალ ნავთობსადენებს წერაყინი მაინც დაჰკრან და გერმანელებისა და ფრანგებისათვის რუსული გაზის გადაკეტვას შეეწირონ.***



ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘᲡ ᲨᲔᲜᲝᲑᲐ ᲡᲢᲠᲐᲡᲑᲣᲠᲒᲨᲘ

დასავლეთი საქართველოსთან მიმართებაშიც ისტორიულად ყოველთვის უსინდისოდ იქცეოდა, მაგრამ ჩვენ არასდროს მოგვცემია შანსი, ევროპისთვის სინდისი გაგვეღვიძებინა, რადგან ასეთი რამ, როგორც ჩანს, მას საერთოდ არა აქვს! **სწორედ ევროპის დეგრადაციამ და ტოტალურმა უსინდისობამ მიიყვანა დიდი გერმანელი მოაზროვნე და პუბლიცისტი ᲝᲡᲕᲐᲚᲓ ᲨᲞᲔᲜᲒᲚᲔᲠᲘ იქამდე, რომ 1918 წელს დაეწერა „ევროპის დაისი“, სადაც გარკვევით ითქვა, ევროპა, როგორც პოლიტიკური და კულტურული სივრცე, განწირულია დასაღუპავად და უახლოეს მომავალში ევროპულ ცივილიზაციას ჩაანაცვლებენ სრულიად სხვა კულტურები და ხალხები!**

„ევროპის დაისი“ პირველ მსოფლიო ომში კაიზერული გერმანიის დამხობისა და განადგურების ფონზე დაიწერა. ის დრო იყო, როცა ვერსალის ზავით გაცამტვერებულ და დამცირებულ გერმანიას ბავარია ცალკე რესპუბლიკად გამოეყო, სადაც საბჭოთა წეს-წყობილება დამყარდა, ხოლო დანარჩენ ევროპაში, რომელსაც შიმშილი და ანარქია უტევდა, არ არსებობდა დიდი და გამოკვეთილი პოლიტიკური ლიდერი, რომელიც ევროპული ცივილიზაციის მოახლოებულ კატასტროფას თავისი ძლიერი მხრებით შეაჩერებდა. **ᲰᲘᲢᲚᲔᲠᲘ, რომელსაც ჰქონდა უდიდესი მესიანისტური ამბიციებიც და სამხედრო პოტენციალიც, საბოლოოდ იმ სისხლსა და უბედურებაში ჩაიხრჩო, რომელიც ნაციონალ-სოციალისტურმა პარტიამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით მოიტანა. ასე აყროლდა და ჩაიმარხა ფაშისტური მოძრაობა თავისსავე საკონცენტრაციო ბანაკებში, რადგან ის დაშორდა ქრისტიანობას!**

დღევანდელი ევროპაც ყარს, რადგან მან ქრისტიანულ ფასეულობებს მიაფურთხა. **წინა კვირას 308 ევროდეპუტატიც ისე უსინდისოდ მოიქცა, რომ სინდისი ქართველ ერსაც შეუტოკდა და ნაწილ-ნაწილ და ფრაგმენტულად ითქვა ის, რაც აქამდეც უნდა თქმულიყო — საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა, ევროპული ცივილიზაცია და კრეტა-მიკენის სამყარო სწორედ ოქრომრავალი კოლხეთიდან, აიეტიდან, მედეადან, არგონავტებიდან იწყება და ამდენად, ჩვენი მიპატიჟება ევროპაში ცოტა არ იყოს, იმ ტრაგიკომიკური, მაგრამ, ამავდროულად, დიადი ისტორიის ანალოგია, როცა 1057 წელს დიდმა და სახელოვანმა** ᲒᲘᲝᲠᲒᲘ **ᲛᲗᲐᲬᲛᲘᲜᲓᲔᲚᲛᲐ ანტიოქიაში გამართულ დისპუტზე საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია გმირულად დაიცვა.** მოგეხსენებათ, ჩვენმა დიდმა და სახელოვანმა მამამ მაშინ ანტიოქიის პატრიარქ ᲗᲔᲝᲓᲝᲡᲘᲡ უთვალავუანგარიშო ბერძენი სასულიერო პირების თანდასწრებით იქით შეუტია — **მცხეთის საეკლესიო ტახტი კი არ უნდა დაექვემდებაროს ანტიოქიას, არამედ პირიქით, ანტიოქია უნდა დაექვემდებაროს მცხეთას, რადგან ჩვენი ეკლესია დაფუძნებულია ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲬᲝᲓᲔᲑᲣᲚᲘᲡ მიერ, ხოლო თქვენი — ᲞᲔᲢᲠᲔᲡ მიერ და მოვიქცეთ ისე, როგორც წმინდა წერილში წერია — ანდრია კი არ შევიდა პეტრეს სარწმუნოებაში, არამედ პეტრე შევიდა ანდრია პირველწოდებულის რწმენაშიო!**

დაახლოებით ამ დატვირთვას ატარებდა ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲦᲐᲠᲘᲑᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ განცხადება, როცა მან ახალი სპორტის სასახლის გახსნის ცერემონიალზე, უპირველეს ყოვლისა, ქართველი ხაზარჭუტელების და მათი ევროპელი მოკავშირეების გასაგონად ბრძანა — **საქართველო უძველესი ცივილიზაციისა და ქრისტიანული კულტურის ქვეყანაა და შესახვეწნი არავისთან არაფერი გვჭირსო!**

ევროპა საქართველოს უსინდისოდ ექცეოდა მე-14 საუკუნეშიც, როცა საფრანგეთის მეფე **ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲕᲐᲚᲣᲐᲛ** გიორგი ბრწყინვალეს წერილი გამოუგზავნა — **ეგვიპტის სულთანს ეომეო!** ფილიპე ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ომს აპირებდა და მოკავშირეებს ეძებდა. ამ მიზნით მან ფრანცისკანელი ბერები — **ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝ ᲛᲔᲠᲩᲔᲠᲘ** და **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ** თავრიზში გამოგზავნა ილხანთა მონღოლური სახელმწიფოს **ᲧᲐᲔᲜ ᲐᲑᲣ-ᲡᲐᲘᲓᲗᲐᲜ. თავრიზში გამართულ თათბირზე ევროპელ ელჩებს მოახსენეს, რომ აბუ-საიდ ყაენი ეგვიპტის სულთანს არ დაუპირისპირდებოდა, რადგან მასთან სამხედრო კავშირი ჰქონდა შეკრული.** ელჩებს ურჩიეს ქრისტიანულ საქართველოში, თბილისში, ჩამოსულიყვნენ და შეხვედროდნენ საქართველოს დიდებულ **ᲛᲔᲤᲔ ᲒᲘᲝᲠᲒᲘᲡ,** რომელიც შესაძლოა, საფრანგეთის მეფეს დახმარებოდა. 1332 წელს **ᲠᲘᲙᲐᲠᲓᲝ ᲛᲔᲠᲩᲔᲠᲘ** და **ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲔ ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲔᲚᲘ** თბილისში ჩამოვიდნენ და საქართველოში ორი თვე დარჩნენ. გიორგი ბრწყინვალემ საფრანგეთის მეფის ელჩები დიდი პატივით მიიღო, მაგრამ **ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲕᲐᲚᲣᲐᲡᲗᲐᲜ** საყვედურნარევი წერილი გაატანა:

> ***„საფრანგეთის ღვთაებრივი ხელმწიფენი ხშირად აღძრავენ აღმოსავლეთის მეფეებს სარკინოზთა წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ საქმე ის არის, რომ შემდეგ ისინი აღარ მოდიან, სტოვებენ რა მათ ამ მტანჯველ ომში მარტოდ. ამგვარად, გთხოვთ, თქვენ დაადგინოთ, როგორ და როდის გადმოლახავთ ზღვას და მყისვე მეც იქ მიხილავთ, თქვენი კეთილი ნების შესაბამისად, 30 000 ჯარისკაცით!“***

ეტყობა, ცნობა იმის შესახებ, რომ ძლევამოსილი საქართველო შესაძლოა, საფრანგეთის მეფეს ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ბრძოლაში დახმარებოდა, სწრაფად გავრცელდა და ეგვიპტის სულთნის პასუხმაც არ დააყოვნა. **სულთანმა გიორგი ბრწყინვალეს ისეთი წერილი გამოუგზავნა და ისეთი ხოტბა შეასხა, რომლის მსგავსიც არცერთ ქართველ ხელმწიფეს არასოდეს ღირსებია.** აი, ეს წერილიც:

> *„დღეგრძელ ჰყოს ალაჰმა ბრწყინვალება მისი უდიდებულესობისა, მეფეთა შორის საუკეთესოსა, ზღვათა და სრუტეების სამფლობელოების განძისა, ლომისა, დაუცხრომლად მებრძოლისა, თავის ქვეშევრდომთათვის სამართლიანისა(!)... ქრისტიანთა განმადიდებლისა... მუსლიმანთა მეგობრისა... დაახლოებულ მეგობართა შორის უმშვენიერესისა...“.*

ცხადია, გიორგი ბრწყინვალე არ შემცდარა — **ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲛᲔᲔᲥᲕᲡᲔ ᲕᲐᲚᲣᲐᲛ,** რომელიც ომში საქართველოს ჩათრევას ცდილობდა, ეგვიპტის სულთნის წინააღმდეგ ომი ვერ დაიწყო, რადგან 1337 წელს ინგლისსა და საფრანგეთს შორის ასწლიანი ომი ატყდა.

თვით ნაძირალა **ᲧᲕᲐᲠᲧᲕᲐᲠᲔ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲯᲐᲥᲔᲚᲘᲪ** კი, რომელმაც, სხვათაშორის, 1491 წელს არზრუმი აიღო, მაგრამ საქართველოს ერთიანობას ძირს უთხრიდა და სამცხე-საათაბაგოს საეკლესიო დამოუკიდებლობისთვის თავს იკლავდა, მზად იყო, 30 ათასი ქართველი გამოეყვანა კონსტანტინოპოლიდან თურქების გასარეკად. საქართველოში 1460 წელს ჩამოსულ პაპის ელჩს **ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲝ ᲑᲝᲚᲝᲜᲘᲔᲚᲡ** ყვარყვარეც და დანარჩენი ქართველებიც ამაოდ ურჩევდნენ — **ვიდრე თურქები კონსტანტინოპოლში მომძლავრებულან, მანამდე დავესხათ და განვდევნოთო! მაგრამ ევროპელთა ცრუქაქუნობას ბოლო არ უჩანდა...**

თეიმურაზ პირველის ელჩმა **ᲜᲘᲙᲘᲤᲝᲠᲔ ᲩᲝᲚᲝᲧᲐᲨᲕᲘᲚ-ᲘᲠᲑᲐᲮᲛᲐ** ევროპაში ვერაფერი გააწყო — ესპანეთის იმპერია **ᲗᲔᲘᲛᲣᲠᲐᲖ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲡ** სიყვარულს ეფიცებოდა, მაგრამ **ᲨᲐᲰ-ᲐᲑᲐᲡᲗᲐᲜ** საბრძოლველად მზად არ იყო. სამაგიეროდ, მეფეებიც და პაპებიც ერთს დაჟინებით გვთხოვდნენ — მართლმადიდებლობა დათმეთ და კათოლიციზმი აღიარეთო!

საცოდავი **ᲡᲣᲚᲮᲐᲜ-ᲡᲐᲑᲐ** მოგვიანებით ასეც მოიქცა, რისთვისაც სვეტიცხოვლის ეზოში წვერით ითრიეს, მაგრამ არც ამ საქმიდან გამოვიდა რა — **მთელი ევროპა შემოიარა, ᲚᲣᲓᲝᲕᲘᲙᲝ ᲛᲔᲗᲝᲗᲮᲛᲔᲢᲔᲡᲐᲪ შეხვდა, მაგრამ „რაც შეიტანა ისევე ის გამოიტანა იმ სახელგანთქმულ ვერსალიდან ელჩმან ქართლისამ!“**

გერმანელი ექიმი **ᲘᲐᲙᲝᲑ ᲠᲐᲘᲜᲔᲥᲡᲘ,** რომელიც **ერეკლე მეორის** კარზე მოღვაწეობდა, ძაღლთაპირი **ᲞᲐᲕᲚᲔ ᲞᲝᲢᲘᲝᲛᲙᲘᲜᲘᲡ** პირადი აგენტი და დივერსანტი იყო, ქართლ-კახეთში მასონობას ავრცელებდა...

**1920 წლის 17 დეკემბრის** სხდომაზე საქართველო ერთა ლიგაში არ მიიღეს, რადგან საფრანგეთის წარმომადგენელმა **ᲕᲘᲕᲘᲐᲜᲛᲐ** პირდაპირ განაცხადა —

> ***„საქართველოს ერთა ლიგაში მიღების საკითხი მეტად სერიოზულია. ერთა ლიგაში ახალ სახელმწიფოთა მიმღებ კომისიას არ შეუძლია, მისცეს ერთა ლიგას წინადადება საქართველოს უეჭველად მიღების შესახებ, ვინაიდან შეუძლებელია ამ ჟამად ეგრეთ წოდებულ „რუსეთის საკითხის“ გადაწყვეტა.*** *ერთა ლიგა ვალდებულია, გაუწიოს ანგარიში თავის წესდების მე-10 მუხლს, რომლის თანახმად ერთა ლიგის შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოები ვალდებული არიან, დაიცვან ყოველი თავის თანაწევრი, თუ უკანასკნელს რაიმე საფრთხე მოელის.* ***აშკარაა, ის სახელმწიფოები, რომლებიც მისცემდნენ ხმას საქართველოს ერთა ლიგის შემადგენლობაში მიღების საკითხს, ამით აიღებდენ თავის თავზე ვალდებულებას, აღმოეჩინათ დახმარება საქართველოსათვის, თუ უკანასკნელს რაიმე გარეშე საფრთხე დაემუქრებოდა. ასეთი ვალდებულების სისრულეში მოყვანა კი ამ ჟამად მეტად ძნელია!“***

ანუ კაცმა პირდაპირ განაცხადა — რუსეთს საქართველოს გამო ვერ შევებრძოლებით და ამიტომაც ვერ მიგიღებთო!

სახელოვანი ნორვეგიელი პოლარული მკვლევარი **ᲤᲠᲘᲓᲢᲘᲝᲤ ᲜᲐᲜᲡᲔᲜᲘ** იმავე სხდომაზე ლამის დაჩოქილი ეხვეწებოდა მთელ ევროპას საქართველოს ერთა ლიგაში გაწევრიანებას, მაგრამ ამაოდ — **ევროპამ ისევ ჩაისვარა!**

**ევროპამ ჩაისვარა მაშინაც, როცა 1920 წლის დეკემბერში ᲜᲝᲔ ᲟᲝᲠᲓᲐᲜᲘᲐ ინგლისელებს** ლამის მუხლებზე დაუდგა — **არ წახვიდეთ და ბათუმში სამხედრო ბაზისთვის ტერიტორიას გამოგიყოფთო! ინგლისელებმა რუსების შიშით მაინც მოკურცხლეს...**

ევროპამ და ამერიკამ ერთობლივად ჩაისვარეს, როცა რუსეთს გაურიგდნენ და 1992 წლის 6 იანვარს ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლება დაამხეს!

**ევროპა და დასავლეთი ჩასვრილია ახლაც, რომლებმაც სააკაშვილის, ნიკუტა გვარამიას, კეზერაშვილისა და მთელი ნაცსექტის მისვრილ-მოსვრილი უკანალის გაწმენდა-გაპრიალებას მთელი საქართველოს და ქართველი ერის ისტორიული ინტერესები და მიზანსწრაფვა გადააყოლეს!**

შპენგლერი მართალი ყოფილა — **ᲔᲕᲠᲝᲞᲐ ᲙᲕᲓᲔᲑᲐ!**

***ᲓᲘᲢᲝ ᲩᲣᲑᲘᲜᲘᲫᲔ***

# 308 ᲔᲕᲠᲝᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘ ᲘᲡᲔ ᲣᲡᲘᲜᲓᲘᲡᲝᲓ ᲛᲝᲘᲥᲪᲐ, ᲑᲝᲚᲝᲡ ᲓᲐ ᲑᲝᲚᲝᲡ, ᲡᲘᲜᲓᲘᲡᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲔᲠᲡᲐᲪ ᲨᲔᲣᲢᲝᲙᲓᲐ!




# მარშლის ზღაპრები

**იცოდა თუ არა სტალინმა დიდი სამამულო ომის დაწყების ზუსტი თარიღი**



სიმონ ბუდიონი, სტალინი და გიორგი ჟუკოვი მავზოლეუმის ტრიბუნაზე

★ მითი და სინამდვილე

***პიროვნების კულტის დაგმობის წლებში მარშალმა ჟუკოვმა დაწერა მოხსენება, რომელშიც დიდი სამამულო ომის პირველ წლებში განცდილი ყველა წარუმატებლობა სტალინს დააბრალა... თუმცა, კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე მოხსენების წაკითხვისგან თავი შეიკავა. ყველაფერი მართალი იყო იმ მოხსენებაში?***

ზოგიერთი მითის მიხედვით, სტალინს არ სჯეროდა საბჭოთა დაზვერვის მიერ მოპოვებული ინფორმაციისა ომის დაწყების თარიღის შესახებ, ფაშისტების თავდასხმის შემდეგ კი დაიბნა და უაზრო ბრძანებებს გასცემდა. კიდევ ერთი მითის მიხედვით, ბელადს დეპრესია დაემართა, აგარაკზე ჩაიკეტა და არავის შეხვედრია.

## რა მოხდა სინამდვილეში?

რა ხდებოდა ომის წინა დღეებში, როდის შეიტყო **სტალინმა** საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ზუსტი თარიღი და როგორი რეაქცია ჰქონდა? რატომ დაწერა მარშალმა **ჟუკოვმა** 1956 წელს მოხსენება, რომელიც ომში **სტალინის** როლს განაქიქებდა, თუმცა, ეს მოხსენება პლენუმზე არ წაუკითხავს.

## „მარშლის ზღაპრები“

**ჟუკოვის** მოხსენებას, რომელიც 1956 წლის მაისში მოამზადა და რომლის წაკითხვასაც აპირებდა კომპარტიის ცკ-ის პლენუმზე, ბოლო ხანს ხშირად იყენებენ ანტისტალინისტები, როგორც სტალინის დანაშაულის მთავარ მტკიცებულებას ომის პირველ დღეებში საბჭოთა კავშირის კატასტროფაში. თუმცა, სერიოზული ისტორიკოსები და ექსპერტები ამ მოხსენებას „მარშალ ჟუკოვის ზღაპრებს“ უწოდებენ. მოხსენება გაეგზავნა **ნიკიტა ხრუშჩოვს,** რომელმაც ცოტა ხნით ადრე **ჟუკოვი** საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრად დანიშნა. **ხრუშჩოვსა** და **ჟუკოვს** განსაკუთრებული ურთიერთობა ჰქონდათ. 1957 წელს, როდესაც ქვეყნის მმართველებმა ხმათა უმრავლესობით გადაწყვიტეს **ხრუშჩოვის** ჩამოშორება ხელისუფლებიდან, საქმეში ჩაერთო **ჟუკოვი** და განაცხადა, რომ არმია მხარს არ დაუჭერდა „შეთქმულებას.“

ძნელი სათქმელია, ზემოაღნიშნული მოხსენება ჟუკოვის ინიციატივით დაიწერა თუ ხრუშჩოვის თხოვნით, მაგრამ **ცნობილია, რომ ჟუკოვი ნაწყენი იყო სტალინზე, რომელმაც არაერთხელ დააქვეითა ის. მაგალითად, 1946 წლის 9 ივნისს თავდაცვის მინისტრის მოადგილის პოსტიდან გაათავისუფლა გერმანიაში მაროდიორობისთვის.** ჟუკოვს აგარაკზე უპოვეს იატაკზე დაფენილი ძვირფასი ხალიჩები, კედლებზე კი — მუზეუმებიდან წამოღებული ფერწერული ტილოები. არადა, იმხანად სტალინი თავისი საცხოვრებლის კედლებს ჟურნალებიდან ამოჭრილი რეპროდუქციებით ალამაზებდა.

ანტისტალინური მოხსენების დაწერიდან წელიწად-ნახევარში **ხრუშჩოვმა** მარშალი გადააყენა, რადგან შეეშინდა, რომ პირველკაცობაში შეეცილებოდა. კიდევ 10 წლის შემდეგ **ჟუკოვმა,** რომელიც, როგორც ჩანს, მოხსენების გამო თავის გამართლებას შეეცადა, თავის „მოგონებებსა და ფიქრებში“ დაწერა:

**„სტალინი ღირსეული მთავარსარდალი იყო! და, პირდაპირ ვიტყვი, თავი ბრწყინვალე ორგანიზატორად წარმოაჩინა“.**

## რა ეწერა ჟუკოვის მოხსენებაში

„ ...ომის პირველი პერიოდის წარუმატებლობებს სტალინი ხსნიდა იმით, რომ ფაშისტური გერმანია საბჭოთა კავშირს მოულოდნელად დაესხა თავს. ეს არასწორია. არანაირი მოულოდნელობა არ ყოფილა, მოულოდნელობა სტალინის მოგონილია თავისი შეცდომების გასამართლებლად. **22 ივნისს, 3 საათსა და 15 წუთზე,** გერმანელებმა საბრძოლო მოქმედებები დაიწყეს. **3 საათსა და 40 წუთზე** სტალინი გავაღვიძე და მოვახსენე, რომ გერმანელებმა ომი დაიწყეს... **ტიმოშენკოსთან** ერთად ვთხოვე, ებრძანებინა ჯარებისთვის, დაეწყოთ საპასუხო მოქმედებები. სტალინი, რომელიც მძიმედ სუნთქავდა ტელეფონის ყურმილში, რამდენიმე წუთის განმავლობაში ჩუმად იყო, შემდეგ კი წარმოთქვა:

**„ეს პროვოკაციაა. ცეცხლი არ გახსნათ. გადაეცით პოსკრებიშევს** (სტალინის პირადი მდივანი — რედ.) **5 საათისთვის გამოიძახოს ბერია, მოლოტოვი, მალენკოვი, მოდით თქვენც ტიმოშენკოსთან ერთად“.**

თავისი მოსაზრება გერმანელთა პროვოკაციის შესახებ სტალინმა შეხვედრაზეც დაადასტურა. ცნობებმა, რომ გერმანელები ჩვენს ტერიტორიაზე შემოიჭრნენ, ვერ დაარწმუნა ის. **6 საათსა და 8 წუთამდე სტალინს არ გაუცია ნებართვა საპასუხო მოქმედებების დაწყების შესახებ.**

როგორც ხედავთ, ომის პირველ წუთებში სტალინის სახით უმაღლეს ხელისუფლებაში დაბნეულობა სუფევდა. ეს გამოიყენა მოწინააღმდეგემ და დაეუფლა ინიციატივას.“

## ჰიტლერს თვითონ არ ჰქონდა გადაწყვეტილი, როდის დაესხმებოდა


Arm вх. 402 от. 8.5.2001 г.
рассекречена
Сигнальная часть

длежит возвращению
через 48 часов

Совершенно секретно
снятие копий воспрещается

ифровальное отделение
штаба ЗапОВО

69
Цех № Экз. № 5203–5206

ШИФРОВКА №

Поступила 22.6. 01.45
отправлено 22.6. 02.25
02.35

ПОДАНА ПРИНЯТА

на расшифрование

Для резолюции:

СОВЕРШЕННО СЕКРЕТНО

Командующим 3,4,10 армий, передаю приказ Наркома Обороны для немедленного исполнения:

1. В течение 22–23.6.41 возможно внезапное нападение немцев на фронтах ЛВО, ПРИБОВО, ЗАПОВО, КОВО, ОДВО. Нападение немцев может начаться с провокационных действий.
2. Задача наших войск не поддаваться ни на какие провокационные действия, могущие вызвать крупные осложнения. Одновременно войскам ЛВО, ПРИБОВО, КОВО и ОДВО быть в полной боевой готовности встретить внезапный удар немцев, или их союзников.
3. ПРИКАЗЫВАЮ:

а/ в течение ночи на 22.6.41 г. скрытно занять огневые точки укрепленных районов на государственной границе.

б/ перед рассветом 22.6.41 рассредоточить по полевым аэродромам всю авиацию, в том числе и войсковую, тщательно ее замаскировать

в/ все части привести в боевую готовность без дополнительного под"ема приписного состава. Подготовить все мероприятия по затемнению городов и об"ектов.

Никаких других мероприятий без особого распоряжения не проводить.

ТИМОШЕНКО ЖУКОВ"
/ПАВЛОВ/
КЛИМОВСКИХ/

Отпечатано в одном экз.
22.6.41

Расшифровал „____“ 194 г. „____“ час. „____“ мин.
(подпись)

Отп. в „____“ экз.
№1—адресату
№2—в дело
№3—

Дежурный по шифротделению

1. По содержанию шифровки вести разговоры по телефону ЗАПРЕЩАЕТСЯ.
2. ШИФРОВКУ хранить только в НЕСГОРАЕМОМ сейфе адресата или исполнителя.

Зак. 419

***დაშიფრული დირექტივა, რომელიც საბჭოთა ჯარებს 1941 წლის 21 ივნისს გაუგზავნეს***

## თავს საბჭოთა კავშირს

ანტისტალინელები ამტკიცებენ, რომ ბელადი ყურადღებას არ აქცევდა დაზვერვის გაფრთხილებას, რომ ომი დაიწყებოდა. არის კი ეს სიმართლე?

**ძნელი დასაჯერებელია, რომ ისეთი ფრთხილი ადამიანი, როგორიც სტალინი იყო, დაზვერვის ინფორმაციებს უგულებელყოფდა, თანაც, თუ ეს ინფორმაცია ეხებოდა ომის დაწყების თარიღს, მაგრამ ფაქტია, რომ არცერთ მზვერავს ზუსტი თარიღი არ დაუსახელებია.**

ეს ხდებოდა არამხოლოდ იმიტომ, რომ ბერლინი ცრუ ინფორმაციას ავრცელებდა და ცდილობდა, თავგზა აებნია მოსკოვისა და მთელი მსოფლიოსთვის, არამედ იმიტომ, რომ 1941 წლის მაის-ივნისში ხანგრძლივმა წვიმებმა საშუალება არ მისცეს თვითონ **ჰიტლერს,** განესაზღვრა ომის დაწყების ზუსტი თარიღი.

აი, ამონარიდი ჰიტლერის პროპაგანდის მინისტრის **იოზეფ გებელსის** დღიურიდან:

**„ჩვენ გულმოდგინედ ვავრცელებთ ხმებს ინგლისში გადასხდომის შესახებ... 1941 წლის 14 ივნისს ინგლისური რადიოსადგურები იუწყებოდნენ, რომ რუსეთის წინააღმდეგ ჩვენი ჯარების თავმოყრა ბლეფია, რომლითაც ჩვენ ვმალავთ ინგლისში გადასხდომისთვის მზადებას. ზუსტად ეს იყო ჩანაფიქრის მიზანი!**

1941 წლის 15 ივნისი. რუსებს მზადყოფნაში მოჰყავთ თავიანთი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. ეს ნიშნავს, რომ იქ საქმე არც ისე კარგადაა“.

გებელსის ეს სიტყვები მოწმობს: **სტალინი, შეიძლება ამბობდა, რომ არ სჯერა საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისა, მაგრამ ზომებს მაინც იღებდა!**

ომამდე 6 დღით (!) ადრე კი **გებელსმა** დაწერა:

**„1941 წლის 16 ივნისი. ფიურერმა გამომიძახა და მითხრა: „რუსეთზე თავდასხმა მიმდინარე კვირაში დაიწყება. უნდა განვაგრძოთ ხმების გავრცელება მოსკოვთან მშვიდობის შესახებ! უნდა გავავრცელოთ ინფორმაცია, რომ სტალინი ბერლინში ჩამოდის!**

1941 წლის 17 ივნისი. ეს უნდა დაიწყოს შაბათ-კვირის ღამით, 3 საათზე“.

აი, ასე — **ომის დაწყების დღე და საათი ბერლინში მხოლოდ 5 დღით ადრე განსაზღვრეს. თარიღი ადრეც დანიშნეს, მაგრამ რამდენჯერმე გადასწიეს, რათა დაებნიათ საბჭოთა დაზვერვა და მის მიმართ სტალინის უნდობლობა გაეძლიერებინათ.**

კვლავ გებელსის დღიურიდან:

**„1941 წლის 22 ივნისი. რუსეთზე თავდასხმა იწყება. ღამის 3 საათსა და 30 წუთზე სტალინი უნდა დაეცეს...“**

## გაფრთხილება 1 დღით ადრე

არსებობს დოკუმენტები, რომლებიც მოწმობენ, რომ სტალინმა ზუსტად შეიტყო ომის დაწყების თარიღი — 1941 წლის 22 ივნისი.

თანაც, **ბელადმა, რომელიც დაზვერვიდან მანამდე მიღებულ ცნობებს შესაძლო პროვოკაციად მიიჩნევდა, 1941 წლის 21 ივნისს მყისვე შეკრიბა უმაღლესი ხელისუფლების წარმომადგენლები და უბრძანა, შეექმნათ „ზესაიდუმლო დირექტივა (ნომრის გარეშე) დასავლეთის ოლქების ჯარების საომარ მზადყოფნაში მოყვანის შესახებ.**

ვინ გადასცა სტალინს მონაცემები, რომლებზეც ბელადის რეაქცია მყისიერი იყო? ეს გახლდათ საგარეო საქმეთა კომისარი **ვიაჩესლავ მოლოტოვი,** რომელმაც ინფორმაცია დიპლომატიური არხით მიიღო და 21 ივნისს, 18 საათსა და 27 წუთზე, კრემლში მიიტანა. სწორედ ამ დროს გაიმართა სტალინისა და მოლოტოვის საგანგებო შეხვედრა, რომელმაც 38 წუთს გასტანა. ისინი განიხილავდნენ ინფორმაციას, რომლის თანახმადაც 1941 წლის 22 ივნისს მოსალოდნელი იყო გერმანელთა თავდასხმა. ეს გახლდათ **საბაბი ზესაიდუმლო დირექტივის გამოცემისა, რომელიც შეიმუშავეს სტალინთან მიწვეულებმა 19 საათსა და 5 წუთზე.**

თავდასხმის შემდეგ კი 1941 წლის 22 ივნისს, 5 საათსა და 30 წუთზე, გერმანიის ელჩმა სსრკ-ში **ფონ შულენბურგმა** განუცხადა მოლოტოვს, რომ **„გერმანიამ გადაწყვიტა, ომი დაიწყოს სსრკ-ის წინააღმდეგ“.**

## ბელადს არ ეძინა!

გაბათილდა ჟუკოვის კიდევ ერთი „ზღაპარი“, თითქოს, როდესაც სტალინს დაურეკა, მას ეძინა. სტალინის მძღოლის **მიტროხინის** ჩვენებაში წერია: **„22 ივნისს, 3 საათსა და 30 წუთზე, მანქანა მივიყვანე კუნცევოს აგარაკის შესასვლელთან.** იქიდან გამოვიდნენ სტალინი და დაცვის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, გენერალი **კუდრიავცევი.“** მარშალი **სიმონ ბუდიონი** იხსენებს, რომ დაახლოებით 3 საათსა და 50 წუთზე მან და თავდაცვის სახალხო კომისარმა **ტიმოშენკომ** სტალინს პირადად მოახსენეს გერმანელების მიერ სევასტოპოლისა და რიგის დაბომბვაზე.

აღსანიშნავია, რომ **სტალინმა სწორედ ჟუკოვსა და ტიმოშენკოს დაავალა დაშიფრული დეპეშის გაგზავნა, რათა დასავლეთში განლაგებული ჯარები მზად ყოფილიყვნენ 22 ივნისის თავდასხმისთვის.**

*მოამზადა*
***ნიკა კორინთელმა***



პუბლიცისტის ჩანაწერები

# გიორგი ბეჟიტაშვილი

# „დიდი მეგრელის“ აღსასრული

## სტალინის სიკვდილის კვალდაკვალ, 100-დღიანი მმართველობის შემდეგ, მოკლეს ლავრენტი ბერია

**1953 წლის 18 ივნისი, ხუთშაბათი, 23 საათი. ბერლინი. სსრკ საელჩო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, უნტერ-დენ-ლინდენზე.**

— მოსკოვი გიხმობთ, ლავრენტი პავლოვიჩ! ხაზზე ქობულოვია!

ბერია ყურმილს იღებს.

— ლავრენტი, — ისმის ყურმილში ქობულოვის ბოხი ხმა, — როგორაა საქმეები, რა ხდება ბერლინში?

— ბერლინში ყველაფერი რიგზეა. თქვენთან?

— ჩვენთანაც წესრიგი და სიწყნარეა, — პასუხობს ბახჩო და მეგრულად უმატებს: — ათე ძუბეკებსი უპირებუდანი ოკო მუდგარენი.

— სი ვაიჩქუნო, მუ უოჭიშე რექინ, — ასევე მეგრულად მიუგებს ბერია. — ჯგირი, ვაგაშკურნას, ჭუმე თექ იპიქ.

**იგივე დღე. მოსკოვი. ნ.ს. ხრუშჩოვის აგარაკი.**

— მაშ ასე, ნიკოლაი ალექსანდროვიჩ, — ეუბნება ხრუშჩოვი ბულგანინს, — ხომ იცი, რასაც იტყვის ხალხი, როდესაც მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გახდები? არა? მაშ, იცოდე — ისევ ნიკოლოზი და ისევ ალექსანდროვიჩი, — ასე იტყვიან. შენ ხომ მეფის სეხნია ხარ!

— მოსულა, მოსულა, ნიკიტა! მაგრამ შიშისგან ლამის მოვკვდე. წარმოიდგინე, რომ დაგვიძვ... დაგვიძვრეს, მაშინ არათუ სამხრეებსა და თანამდებობას, თავს არ შეგვარჩენს მხრებზე...

— ნუ მერყეობ! რატომ უნდა დაგვიძვრეს. ჩვენ ბევრნი ვართ, ის კი მარტოა.

— დარწმუნებული ხარ, რომ ყველა დაგვიჭერს მხარს?

— მაშ! თან აბსოლუტურად!

— მალენკოვიც?

— მალენკოვიც. სხვა რა გზას აქვს! ვაიძულებთ.

**19 ივნისი, პარასკევი. იქვე. დილის 9 საათი.**

— ყველა საუბარი მოისმინეთ? — ეკითხება ხრუშჩოვი თანაშემწეს.

— დიახ, ყველა, ნიკიტა სერგეევიჩ.

— მერე?

— ყველაფერი რიგზეა, ნიკიტა სერგეევიჩ. წუხელ თავის პირველ მოადგილეს ელაპარაკა ქართულად, მაგრამ ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და ქართველს მოვასმენინეთ.

— მერე?

— არაფერი, ნიკიტა სერგეევიჩ, ჩვეულებრივი საუბარი იყო, მოიკითხეს ერთმანეთი. თუ არ ჩავთვლით რამდენიმე სიტყვას, რომლებიც მეგრულად ითქვა.

— თუ არ ჩავთვლით?! თქვენ რა, გააფრინეთ, შტერებო? თქვენი დედა... რა, ვერ გაითვალისწინეთ?!

— აბა, ვინ იფიქრებდა, რომ ქობულოვს შეიძლებოდა მეგრული სცოდნოდა, ნიკიტა სერ...

— აბა, ვის უნდა ეფიქრა? იმას, ვისაც დავალებული ჰქონდა, თქვე შობელძაღლებო! თავით უნდა გეფიქრათ და არა უკანალით!

**იგივე დღე. მოსკოვის შემოგარენი.**

ხრუშჩოვი და მალენკოვი ტყეში სეირნობენ.

— უნდა გადაწყვიტო, გიორგი. შენით თუ უშენოდ, ჩვენ მაინც ვიზამთ ამ საქმეს, თან ყველანი ერთ ბანაკში ვართ.

— ვინ ყველა?

— როგორ ვინ? მთელი პოლიტბიურო!

— ბულგანინიც?

— ბულგანინი მყარად დგას პარტიულ პოზიციაზე.

— სხვები?

— სხვებიც.

— მიქოიანიც?

— მიქოიანთან რთულადაა საქმე. მე ჯერ არ მისაუბრია მასთან. ხომ იცი, როგორი ურთიერთობაც აქვს ბერიასთან — გადაბმულები არიან. მაგრამ სხვები გვერდით გვიდგანან. რაც შეეხება სომხის ნაშიერს, იგი იქით წავა, სადაც უმრავლესობა იქნება, ეჭვი არ შეგეპაროს.

— არა, რაც მართალია, მართალია, მაგრამ... იქნებ...

— არავითარი „იქნებ“. გაითვალისწინე, გიორგი მაქსიმილიანოვიჩ, შენი უმოქმედობით ასგზის მეტი ხიფათი გელის. ლენინგრადის საქმეს უკვე ქექავენ! თან შენი თანაშემწე სუხანოვი ქობულოვმა ლაყუჩებით დაითრია. ასე რომ...

— უხ, მაგ სუხანოვის...

— სანამ სუხანოვამდე მიაღწევ, შენ თვითონ გაქცევენ ბანაკის ფერფლად.

— კარგი, კარგი, თანახმა ვარ! უნდა ვიმოქმედოთ, მხოლოდ... ნიკიტა, ჩემი პირობაა — დროზე ადრე მე ნუ მახსენებთ. იცოდე, თუ რამე მოხდა, ვიტყვი, პროვოკაციაა-მეთქი!

— ნუ ღელავ, მე მხოლოდ შენი პრინციპული თანხმობა მინდა.

— თანახმა ვარ, უნდა ვიმოქმედოთ, მაგრამ ძალიან ფრთხილად. გეგმა როგორი გაქვთ?..

— შენ ამის ცოდნა არ გჭირდება, მენდე, — პასუხობს ხრუშჩოვი, თან ფიქრობს: „მთავარია, მეგრელი ქვეწარმავალი მოვიცილო, თორემ შენ თვალის დახამხამებაში გაგისწორდები“.

**იგივე შუშლილი დღე.**

ხრუშჩოვი ხვდება მოლოტოვს.

— თანახმა ვარ, — უმალ წამოეგო მოლოტოვი, — სრულ სოლიდარობას გიცხადებ. მაინტერესებს, მალენკოვი რას აპირებს?

— მე ბულგანინისა და მალენკოვის სახელით გესაუბრები.

— ე-ეს ძალ-ძალიან სწორი და დროული გ-გადაწყვეტილებაა, — ამბობს მოლოტოვი, — ს-სამომავლოდ რას აპირებთ?

— უპირველეს ყოვლისა, ჩვენ მას ჯერ პრეზიდიუმის წევრობიდან გავათავისუფლებთ, მერე — მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეობიდან და შინაგან საქმეთა მინისტრობიდან... მერე კი...

ხრუშჩოვი ჩუმდება. მოლოტოვი გამომცდელად უყურებს ნიკიტას.

— ეს არ კ-კმარა, — ამოღერღა მოლოტოვმა, — ნ-ნამდვილად არ კმარა, გაითვალისწინე, ბერია ძალიან საშიშია. ამიტომაც მე ვთვლი, რომ გაცილებით მკაცრი ზომები უნდა მივიღოთ.

— შენ, ალბათ, მართალი ხარ, ვიაჩესლავ!

— რა თქმა უნდა, მართალი ვარ, დროის დაკარგვა დამარცხების ტოლფასია, იქნებ აეროპორტშივე ვქნათ, ა? სამხედროები თუ გყავს ჩართული?

— სამხედროებთან პრობლემები აღარ გვექნება, მაგრამ აეროპორტი გამორიცხულია. ჩვენ ჩავიწერეთ ბერიას საუბარი ქობულოვთან, მან რაღაცა უჩურჩულა მეგრულად. პირიქით ვიზამთ, ზარ-ზეიმით შევხვდებით, თავგზას ავუბნევთ... აქციას კი უახლოეს სამთავრობო სხდომაზე ჩავატარებთ.

— თ-თანახმა ვარ. როდის მოფრინავს?

— ამაღამ.

**19-20 ივნისის ღამე.**

ლავრენტი ბერიას აეროპორტში ცეკას მთელი პრეზიდიუმი დახვდა. ტრაპიდან გადმოსულიც კი არ იყო, რომ ხრუშჩოვი მივარდა და სამჯერ გადაკოცნა. ასევე იქცევა ოდნავ დაბნეული მალენკოვიც, მას ბულგანინი, მოლოტოვი, ჯერ კიდევ გადაუბირებელი ვოროშილოვი, კაგანოვიჩი, მიქოიანი, პერვუხინი და საბუროვი ბაძავენ.

— როგორ ჩაიარა მისიამ ბერლინში, ლავრენტი პავლოვიჩ? — ეკითხება ხრუშჩოვი, — ყველაფერი რიგზეა?

— უფრო მეტიც, გერმანელი ამხანაგები თანახმა არიან. ყინული დაიძრა და მას უკვე ვერავინ შეაჩერებს. აქ რა ხდება?

— აქაც ყველაფერი ხუთიანზეა. საკითხები მოგვიგროვდა, შენ გიცდიდით, უახლოეს სხდომაზე განვიხილავთ, ალბათ.

ყველანი მანქანებისკენ მიემართებიან. ხრუშჩოვი და ბულგანინი ერთმანეთს ჟესტებით უზიარებენ შთაბეჭდილებებს.

„ამ გლეხუჭებს ფხა არ ეყოფათ, — ფიქრობს ბერია და სამეთაურო დაჯავნილ „ზის“-ში ჯდება მალენკოვის გვერდით.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

## „ტკბილი სიკვდილი“ ჩერჩილისთვის

***მეორე მსოფლიო ომის დამთავრებამდე 2 წლით ადრე ჰიტლერელები ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ უინსტონ ჩერჩილს „ტკბილ სიკვდილს“ უმზადებდნენ. ერმანელებმა ელიტური შოკოლადის ფილის Peter's Chocolate-ს მსგავსი მინი ასაფეთქებელი მოწყობილობა დაამზადეს და ნამდვილი შოკოლადის ფენითაც დაფარეს.***

გერმანელ აგენტებს ტკბილეული უნდა შეეტანათ სასადილოში, სადაც **უინსტონ ჩერჩილი** და ბრიტანეთის სამხედრო ხელმძღვანელობა სადილობდნენ. შოკოლადიდან პატარა ნაწილის მოტეხვისთანავე ფილა აფეთქდებოდა და ირგვლივ მყოფები დაიხოცებოდნენ, მაგრამ ჰიტლერის გეგმა ბრიტანეთის კონტრდაზვერვა „მი-5“-მა ჩაშალა. მისი იმჟამინდელი შეფი, ლორდი **ვიქტორ როტშილდი** ვარაუდობდა, რომ გერმანელებს მსგავსი სახიფათო ტკბილეულის გამოყენება რიგითი მოქალაქეების წინააღმდეგაც შეეძლოთ. ამიტომ **1943 წლის 13 მაისის საიდუმლო წერილით** თანამშრომელ მხატვარ **ლოურენს ფიშს** უბრძანა, დაეხატა პლაკატი, რომელიც ადამიანებს გააფრთხილებდა შოკოლადის სასიკვდილო ფილების შესახებ.

***„ჩვენ მოვიპოვეთ ინფორმაცია, რომ მტერს სურს, გამოიყენოს შოკოლადის ფილაში ჩამალული ბომბი, რომელიც დამზადებულია ნამდვილი შოკოლადის თხელი ფენით. ის შეფუთულია Peter's-ის მოოქრული შავი ქაღალდით“.*** — წერდა **როტშილდი ფიშს.** სწორედ ეს წერილი იპოვა მხატვრის ცოლმა **ჯინ ბრეიმ** და პრესაში გამოაქვეყნა.

***მოამზადა ნიკა კორინთელმა***




## ★ საიდუმლო დოკუმენტი

### სტალინის პირადი და საიდუმლო გზავნილი პრეზიდენტ რუზველტს

***11 ივნისი, 1943 წ.***



ЛИЧНОЕ И СЕКРЕТНОЕ ПОСЛАНИЕ ПРЕМЬЕРА И.В.СТАЛИНА
ПРЕЗИДЕНТУ г.РУЗВЕЛЬТУ

Ваше послание, в котором Вы сообщаете о принятых Вами и г.Черчиллем некоторых решениях по вопросам стратегии, получил 4 июня. Благодарю за сообщение.

~~Мне бросилось в глаза, что~~ эти решения находятся в противоречии с теми ~~заявлениями~~, которые были ~~сделаны~~ Вами и г.Черчиллем в начале этого года о сроках открытия второго фронта в Западной Европе.

Вы, конечно, помните, что в Вашем совместном с г.Черчиллем послании от 26 января ~~сообщалось~~ о принятом тогда решении отвлечь значительные германские сухопутные и военно-воздушные силы с русского фронта и заставить Германию встать на колени в 1943 году.

После этого г.Черчилль от своего и Вашего имени сообщил 12 февраля уточненные сроки англо-американской операции в Тунисе и Средиземном море, а также на западном берегу Европы. В этом сообщении говорилось, что Великобританией и Соединенными Штатами энергично ведутся приготовления к операции форсирования Канала в августе 1943 года и что, если этому помешает погода или другие причины, то эта операция будет подготовлена с участием более крупных сил на сентябрь 1943 года.

После этого, ~~без какого-либо совместного обсуждения с нами~~, Вами вместе с г.Черчиллем принимается решение, откладывающее англо-американское вторжение в Западную



-2-

Европу на весну 1944 года, ~~т.е.~~ открытие второго фронта, уже отложенное с 1942 года на 1943 год, вновь откладывается ~~еще на целый год~~. Это Ваше решение ~~коренным образом расходится с указанными заверениями и~~ создает исключительные трудности для Советского Союза, уже два года ведущего войну с Германией, с крайним напряжением всех своих сил, и предоставляет ~~нашу~~ армию, сражающуюся не только за свою страну, но и за своих союзников, своим собственным силам, в единоборстве с еще очень сильным и опасным врагом.

Нужно ли говорить о том, какое тяжелое и отрицательное впечатление в Советском Союзе, - в народе и в армии, - произведет это новое откладывание второго фронта и оставление нашей армии, принесшей столько жертв, без ожидавшейся серьезной поддержки со стороны англо-американских ~~союзников~~. Что касается Советского Правительства, то оно не может согласиться с таким решением, принятым к тому же без его участия и без попытки совместно обсудить этот важнейший вопрос, и могущее иметь ~~самые серьезные~~ последствия ~~и решающее значение~~ для дальнейшего хода войны.

გზავნილი, რომელშიც იუწყებოდით სტრატეგიის საკითხებზე თქვენი და ბ-ნი ჩერჩილის ზოგიერთი გადაწყვეტილების შესახებ, 4 ივნისს მივიღე.

როგორც ჩანს, ეს გადაწყვეტილებები ეწინააღმდეგება იმ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ წლის დასაწყისში მიიღეთ თქვენ და ბატონმა ჩერჩილმა დასავლეთ ევროპაში მეორე ფრონტის გახსნის ვადების შესახებ.

თქვენ, რა თქმა უნდა, გახსოვთ, რომ თქვენი და ბ-ნი **ჩერჩილის** ამა წლის 26 იანვრის ერთობლივ გზავნილში ლაპარაკი იყო იმხანად მიღებულ გადაწყვეტილებაზე — გერმანიის სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალების ყურადღების გადატანაზე რუსეთის ფრონტიდან და გერმანიის იძულებაზე, დაგვეჩოქებინა ის 1943 წელს. ამის შემდეგ ბატონმა **ჩერჩილმა** თავისი და თქვენი სახელით 12 თებერვალს გვაუწყა ანგლო-ამერიკულ ოპერაციაზე ტუნისსა და ხმელთაშუა ზღვაში, აგრეთვე ევროპის დასავლეთ სანაპიროზე. ამ ცნობაში ლაპარაკი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ენერგიულად ემზადებოდნენ არხის ფორსირების ოპერაციისთვის 1943 წლის აგვისტოში და რომ, თუ ამას ხელს შეუშლის ამინდი ან სხვა რამ, მაშინ ეს ოპერაცია ჩატარდებოდა 1944 წლის გაზაფხულზე, ანუ მეორე ფრონტის გახსნა, 1942-დან 1943 წლისთვის უკვე გადადებული, კვლავ გადაიდება, ამჯერად 1944 წლის გაზაფხულისთვის.

თქვენი ეს გადაწყვეტილება განსაკუთრებულ სირთულეებს უქმნის საბჭოთა კავშირს, რომელიც უკვე ორი წელია, უდიდესი დაძაბულობით აწარმოებს ომს გერმანიის მთავარ ძალებთან და იბრძვის არამხოლოდ თავისი ქვეყნისთვის, არამედ თავისი მოკავშირეებისთვისაც.

საჭიროა კი იმაზე ლაპარაკი, რა მძიმე და უარყოფით შთაბეჭდილებას მოახდენს საბჭოთა კავშირში — ხალხსა და არმიაში — მეორე ფრონტის გახსნის კიდევ ერთხელ გადადება და ამდენი მსხვერპლის გამღები ჩვენი არმიის დატოვება ანგლო-ამერიკული არმიების სერიოზული მხარდაჭერის გარეშე?

რაც შეეხება საბჭოთა მთავრობას, მას არ შეუძლია, დაეთანხმოს ასეთ გადაწყვეტილებას, თანაც მიღებულს მისი მონაწილეობის გარეშე და მცდელობის გარეშე ერთობლივად განეხილა ეს მნიშვნელოვანი საკითხი, რომელმაც შეიძლება, მძიმე შედეგები იქონიოს ომის მსვლელობაზე.




# აბრეშუმის წიგნი და სკივრი



მთელ დუნიაზე კაცსა და ქალსა,
ხეს რომ კვირტი აქვს გამოტანილი,
და აყვავებულს მინას და წყალსა,—
ყველას ერთი გვყავს მამა სტალინი.

ასე ვიფიცავთ მის მზეს და მთვარეს
და ვდუღლიცავთ მას მშობელ დედას.
უძლეველია საბჭოთა მხარე,
რადგანაც სტალინს დიდ ბურჯად ხედავს.

სანამ მშრომელებს ის გულს გვიმაგრებს,
ქვეყნად არავის დავეკაბნებით.
ჩვენც კახეთიდან მივალთ ალავერდს
სავსე ცხოვრების დიდი ჯამებით.

ტიციან ტაბიძე



სტალინი ბელადია და
მხატვარი უდიდესი!
ხარტიით გადიადა
გზა ნაჭედი და ნათესი!

ახნია დროშა მაღლა
კაცთა შრომის დაგონების,
მსოფლიო აზრის, ძახილის,
მიღწევის, გამოგონების.

მიჰყავს — ვით სიმაღლეების
არწივთა ხმობა ალური —
ჩვენი უბადლო დღეების
მსვლელობა გენიალური.

გალაქტიონ ტაბიძე

**გრიგოლ ონიანის** სტალინის მუზეუმში ინახება საბჭოეთის ბელადისადმი მიძღვნილი აბრეშუმის წიგნი, რომელიც მას 1929 წელს 50 წლის იუბილეზე ქართველმა ხალხმა უსახსოვრა. წიგნის თითოეული ფურცელი აბრეშუმშია ჩასმული, ამოქარგულია ქართული ორნამენტები, **ტიციან ტაბიძის, გალაკტიონისა** და სხვათა ლექსები. ეს წიგნი და სტალინის დედის **ეკატერინე გელაძის** მიერ ნაქონი ნაქსოვი წინდების შესანახი პატარა სკივრი საქართველოში ჩამოიტანა და დატოვა სტალინის ქალიშვილმა **სვეტლანა ალილუევამ.**



# სტალინის ბიუსტი და ტელეფონი კუნცევოს აგარაკიდან

სტალინის მუზეუმში ცენტრალურ ადგილზე დგას **სკულპტორ ბოგომოლოვის** მიერ 1951 წელს ბრინჯაოში ჩამოსხმული სტალინის ბიუსტი. ეს ნამუშევარი 1990-იან წლებში თურქეთში ჯართად გაყიდეს 5 დოლარად. ბატონმა **დავით სალარიძემ,** რომელიც თურქეთში შემთხვევით გადააწყდა მას, 50 დოლარად შეიძინა, საქართველოში დააბრუნა და **გრიგოლ ონიანს** აჩუქა.

მუზეუმის ერთ-ერთი ექსპონატია კუნცევოს აგარაკიდან ჩამოტანილი შავი ტელეფონი, რომელიც **გრიგოლ ონიანს** უსახსოვრა ტარუმოვკის რაიონის (დაღესტანი) რაიკომის მდივანმა **სერგეი პანფილოვმა,** ის სტალინის სიცოცხლეში კუნცევოს აგარაკის დაცვის სამსახურში მუშაობდა. ბელადის გარდაცვალების ღამეს, როდესაც სახლში ჩოჩქოლი ატყდა, პანფილოვმა სტალინის კაბინეტიდან აიღო ტელეფონი და ნათალი ჭიქა, რომლითაც სტალინი არაყს მიირთმევდა. დღეს ეს ჭიქა **პანფილოვის** ოჯახში ინახება, ხოლო ტელეფონი — **გრიგოლ ონიანის** მიერ შექმნილ სტალინის მუზეუმში.



## ბელადზე უთქვამთ



● **ბერნარდ შოუ,** ***ინგლისელი მწერალი:*** — ახლა, როცა ***სტალინი*** ჩვენ მხარესაა, ომს აუცილებლად მოვიგებთ. **სტალინი** გიგანტია, დასავლეთის სახელმწიფოების სხვა ლიდერები — პიგმეები.



● **იოახიმ ფონ რიბენტროპი,** ***ფაშისტური გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი 1938-1945 წლებში:*** — **სტალინი,** როგორც სტრატეგი და სახელმწიფო მოღვაწე, უფრო ნიჭიერია, ვიდრე **ჩერჩილი** და **რუზველტი.**



● **ჰენრიხ მიულერი,** ***ფაშისტური გერმანიის გესტაპოს შეფი 1939-1946 წლებში:*** — მხოლოდ იმაზე დავფიქრდეთ, რისი გადატანა მოუწია სტალინის სისტემას ბოლო ორი წლის განმავლობაში, არადა, როგორი ავტორიტეტით სარგებლობს ხალხის თვალში. ის დასავლეთის სახელმწიფოების ყველა ლიდერზე განუზომლად მაღლა დგას.



● **ჩან კაიში,** ***ჩინეთის გომინდანური მთავრობის ხელმძღვანელი:*** — სტალინი მოკავშირეთა კოალიციაში თანასწორთა შორის პირველი იყო. ჩინეთმა სტალინის წყალობითა და სსრ კავშირის დახმარებით გაძლო იაპონიასთან ომის პირველ წლებში... იაპონიის კაპიტულაცია შეუძლებელი იქნებოდა გენერალისიმუსი სტალინის მეთაურობით წითელი არმიის გამარჯვებების გარეშე. ჩინეთის ისტორია 1930-ანი წლებიდან მრავალმხრივ არის დაკავშირებული სტალინისა და სსრ კავშირის პოლიტიკასთან.

## ბელადი ხუმრობს

როდესაც უამრავი საკუთარი ბარგით დატვირთული **ტროცკი** ნელი მატარებლით **ალმა-ათაში,** გადასახლებაში მიდიოდა, **სტალინს** ჰკითხა:

— ნელა თუ ივლი, შორს წახვალ?

**— შორს თუ წახვალ, ჩუმად იქნები,** — დააზუსტა **სტალინმა.**

*თინათინ ვეშაპელის წიგნიდან „ახდილი ფარდა“*

## ჩვენი ვიქტორინა

**1. გაზეთს, რომელშიც სოსო ჯუღაშვილის ლექსი „მოხუცი ნინიკა“ დაიბეჭდა, ერქვა**

ა) „დრო“; ბ) „ივერია“; გ) „ახალი ცხოვრება“; დ) „კვალი“.

**2. გამარჯვების აღლუმი მოსკოვში, წითელ მოედანზე გაიმართა**

ა) 1945 წლის მაისში; ბ) 1945 წლის ივნისში; გ) 1945 წლის აგვისტოში; დ) 1945 წლის სექტემბერში.

**3. ტურუხანსკის გადასახლებიდან სტალინი გათავისუფლდა**

ა) გაქცევის წყალობით; ბ) ვადის მოხდის შემდეგ; გ) შეწყალებით; დ) რევოლუციის შედეგად.

**4. 1940 წელს სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე იყო**

ა) იოსებ სტალინი; ბ) ლაზარ კაგანოვიჩი; გ) ვიაჩესლავ მოლოტოვი; დ) მიხეილ კალინინი.

**5. პირველი კოლექტიური ხელშეკრულება მუშებსა და მეწარმეებს შორის 1904 წელს სტალინის მიერ მოწყობილი გაფიცვის შემდეგ დაიდო**

ა) ტფილისში; ბ) მოსკოვში; გ) პეტერბურგში; დ) ბაქოში.

**6. მწერალთა შორის სტალინის პრემიის ექვსგზის ლაურეატი იყო**

ა) ნიკოლაი ტიხონოვი; ბ) პიოტრ პავლენკო; გ) კონსტანტინე სიმონოვი; დ) სემიონ ბაბაევსკი.

**7. ბოლშევიკური გაზეთი „პრავდის“ პირველი ნომერი 5 მაისს გამოვიდა**

ა) 1905 წელს; ბ) 1910 წელს; გ) 1912 წელს; დ) 1917 წელს.

**8. დოქტორ იოზეფ გებელსის პოსტი მესამე რაიხის მთავრობაში იყო**

ა) ინფორმაციის მინისტრი; ბ) კულტურის მინისტრი; გ) პროპაგანდის მინისტრი; დ) განათლების მინისტრი.

**9. მედალი „მოსკოვის დაცვისათვის“ დაარსდა**

ა) 1941 წელს; ბ) 1942 წელს; გ) 1943 წელს; დ) 1944 წელს.

**10. ცკ-ის საანგარიშო მოხსენებით ი. სტალინი პირველად გამოვიდა**

ა) რსდმპ (ბ) მე-6 ყრილობაზე; ბ) რკპ (ბ) მე-7 ყრილობაზე; გ) რკპ (ბ) მე-8 ყრილობაზე; დ) რკპ (ბ) მე-9 ყრილობაზე.

**ამავე გვერდზე გამოქვეყნებული ვიქტორინის პასუხები:**

*1. „კვალი“; 2. 1945 წლის ივნისში; 3. რევოლუციის შედეგად; 4. ვიაჩესლავ მოლოტოვი; 5. ბაქოში; 6. კონსტანტინე სიმონოვი; 7. 1912 წელს; 8. პროპაგანდის მინისტრი; 9. 1944 წელს. 10. რსდმპ (ბ) მე-6 ყრილობაზე.*

## შეკითხვების პასუხები ჩაწერეთ შესაბამის გრაფებში და მიიღებთ ფრაზას, რომელიც სტალინმა 1932 წლის 26 ოქტომბერს წარმოთქვა მწერლების შესახებ



**1. ბავშვთა ბანაკი-სანატორიუმი, რომელიც 1925 წელს შეიქმნა საბჭოთა კავშირში; 2. გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტის სარდალი 1943-1945 წლებში; 3. ქალაქი და ოლქი რუსეთის ჩრდილოეთში, სადაც გადასახლებული იყო სტალინი; 4. გერმანული სამხედრო თვითმფრინავი; 5. საბჭოთა ავიაკონსტრუქტორი; 6. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის დედაქალაქი; 7. სომეხი მხატვარი, რომელმაც შექმნა ტილო „საზეიმო მიღება კრემლში 1945 წლის 24 მაისს“; 8. დიდი ბრიტანეთის 64-ე პრემიერ-მინისტრი; 9. სტალინის ერთ-ერთი საყვარელი სიმღერა; 10. სტალინის ქალიშვილი; 11. ცნობილი საბჭოთა არტისტი, მომღერალი, დირიჟორი, მსახიობი; 12. სამხედრო წოდება; 13. ფაშისტური გერმანიის მოკავშირე აზიის აღმოსავლეთში; 14. გმირი ქალაქი; 15. შტირლიცი, იგივე ... ; 16. სარაკეტო სისტემების ქართველი საბჭოთა კონსტრუქტორი; 17. მარშალი, რომელმაც მიიღო გამარჯვების სამხედრო აღლუმი 1945 წლის 24 ივლისს; 18. „ვარდს გაეფურჩქნა კოკორი, გადახვეოდა ... “; 19. გიორგი სააკაძის მშობლიური სოფელი; 20. დანიშნული შეხვედრა; 21. სსრკ-ის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარი 1936-1938 წლებში; 22. სტალინის მამის სახელი; 23. ერთ-ერთი კონფერენციის ადგილი.**

1. არტეკი; 2. დენიცი; 3. არხანგელსკი; 4. მესერშმიტი; 5. იაკოვლევი; 6. აშხაბადი; 7. ნალბანდიანი; 8. იდენი; 9. სულიკო; 10. სვეტლანა; 11. უტიოსოვი; 12. ლეიტენანტი; 13. იაპონია; 14. სმოლენსკი; 15. ისაევი; 16. ნადირაძე; 17. ჟუკოვი; 18. იასა; 19. ნოსტე; 20. რანდევუ; 21. ეჟოვი; 22. ბესარიონი; 23. იალტა.
ფრაზა: „ადამიანის სულის ინჟინრები“

2022 წლის 13 ივნისი. № 6 (130)
გენერალისიმუსი
გამოდის 2003 წლის 7 აპრილიდან

რედაქტორი გრიგოლ ონიანი

**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** „ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www.asavali.com** ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: **www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის“** სტამბაში.

თბილისი, მიხეილ ჭიაურელის ჩიხი №1, სახლი №5
599 29 2000

# ლალი მოროშკინა:

# დღეს ევროპა იმ პირობებს გვიყენებს, რომელსაც აპრიორი არ შევასრულებთ!

*მაშინ, როდესაც დღე-დღეზე ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღებას ველით, ევროპარლამენტარებმა საგანგებოდ გააშანშალეს რეზოლუცია, სადაც არც მეტი, არც ნაკლები, ნაციონალების ტექსტებით დატუქსეს ხელისუფლება. როგორც პიარტექნოლოგი, პოლიტოლოგი ლალი მოროშკინა ამბობს, სანერვიულო არაფერია, საქართველოს ხელისუფლება, როგორც არასდროს, თავის სიმაღლეზე დგას და მალე გავალთ ფონს:*

— არაერთხელ მითქვამს, მათ შორის, „ასავალ-დასავალის“ ფურცლებზე, ყოველ ას წელიწადში ერთხელ მეორდება პროცესები. ახლა ზუსტად იმას გავდივართ, რასაც 102 წლის წინათ გადიოდა საქართველო.

**— კერძოდ?**

— გადავხედოთ ისტორიას: საუკუნის წინათაც გვინდოდა ერთა ლიგაში შესვლა. ეს იმ პერიოდში ისეთივე ორგანიზაცია გახლდათ, როგორიც დღეს გაერო და სხვა ევროსტრუქტურებია. მაშინაც ათი ქვეყანა იყო თანახმა ამ კავშირში ჩვენი მიღების. ნოე ჟორდანიას და დღევანდელი პოლიტიკოსების ტექსტებიც ძალიან ჰგავს ერთმანეთს, მაგრამ საბოლოო ჯამში, ნოე ჟორდანია გაიქცა და ძალიან დიდი ხნით ჩაგვახუტეს რუსეთს.

**— დიახ, 102 წლის წინათ მოვლენები რუსეთის საქართველოში შემოსვლით დასრულდა. ახლა რა ფინალს ელით?**

— ფინალი დღესაც იგივე იქნებოდა — **რუსეთის საქართველოში შემოჭრა და მთავრობის უზურპირება** — დღევანდელ ხელისუფლებას რომ გაეკეთებინა ის, რასაც სააკაშვილის ანკლავი და მის უკან მდგომი ძალები ცდილობდნენ. მეხუთე კოლონა და ქვეყნის ამრევები ახლაც მრავლად არიან ქვეყანაში. იგივე ძალა იმავე ხერხებით ჯიჯგნის ქვეყანას. მხოლოდ სახელები და გვარებია შეცვლილი. ამიტომაც დაისმის ნოე ჟორდანიასთან დაკავშირებით დღემდე კითხვები. **კარგია, რომ „ქართული ოცნება“ ამ გზას არ დაადგა, მეტიც, მაქსიმალურად ცდილობს თვითმყოფადობის შენარჩუნებას ისე, რომ ქვეყანა სისხლისღვრამდე არ მივიდეს.**

ის, რაც დღეს ხდება, პროგნოზირებადია და ამ პროცესში გასაკვირი არაფერია. ბორის ჯონსონის ევროკავშირიდან გასვლით ცხადი გახდა, რომ ეს ორგანიზაცია დაიშლება. ალბათ, ბოლო ზამთარი იქნება, რომელსაც ევროკავშირი ან გადაიტანს, ან — ვერა. რამდენიმე სერიოზულ გამოცემაში უკვე მოუწოდებენ ევროპელებს, აღარ დაიბანონ, სველი სალფეთქები გამოიყენონ, მანქანები კვირაში ერთხელ გამოიყვანონ... — **ჯობს, ჭუჭყიანებმა ვიაროთ, არ გამოვიყენოთ გაზი, ვიდრე პუტინმა გაიმარჯვოსო.** ამასობაში კი გაასმაგდა გაზის მიწოდება ევროპაში. მარაგებს იკეთებენ, ეშინიათ, რუსეთმა ერთ მშვენიერ დღეს არ გადაუკეტოთ და ყველაფერი თავზე არ დაემხოთ.

ერთი სიტყვით, გეოპოლიტიკური გადანაწილება მიდის და ევროპა საქართველოსთან მიმართებაში ზუსტად ისე იქცევა, როგორც საუკუნის წინათ, რადგან თავიდან ბოლომდე ამერიკაზეა დამოკიდებული. იმასაც დააკვირდით, როგორი სიხშირით რეკავს მაკრონი პუტინთან. მთავარი მოთამაშეები — ამერიკა და საფრანგეთიც განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებიან რუსეთის მისამართით გაკეთებულ განცხადებებს. დღეს უკვე ზელენსკიც საუბრობს გენოფონდის განადგურებაზე, რაზეც აქამდე ყურადღებას არ ამახვილებდა. **ელემენტარულად, ვეღარ მალავენ გარდაცვლილ ადამიანებს. სამმა თვემ ყველაფერი ზედმიწევნით გამოკვეთა.**

**— მაშინ ასე დავსვათ შეკითხვა: ევროპის უკან მდგომ ამერიკას რა უნდა საქართველოსგან, ან რატომ ურევს სიტუაციას?**

— საქართველომ დაიწყო დამოუკიდებელი აზროვნება, გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება. მთავრობის წევრები ამერიკელ დიპლომატებსა და ევროპარლამენტარებს ძალიან ღიად და სამართლიანად სცემენ პასუხს, რაც, შეიძლება ითქვას, საქართველოს ისტორიაში პირველად ხდება. ეს, რა თქმა უნდა, აღიზიანებს დასავლეთს, რომელიც ჩვენგან მონურ მორჩილებას იყო მიჩვეული. **პირადად მე სიღნაღში ერთ-ერთი უცხოელი დიპლომატიდან ვიყიდე სახლი. საიდან-მეთქი, რომ ვკითხე, მიპასუხა — თქვენი პრეზიდენტი გვირიგებდაო.** ფაქტობრივად, ახალ ოქროს საწმისს ვაცლით ხელიდან. ვის მოეწონება ეს?! საქართველოს კუბიზაცია უნდოდათ, მაგრამ ჩვენ გაცილებით სხვა კულტურის მატარებელნი ვართ და ეს არასოდეს მოხდება! დღეს ევროპა იმ პირობებს გვიყენებს, რომელსაც აპრიორი არ შევასრულებთ.



## „ჩვენი ევროპა არის ჩაიკოვსკი, გედების ტბა, შილერი, დოსტოევსკი და არა ამ მუსიკის ამომგდები და ამ წიგნების დამხევი!“



## დედას არ დავუძახებთ ნომერ ერთს და მამას – ნომერ ორს, ჩოხას არ გავცვლით კოლგოტზე, არ გამოვუშვებთ იმ ადამიანს ციხიდან, რომელმაც გენოფონდი გააჩანაგა და ქვეყანას ტერიტორიები დაუკარგა.

რაც მთავარია, ევროპა გვეუბნება — დამასანქცირებინე ბიძინა ივანიშვილიო. არადა, არ მახსენდება ბოლო წლებში ადამიანი, რომელმაც საქართველოს ამდენი სიკეთე გაუკეთა, **ანუ უნდათ, ეშმაკურად მოგვაწერინონ ხელი ამ ყველაფერზე, რომ შეიძლება, 10-15 წლის შემდეგ ევროკავშირის წევრი გავხდეთ.** რეალურად ეს არ მოხდება ისევე, როგორც არ მოხდა თურქეთის შემთხვევაში, რომელიც წლებია, ამაოდ ელოდება ევროკავშირში მიღებას.

**— თქვენი ეს განცხადებები შეიძლება ანტიევროპულად შეფასდეს!**

— შეიძლება, ადამიანმა ყველაფერი დამაბრალოს გარდა იმისა, რომ ევროპა არ მინდა, სადაც მთელი ჩემი ოჯახი ცხოვრობს. მაგრამ აქვე ვამბობ, ჩემთვის ევროპა, პირველ რიგში, არის პასუხისმგებლობა და იდენტობის შენარჩუნება, ის ღირებულებები, რომელიც არ დამიშლის დოსტოევსკის წაკითხვას და პატივს სცემს სხვა ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილებას. ჩვენი ევროპა არის ჩაიკოვსკი, გედების ტბა, შილერი, დოსტოევსკი და არა ამ მუსიკის ამომგდები და ამ წიგნების დამხევი. ეს ის ევროპა არ არის, ჩვენ რომ ვოცნებობთ! რენესანსი ევროპაზე ადრე ჩვენ გვქონდა, აქ არის ნამდვილი ევროპა, საიდანაც ოქროს საწმისი წაიღეს, ასე რომ, ამ ღირებულებებზე ვერასოდეს ვიტყვით უარს.

სხვათაშორის ევროპარლამენტარების რეზოლუციას ძალიან მწვავე რეაქცია მოჰყვა და ვფიქრობ, ამაზე საუბარი აღარ გაგრძელდება. **მონიტორინგი ჩატარებულია — საქართველო ვერ წამოაგეს ანკესს, ვერ ათქმევინეს, ოღონდაც სტატუსი მოგვანიჭეთ, რომელიც რეალურად არაფრის მომცემია და ყველაფერს დავთმობთო!**

**— ანუ მთავარი ჭირი უკვე გავიარეთ?**

— დიახ, გადანაწილების პროცესი ბოლო ფაზაში გადავიდა, მაგრამ ჩვენთან ჯერ კიდევ არ ამბობენ, რომ ეს ომი უკრაინას პირწმინდად აქვს წაგებული! 21-ე საუკუნეა, სოციალური მედიის აღზევების პერიოდი და ყველა ვხედავთ უკრაინელების აღვირახსნილ ქცევას. ნახეთ, ბათუმში რა ხდება. მაშინ, როდესაც მეორე ფრონტის გახსნისკენ და გენოფონდის განადგურებისკენ მოგვიწოდებენ, უკრაინელი ახალგაზრდები საქართველოში თავზე იმხობენ ყველაფერს. უკანასკნელი მარკის ავტომობილებით დადიან და სრულიად ნაგლად ითხოვენ კლუბებსა თუ რესტორნებში უფასოდ შესვლას. ამის გამო უკვე ბევრმა ჩამოხსნა უკრაინის დროშები და შეიცვალა აზრი. ეიფორია გადავლილია, ომი, პრაქტიკულად, დამთავრებულია.

კიდევ ერთხელ ვამბობ, შეგვიძლია, მშვიდად ვიყოთ. კი უნდა ოპოზიციას, საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში აღმოჩნდეს, მაგრამ ეს არ მოხდება! **ირაკლი ღარიბაშვილის მთავრობა მოწოდების სიმაღლეზე დგას. ბიძინა ივანიშვილიც, რომელიც ამ ქვეყნის მშვიდობის გარანტია, გადაიტანს ამ კრიზისს. მოთმინებით და ემოციების გარეშე უნდა დაველოდოთ შედეგებს, რომელიც მალე დადგება.**

**— და მაინც, ჯერჯერობით წინ არის გადაწყვეტილება — მოგვანიჭებენ თუ არა ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსს?!**

**— ამ კითხვაზე პასუხი ცალსახაა — გვინდა, შევინარჩუნოთ დამოუკიდებლობა თუ გავხდეთ რომელიღაც ქვეყნის დანამატი?! მორჩა!**

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## „ჩვენთან ჯერ კიდევ არ ამბობენ, რომ ეს ომი უკრაინას პირწმინდად აქვს წაგებული!“

## კვირგვინოსნები

**თამარ სხირტლაძე**
*მსახიობი*



**ტოლსტოიც მინდა, გოგოლიც, ჩეხოვიც** და ყველა... როგორ შეიძლება, ეგენი უარყო?! შეიძლება, ოპერისა და ბალეტის თეატრში არაჩვეულებრივი „გედების ტბა“ არ გადიოდეს?! **როგორ შეიძლება, ჩეხოვის ნაწარმოების მიხედვით არ მინდოდეს სპექტაკლში მონაწილეობა?!** ღმერთმა ნუ ქნას, ასეთი რამ გავიფიქრო... რატომ უნდა ითხოვდეს ვინმე, **გინდა თუ არა, საქართველოში მეორე ფრონტი გაიხსნასო?!** თოფმა რაც მოგვიტანა, კარგად დავინახეთ! **საქართველოში ომი ნიშნავს, რომ ქვა ქვაზე აღარ დარჩეს.** გაცილებით უარესი იქნება, ვიდრე დღეს უკრაინაშია.

„კვირის პალიტრა“

**ამირან სალუქვაძე**
*სამხედრო ექსპერტი*



**ამერიკა ერიდება ღია კონფრონტაციას რუსეთთან.** იმედი მაქვს, ეს შენარჩუნდება და მსოფლიო არ დადგება საფრთხის წინაშე. **ამერიკა-რუსეთის დაპირისპირება იქნება 100 პროცენტით ბირთვული ომი.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**შალვა ნათელაშვილი**
*ლეიბორისტული პარტიის ლიდერი*



**ეს ქალბატონი** ისეთივე პრეზიდენტია, როგორიც მე ვარ კამბოჯის პრინცესა. ეს არის დაქირავებული, იგივე **დედალი კობახიძე.** რამ შეგარჩევინათ **სალომე ზურაბიშვილი,** როცა იქვე კენჭს **შალვა ნათელაშვილი** იყრიდა?! პატივს ვცემ **გრიგოლ ვაშაძეს,** ჩვენ ერთადაც ვიბრძოდით, მათ შორის, ქუჩაშიც, კარგი პიროვნებაა, მაგრამ მისი პრეზიდენტობა შეიძლებოდა?! ამიტომ არის ასეთი შედეგები და იმიტომ არ გვაძლევენ ამ კანდიდატობას.

„TV პირველი“

**ანა ნაცვლიშვილი**
*„ლელო“, პარლამენტარი*



პრეზიდენტი ცდილობს, **არ იჯდეს იმავე ნავში, რომელშიც ზის „ქართული ოცნება“,** რადგან ეს ნავი ცუდი მიმართულებით მიდის.

„აიპრესი“



# „ბიჭებისათვის ხელი რომ არ შემეშალა და ბოკერია დაგვეხვრიტა, ალბათ, ქვეყანას ერთ დიდ ჭირს მოვაშორებდით, მაგრამ მაინც მგონია, რომ, როგორც ქრისტიანი, სწორად მოვიქეცი!“



**ქართველებო, იმ ევროპის იმედი გაქვთ, სადაც ჰააგაში ადეიშვილი გასართობად ჩამოდის, ხოლო კეზერაშვილს, რომელმაც ქართველი ჯარისკაცების გვამებზე მილიარდები გააკეთა, „დევნილ**

— ეს ზუსტად არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ სააკაშვილის დესანტი ამ ბოლო დროს უკრაინაში კი არა, დასავლეთ ევროპაშია გადმოსმული. უკრაინაში თვით ზელენსკიც კი აღარ არის, პოლონეთშია, იქიდან დაძრწის და როგორც უკანასკნელი მათხოვარი, ყველას დახმარებას სთხოვს. **დაღუპეს უკრაინა და შეასრულეს ის გეგმა, რაზეც ამ ხნის განმავლობაში ოცნებობდნენ — ქვეყანა დაშალეს!** 16 მილიონი კაცია უკრაინიდან წამოსული და ევროპა უკრაინელი დევნილებით ძალიან შეწუხებულია. მაგალითად, ჰოლანდიაში უკვე ხშირია ჩხუბი და დაპირისპირება ადგილობრივებსა და უკრაინელებს შორის. ქალაქ ბოსხში, სადაც მე ვცხოვრობ, ბოლო ერთი კვირის განმავლობაში ორჯერ შევესწარი ასეთ ჩხუბს უკრაინელ და ადგილობრივ ახალგაზრდებს შორის. საერთოდ, ნიდერლანდები სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდიდან მოყოლებული იქცა ნაცების ბუნაგად. მაგალითად, ჩემს ქალაქში, სადაც ამჟამად ვცხოვრობ, ბოსხში, მთელი ჰოლანდიის მასშტაბით საუკეთესო მარიხუანა იყიდება. აქედან გამომდინარე, სააკაშვილის დეპუტატები აქ ხშირად ჩამოდიოდნენ. მაგალითად, **ერთ-ერთი დეპუტატი, გვარად მაისურაძე,** სულ აქ იყო გამოშტერებული.

**რაც შეეხება კვესიტაძესა და სააკაშვილის სხვა ჯიბის ჟურნალისტებს, ეგენი ისე ხშირად**

## *ირაკლი ურუმბეგაშვილი:*

# ზურაბ ადეიშვილი ჰააგაში თავისი ფეხით ჩამოვიდა!

*პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ერთგული თანამებრძოლი ირაკლი ურუმბეგაშვილი, რომელიც გადატრიალების დღეებში „კოლხურ კოშკს“ იცავდა და დაიჭრა, ჰოლანდიიდან გვეხმიანება და იმ ცრუმოლოდინების შესახებ საუბრობს, რომელიც საქართველოს ევროკავშირის მიმართ ამაოდ გააჩნია! ქართველი პოლიტიკური ემიგრანტი, რომელიც 29 წელია, ჰოლანდიაში ცხოვრობს, აცხადებს, რომ ნიდერლანდები, სადაც ამ ბოლო ხანს მეგობარ ქალთან ერთად ავადსახსენებელი ზურაბ ადეიშვილიც გამოჩნდა, დიდი ხანია, სააკაშვილისა და მისი ხროვის ბუნაგად იქცა:*




— ამ ერთი კვირის წინათ ჰოლანდიაში, კერძოდ, ქალაქ ჰააგაში, სადაც ევროსასამართლოა, ცნობილი სახელმწიფო დამნაშავე და უამრავი სიბინძურის ჩამდენი **ზურაბ ადეიშვილი** ქართველმა ემიგრანტებმა ქალბატონთან ერთად შენიშნეს და ქუჩაში ფოტოსურათები გადაუღეს. ეს არის ჰააგის ფეშენებელური უბანი, ზღვისპირა რაიონი, სხეფენინგენი, სადაც ადეიშვილი მეგობარ ქალბატონთან ერთად სეირნობდა. დავაზუსტეთ და აღმოჩნდა, რომ ადეიშვილთან ერთად მყოფი ქალბატონი არის უკრაინელი. ჩემი ინფორმაციით, ზურაბ ადეიშვილი, რომელიც ჰააგაში თავისი ფეხით ჩამოვიდა და რომელსაც, წესით და რიგით, სწორედ ჰააგის ტრიბუნალი უნდა ასამართლებდეს, ახლაც ქალაქში იმყოფება, მაგრამ ამ უსამართლო და გაყიდულ მსოფლიოში კაცი არ გამოჩნდა, რომელიც მას ხელს მოჰკიდებს და პასუხს კანონის ძალით მოსთხოვს!

**29 წელიწადია, შუაგულ ევროპაში ვცხოვრობ და ვერაფრით ვხვდები, საქართველოს რომელი ევროპის იმედი აქვს!**

**მედიამენეჯერად“ ახხადებენ?**

**თქვენ ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი დამოკიდებულება აქვს ევროპასა და ნიდერლანდების ხელისუფლებას საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების მიმართ, როცა ჰააგის ქუჩებში მეგობარ ქალთან ერთად დადის მკვლელი, სააკაშვილის რეჟიმის ერთ-ერთი ცენტრალური ფიგურა და ბოროტების სიმბოლო და არავითარი რეაქცია ამაზე ადგილობრივ სამართალდამცავ სტრუქტურებს არა აქვთ!**

**— ბატონო ირაკლი, დიდი ხანია, ადეიშვილი ჰააგაშია?**



**ჩამოდიოდნენ ამსტერდამში, გაოცებული ვიყავი.**

ჩამოდიოდნენ საყვარლებთან, ცოლ-შვილთან, ქმარშვილთან ერთად და ეწეოდნენ და ეწეოდნენ მარიხუანას. სხვათაშორის, ახლა კანონი მიიღეს და მარიხუანის მიყიდვა უცხოელებზე აკრძალეს. სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს **ბიძინა** ... **ბიული ალასანია** დიდი ამბით სტუმრობდა **მაია ფანჯიკი-**

## კვირგვინოსნები

**თამთა მეგრელიშვილი**
*საჯარო მმართველობის დოქტორი*



**გიგა ბოკერია** ირწმუნება, რომ რეზოლუციაში არსებობს ჩანაწერი, რომელიც ხელისუფლების ცვლილებას მოითხოვს. **ოჯახური პარტიიდან თავგამოყოფილი რომ ისვრი სიტყვებს,** შენი შესაცვლელი ხელისუფლება სად არის?!

„იმედინიუსი“

**ზაალ ანჯაფარიძე**
*ექსპერტი*



**ზურაბ ჭიაბერაშვილი და კომპანია** ის შემადგენლობაა, რომელსაც გულწრფელად უნდა ომი *(კი, კი! უნდათ! იმიტომ, რომ ომზე ერთხელ მილიარდები იშოვეს)*, მაგრამ ეგაა, რომ **ომის თავი არა აქვთ** და ისევე, როგორც მათი სექტის პატიმარ ბელადს, **ომი ომობანა ჰგონიათ.**

„იმედინიუსი“

**თამარ ჩერგოლეიშვილი**
*„ტაბულას“ დამფუძნებელი*



**ევროკავშირის წევრობის სტატუსი** მხოლოდ დიაზეპამის როლს შეასრულებს, რომლის მოქმედება გაივლის და **ხელში ისევ ანტიევროპული რეჟიმი შეგვრჩება.**

„აიპრესი“

**შოთა მალაშხია**
*„ქრისტიან-კონსერვატიული“ პარტიის თავმჯდომარე*



ეს ხელისუფლებაც **ფუნაში ზის** და გაიძახის, ბუზებისგან თავს ვიცავო.

„ახალი თაობა“

**პაატა ზაქარეიშვილი**
*კონფლიქტოლოგი*



ქართული ვარიანტი გათამაშდება უკრაინაშიც. **მოეწერება ხელი ცეცხლის შეწყვეტას** და მოლაპარაკებები გადავა სადღაც ჟენევაში.

„ახალი თაობა“

# „ევროკავშირის კონსტიტუციაში გარკვევით წერია – თუ ქვეყანას ევროკავშირის წევრობა სურს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახმელეთო საზღვარი ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანასთანო! საქართველოს ასეთი საზღვარი არც აქვს და არც ექნება!“

**ძეს** ჰააგაში, რომელიც მაშინ აქ საქართველოს ელჩად მუშაობდა. მოგეხსენებათ, „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მაია ფანჯიკიძე მინისტრად დანიშნა. როგორც კი ეს მოხდა, მაშინვე მივხვდი, რომ საქართველო დაღუპული იყო. როცა მე და ცხონებული **იური ბურჯაძე** — უზენაესი საბჭოს დეპუტატი ჰააგაში, მაია ფანჯიკიძის უწყებაში, გიული ალასანიას დავეტაკეთ, მაია ფანჯიკიძისაგან შენიშვნა მივიღეთ — **თქვენ არ გაქვთ უფლება, ბატონი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის დედას ასე მიმართოთო!** აი, ასეთი ნაძირალებით გაავსეს „ქართული ოცნება“ და პატიოსანი და მებრძოლი ხალხი, რომელმაც 2012 წლის 1 ოქტომბერს გამარჯვება მოიპოვა, გაწიეს გვერდზე. სწორედ ეს არის მიზეზი ჩვენი უბედურებისა და წახდენისა...

**— პრივატულ საუბარში იმ ბინძურ და ცილისმწამებლურ წერილზე ლაპარაკობდით, რომელიც საქართველოს მტრებმა ფრანგულ „ლე მონდში“ გამოაქვეყნეს...**

— მოგეხსენებათ, გავლენიანმა ფრანგულმა გაზეთმა „მონდმა“ ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ 1991 წელს გამოაქვეყნა უბინძურესი წერილი, სადაც ნათქვამი იყო, რომ **თითქოს ფაშისტმა ზვიად გამსახურდიამ ორი ეროვნების მოქალაქეებს საქართველოში ერთ შვილზე მეტის გაჩენა აუკრძალა!** ზვიად გამსახურდიაზე ეს უბინძურესი წერილი **მერაბ მამარდაშვილმა** დაწერა, ხოლო გაზეთ „მონდის“ რედაქციაში **სალომე ზურაბიშვილმა** მიიტანა!“

**— თქვენ ეს საიდან იცით?**

— **ზვიადისგან ვიცი!** სამწუხაროდ და საუბედუროდ, საფრანგეთის ემიგრაციის დიდი ნაწილი ეროვნულ პოზიციაზე კი არა, შევარდნაძის გვერდით იდგა. მათ შორის იყვნენ **სალომე ზურაბიშვილი და მისი კაგებეშნიკი ქმარი ჯანრი კაშიაც...**

## მოღალატე ემიგრანტებმა სწორედ შევარდნაძის დახმარებით გაყიდეს ლევილის ნაწილი და აღებული თანხა საქართველოში გადატრიალების მოწყობას მოახმარეს.

**— ზვიად გამსახურდიამ რა თქვა, როცა ბინძური ცილისწამების შესახებ შეიტყო?**

— ზვიადს **მერაბ მამარდაშვილისგან** ეს არ გაჰკვირვებია, მაგრამ **სალომე ზურაბიშვილისგან** ასეთი ცილისწამება ძალიან ეწყინა. ცხონებული **ავთო რცხილაძე, თემურ ქორიძე და ნუგზარ მოლოდინაშვილი** შეესწრნენ ზვიადის მაშინდელ რეაქციას ამ ღალატზე. **მერაბ მამარდაშვილი, სალომე ზურაბიშვილი, ირაკლი შენგელაია** და მთელი „კონგრესისტები“, რომლებიც მაშინ ზვიად გამსახურდიას დაუპირისპირდნენ, ნებსით თუ უნებლიეთ, საქართველოს მტრის სამსახურში ჩადგნენ. სხვათაშორის, **ერთხელ ბრიუსელში სალომე ზურაბიშვილს შევხვდი და ვკითხე — დაუბრუნდება თუ არა საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლო-მეთქი?** სალომემ, რომელიც მაშინ პრეზიდენტი არ იყო, მიპასუხა — **არასოდეს, რადგან მაღლა ასეა გადაწყვეტილიო!** გამოვიდეს სალომე ზურაბიშვილი და უთხრას ეს სიმართლე საქართველოს მოსახლეობას, რატომ არ ეუბნება?

**— მიიღებს თუ არა საქართველო ევროკავშირის წევრობის სტატუსს!**

## – საქართველო შესაძლოა, ნატოს წევრი ოდესმე გახდეს, მაგრამ ევროკავშირის წევრი ვერასოდეს გახდება!

**— რატომ?**

— იმიტომ, რომ **ევროკავშირის კონსტიტუციაში გარკვევით წერია — თუ ქვეყანას ევროკავშირის წევრობა სურს, მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს სახმელეთო საზღვარი ევროკავშირის წევრ რომელიმე ქვეყანასთანო!** საქართველოს ასეთი საზღვარი არც აქვს და არც ექნება, რადგან თურქეთს ევროკავშირში ცოცხალი თავით არ მიიღებენ, ხოლო რუსეთზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე ლაპარაკიც ზედმეტია.

**— ისევ ნანობთ, რომ 1991 წლის დეკემბერში, შეიარაღებული გადატრიალების დროს, გიგა ბოკერია დახვრეტას გადაარჩინეთ?**

— უკვე სამოცდაათი წლის ვხდები... როგორც ქრისტიანი, ალბათ, სწორად მოვიქეცი, რომ ავტომატიანი გიგა ბოკერია, რომელიც გვესროდა და რუსთაველზე ტყვედ ავიყვანეთ, უზენაესი საბჭოს შენობაში ბიჭებს არ დავახვრეტინე. შემეცოდა, ბავშვი იყო. **ბიჭებისათვის ხელი რომ არ შემეშალა და ბოკერია დაგვეხვრიტა, ალბათ, ქვეყანას ერთ დიდ ჭირს მოვაშორებდით, მაგრამ მაინც მგონია, რომ, როგორც ქრისტიანი, სწორად მოვიქეცი!** ბოკერიას რომ ჩადენილი დანაშაულების გამო პასუხი ეგო, დღეს ეგ საქართველოში არ იქნებოდა, მაგრამ კოჰაბიტაციით დაღუპეს ქვეყანა!

**— დღეს რომ ზვიად გამსახურდია ცოცხალი იყოს, რას იზამდა?**

## – დღეს რომ ზვიადი ცოცხალი იყოს, ეროვნულ მოძრაობას თავიდან დაიწყებდა!

მართლაც, თავიდან არის დასაწყები ბრძოლა, მაგრამ ვერ ვხედავ იმ ხალხს, ვისაც ეს შეუძლია. ჩვენ დაგვაკარგვინეს სული და მოგვაქციეს ლიბერასტულ მონობაში, თუმცა, აღორძინება ჯერ კიდევ შესაძლებელია. სხვათაშორის, ზუგდიდში რომ ვიყავით და უმძიმესი დღეები გვქონდა, მაშინ ზვიადს ვუთხარი — **ბატონო პრეზიდენტო, ხომ ხედავთ, შევარდნაძის სპეცსამსახურები თქვენი დაცვის წევრებს კვალში უდგანან და თქვენი ყოველი ნაბიჯის შესახებ იციან, ე.ი. თქვენს რიგებში ვიღაც მოღალატე ჰყავთ ჩანერგილი. თხუთმეტკაციანი ჯგუფი მზად არის, თავდადებული და უღალატო ბიჭები, რომლებიც თქვენთვის სიცოცხლეს არ დაიშურებენ და ჩოხატაურის გზით თურქეთში გადაგიყვანთ-მეთქი!** კატეგორიული უარი მითხრა ცხონებულმა — **მე საქართველოდან არსად წავალო!**

საერთოდ, ზვიად გამსახურდიას ბოლო დღეების შესახებ სალაპარაკო ბევრი მაქვს. ბევრ რამეზე მწყდება გული, მაგრამ ერთზე განსაკუთრებით — ზვიად გამსახურდიასთან ერთად ბევრი ფოტოსურათი მქონდა გადაღებული, მაგრამ მხოლოდ ერთი უხარისხო ფოტოღა შემომრჩა. დანარჩენი ფოტოები და ყველაფერი, რაც საქართველოს პირველ პრეზიდენტს უკავშირდებოდა, **გიორგი ჭანტურიას ედეპეშნიკებმა** წაიღეს, რომლებიც 1992 წელს სახლში დასახვრეტად შემომეჭრნენ და ოჯახი ამიწიოკეს...

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***


მერაბ მამარდაშვილი





**„ზვიად გამსახურდიაზე ეს უბინძურესი წერილი მერაბ მამარდაშვილმა დაწერა, ხოლო გაზეთ „მონდის“ რედაქციაში სალომე ზურაბიშვილმა მიიტანა!“**

**„ერთხელ ბრიუსელში სალომე ზურაბიშვილს შევხვდი და ვკითხე – დაუბრუნდება თუ არა საქართველოს აფხაზეთი და სამაჩაბლო-მეთქი? სალომემ, რომელიც მაშინ პრეზიდენტი არ იყო, მიპასუხა – არასოდეს, რადგან მაღლა ასეა გადაწყვეტილიო!“**

## კვირგვინოსნები



**მაია ორჯონიკიძე**
*ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრი, მხატვარი*

**მიშამ** ნაცმოს ლიდერი აღარ ვარ, **ნიკა მელია** და „თანავარსკვლავედი“ არიან დღევანდელი ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერებიო. **ისედაც 7 პროცენტზე დასულ ენმ-სთვის ეს, უბრალოდ, განაჩენია.**

„იმედინიუსი“



**გიგი უგულავა**
*ოპოზიციონერი პოლიტიკოსი*

როდესაც **ხელისუფლება არ ვარგა,** ევროპული საზოგადოება შესაბამისად მოქმედებს და **ხელისუფლებას ცვლის.** ჩვენმა საზოგადოებამ უნდა ჩააბაროს ეს გამოცდა, ვართ თუ არა ევროპული საზოგადოება.

„ახალი თაობა“



**დავით ქიქინაძე**
*პოლიტიკური მოძრაობა „ტრიბუნას“ ლიდერი*

ესენი **ხელისუფლება კი არა, მევახშეები** არიან.

„ახალი თაობა“



**მამუკა გიორგაძე**
*სახალხო პარტიის თავმჯდომარე*

ღიად **პრორუსულ ძალებზე** მეტად მაშფოთებენ ის ქართველი პოლიტიკოსები, რომლებიც წლებია, გამოდიან **პროდასავლური დროშით.**

„ახალი თაობა“



**მურმან დუმბაძე**
*„ნაციონალური მოძრაობა — გაერთიანებული ოპოზიციის“ წევრი*

პირდაპირ ვამბობ: **არ გვეკუთვნის ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი.** ჩვენ, როგორც საზოგადოება, ვერ შევდექით, ვერ გავხდით დემოკრატიული, თავისუფალი საზოგადოება.

„ინტერპრესნიუსი“

# უცნაური სასაფლაო თბილისში, სადაც ქვებიდან ძაღლები და კატები იმზირებიან!

**რა უნდა ქნას ადამიანმა, რომელსაც ნაფერებ-ნასიყვარულევი ცხოველი მოუკვდება? არჩევანი ძალიან მწირია: ან ცელოფანში გაახვიოს და ნაგვის ბუნკერში ჩააგდოს, ან კიდევ მანქანის საბარგულით ქალაქგარეთ გაუთხაროს საფლავი. დამკრძალავმა ბიურო „ჰერმესმა“ ეს პრობლემა საშვილიშვილოდ გადაჭრა. თბილისში, აეროპორტის მიმდებარედ, უკვე რახანია, ფუნქციონირებს ცხოველთა სასაფლაო, სადაც საფლავებზე აღმართული მარმარილოს ობელისკებიდან ადამიანთა ნაცვლად, ძაღლები და კატები შემოგვცქერიან, დაღუპულის სურათის ქვეშ კი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღებია ამოტვიფრული.**



**თემურ ბარელაძე, *„ჰერმესის“ დირექტორი ტექნიკურ დარგში:*** — ცხოველთა საქალაქო სასაფლაო აფრიკის უბანში, **ველის სასაფლაოს** მახლობლად, მდებარეობს. მისი შექმნის იდეა დაახლოებით, 15 წლის წინათ დაიბადა, როცა აშკარა გახდა, რომ ძაღლებისა და კატების მომრავლების კვალდაკვალ, ადრე თუ გვიან, მათი ლეშის დამარხვას ორგანიზებული სახე უნდა მისცემოდა. მოკლედ, ველის სასაფლაოზე, ადამიანების სასაფლაოდან მოშორებით, ამ მიზნისათვის იზოლირებული ტერიტორია გამოვაყოფინეთ.

**— ცხოველებში მხოლოდ ძაღლები და კატები იგულისხმება?**

— იგულისხმება ნებისმიერი შინაური ცხოველი, რომელიც შეიძლება ჰყავდეს მოქალაქეს და დაღუპვის შემდეგ მისი დამარხვის სურვილი გააჩნდეს. **თვის განმავლობაში 8 შეკვეთას მაინც ვახორციელებთ. მოქალაქეები გვირეკავენ, გვატყობინებენ, რომ შინაური ცხოველი მოუკვდათ და ჩვენს მომსახურებას ითხოვენ.** შესაბამისად, ჩვენი თანამშრომლები მიდიან მითითებულ მისამართზე, დაახლოებით ისე, როგორც ადამიანის გარდაცვალების შემთხვევაში.

**— საოცარია — ცხოველის გასვენება... რა პროცედურას მოიცავს სერვისი?**

— ძირითადად, მომსახურების ორი ვარიანტი არსებობს. მოქალაქე რეკავს „ჰერმესის“ ცხელ ხაზზე, სადაც მას პასუხობს ჩვენი ოპერატორი. მოქალაქე იუწყება, რომ, მაგალითად, მოუკვდა ძაღლი და სურს, ჩვენი სერვისით ისარგებლოს, რასაც ჩვენი თანამშრომლების ვიზიტი მოსდევს. არის მეორე ვარიანტი, როცა მოქალაქეს საკუთარი მანქანით მოაქვს ნეშტი და ჩვენი მესაფლავეები მარხავენ.

**— რამდენად ეთიკურია ასეთი სერვისი?**

— სრულიად ჯდება ეთიკის ფარგლებში და არც სარწმუნოებრივ პრინციპებს ეწინააღმდეგება. შინაურ ცხოველს არცთუ იშვიათად ოჯახის წევრის სტატუსი აქვს. აკი, წლების განმავლობაში უვლიან, ეფერებიან, ეთამაშებიან... ეს ემოციებთან არის დაკავშირებული. 15 წელს რომ გაატარებ ცხოველთან ერთად, ცხადია, ის გეყვარება კიდეც! **შემდეგ დგება ჟამი, როდესაც ცხოველი თავის სასიცოცხლო ვადას ამოწურავს და ილუპება, მაგრამ ეს ფაქტი ოჯახის წევრებისთვის არ გახლავთ იოლად გადასატანი. ადამიანებს დიდხანს მიჰყვებათ თავიანთი შინაური ცხოველის სიკვდილით გამოწვეული სევდა.**

ადამიანთა ნაწილი ცდილობს, თავისი დაღუპული ცხოველი იმ სიყვარულის შესაბამისად გააცილოს, რომელსაც წლების განმავლობაში თავისი ერთგულებითა და საქციელით იმსახურებდა. ამას გარდა, დედაქალაქის მოსახლეობა უკვე იმდენად გაიზარდა, რომ დაღუპული ცხოველის ინდივიდუალურად დასამარხად მოქალაქეებს ადგილის შერჩევა ძალიან უჭირთ, ხოლო ეს სერვისი ერთდროულად ყველა პრობლემას აგვარებს: **მოქალაქემ იცის, სად ტოვებს თავისი საყვარელი ცხოველის ნეშტს და შეუძლია, ნებისმიერ დროს მისი საფლავიც მოინახულოს.** არცთუ იშვიათად, ცხოველის საფლავზე მისი პატრონები მართლაც მოდიან, იხსენებენ საყვარელ არსებას, უვლიან და აწესრიგებენ საფლავს... ხშირად მემორიალსაც უკეთებენ და არც ამაში უნდა იყოს რაიმე გამაღიზიანებელი ან გასაკვირი.

„ჰერმესი“ მხოლოდ ცხოველის დამარხვას ახორციელებს. დანარჩენს — მემორიალს, წარწერას, საფლავის შემოფარგვლას, ვიზუალურ მოწყობას — თავად ჭირისუფლები თაობენ. სასაფლაოზე თითო ცხოველს თითო დასამარხი ადგილი აქვს გამოყოფილი.

**— რა ჯდება ცხოველის დაკრძალვა?**

— როცა ამ სერვისზე ფიქრი დავიწყეთ, იმთავითვე ჩავიფიქრეთ, ისეთი ტარიფების დაწესება, რომ ყველასთვის ხელმისაწვდომი ყოფილიყო. ამჟამად, 40-დან 60 კილოგრამამდე ცხოველის დამარხვა ჯდება **50 ლარი.** 60-დან 120 კილომდე — **80 ლარი;** 120 კილოგრამზე მეტი წონის ცხოველის დამარხვა კი **150 ლარი** ჯდება. ეს ხარჯი გულისხმობს მხოლოდ საფლავის გაჭრას და უშუალოდ დამარხვას. მაგრამ, თუ მოქალაქეს საკუთარი საშუალებით არ მოაქვს ნეშტი სასაფლაომდე და კატაფალკის გამოძახებასაც ითხოვს, ამ თანხას კიდევ **100 ლარი** ემატება. ვისაც შინაური ცხოველი ჰყავს, ძალიან კარგად იცის, რა ჯდება ყოველთვიურად მისი შენახვა, ამიტომ ეს თანხა სულაც არ არის ძვირი მათთვის, ვისაც თავისი ცხოველის მიმართ უკანასკნელი ყურადღებისა და მადლიერების გამოხატვა სურთ. საყვარელი არსების ნეშტს მართლაც ბუნკერში ხომ არ გადააგდებს? ასე რომ, ეს სერვისი არამხოლოდ მისაღებია, არამედ აუცილებელიც და მას ალტერნატივა არ გააჩნია!

**— რა ცხოველებია დამარხული ველის ცხოველთა სასაფლაოზე?**

— ძირითადად, ძაღლები და კატები. იყო ერთი შემთხვევა, როცა მაიმუნიც დავმარხეთ. კერძო პირი დაგვიკავშირდა, რომელმაც განგვიცხადა, რომ სახლში ჰყავდა მაიმუნი, რომელიც მოუკვდა და დახმარება გვთხოვა. **ცხოველების სასაფლაო არ გახლავთ საქართველოში შექმნილი ნოვაცია. ასეთი პრაქტიკა წარმატებით მუშაობს ამერიკაში.**

***საუბრის დასასრულს ჩემს რესპონდენტს ვთხოვე, ცხოველთა სასაფლაოს მონახულების საშუალება მოეცა. მან სასაფლაოს ადმინისტრაციის წარმომადგენელ კობასთან დამაკავშირა, რომელიც უშუალოდ სასაფლაომდე მიმიძღვა და ლამის თითოეული საფლავის ისტორია მიამბო:***

**კობა, *სასაფლაოს ადმინისტრაციის წარმომადგენელი:*** — ცხოველთა სასაფლაოზე ჭირისუფლები ისე დადიან, როგორც ადამიანების საფლავებზე. ზოგს ყვავილები მოაქვს... ზოგი დაბადების დღეს უხდის საყვარელ ცხოველს... ზოგი ტირის, ზოგი მდუმარედ გაჩერდება და უკან ბრუნდება...

ერთი შემთხვევა მახსოვს — ძაღლის ლეში დასამარხად რომ მივიტანეთ, პატრონმა იუარა — ძალიან შორია და ყოველდღე ვერ ვივლიო. სადღაც კიდევ ყოფილა მსგავსი სასაფლაო, ოღონდ ის კერძოა და ფასებიც დიდია. იქ წაიღო დასამარხად.

ცხოველების საფლავებს მავანი ადამიანების საფლავების მსგავსად აწყობს — მარმარილოზე ფოტოთი, ზოგჯერ — ფერადი ფოტოთიც. ხშირად მემორიალზე სახელთან ერთად დაბადებისა და გარდაცვალების წლებსაც აწერენ...

**ზოგი მარხავს ცხოველს და**



**„ცხოველთა სასაფლაოზე ჭირისუფლები ისე დადიან, როგორც ადამიანების საფლავებზე. ზოგს ყვავილები მოაქვს... ზოგი დაბადების დღეს უხდის საყვარელ ცხოველს...“**

## კვირგვინოსნები

**ზალიკო სულაკაური**
*მხატვარ-კარიკატურისტი*



**სააკაშვილის იმდენი კარიკატურა მაქვს დახატული,** იმდენი ლარი რომ მომცე, ერთ კარგ მანქანას ვიყიდი. **შევარდნაძეც ბევრჯერ მყავს დახატული,** მისი პირადად გაცნობის ბედნიერებაც მქონდა. პოლიტიკოსებიდან მაგაზე მაგარი იუმორი არავის ჰქონია.

„თბილისელები“

**ნიკა შენგელია**
*ეკონომიკის ექსპერტი*



ემიგრანტების შრომაზეა ჩამოკიდებული ქართული ეკონომიკა! ელემენტარულად, **კიტრი, პომიდორი და კარტოფილი ვერ მოუყვანია ქვეყანას!** ამხელა სამინისტრო არსებობს, ამხელა ეროვნული ბანკი და ეს ვერ გადაუწყვეტიათ. ხან რას აბრალებენ და ხან — რას. ვისაც გინდა, იმას დააბრალონ, **ეს არის თავიანთი უნიათობის ბრალი.**

„ახალი თაობა“

**ნუკი კოშკელიშვილი**
*ტელეწამყვანი*



**გადასარევი მაჭანკალი ვარ.** ჩემ გარშემო ყველა წყვილი მე დავაოჯახე. როცა კარგ ბიჭს ან გოგოს ვხედავ, ყოველთვის მომდის იდეები, ვინ ვის მოუხდება. სხვათაშორის, **ბევრი ქართულ-ამერიკული ოჯახი შეიქმნა ჩემი ინიციატივით.**

„სარკე“

**ეკა ქეთათელაძე**
*თეატრისა და კინოს მსახიობი*



ასაკს წინ არაფერი დაუდგება, მთავარია, ამაზე არ იფიქრო, **ყველა ასაკი თავისებურად საინტერესოა.** ის ნაოჭიც შენი ცხოვრების ნაწილია, მტკივნეულად არ უნდა მიიღო. არასდროს დამიმალავს, რომ 60-ს გადავცდი. **ის უფრო მომწონს, როცა ასაკს ვამბობ და არ მიჯერებენ.**

„სარკე“




ამის საშუალებას.

**შეიძლება ადამიანების ნაწილის ნეგატიური განცდა დაეუფლოს და წამოიძახოს, რა დროს ცხოველის სიკვდილზე ლაპარაკია, გარშემო ადამიანები პანტაპუნტით იხოცებიან, მაგრამ ჰუმანური უმრავლესობა, ვისაც ადამიანიც სათანადოდ უყვარს და ცხოველიც — უველაფერს სწორად გაიგებს. ზოგს ცხოველი კი არა, ადამიანიც არ უყვარს. ზოგს პირიქით — ცხოველიც ადამიანივით უყვარს.**

შინაური ცხოველის სიკვდილით ...




**სამუდამოდ ივიწყებს, აღარც საფლავის გასაკეთებლად იწუხებს თავს. ზოგი პირიქით — გადამეტებულად თან ჰყვება დაღუპულ ცხოველს, პომპეზურ საფლავს აწყობს.**

ყოველი შემთხვევისთვის, ყველა საფლავი დანომრილია, როგორც ადამიანების საფლავები, ანუ ნებისმიერ დროს პირისუფალს შეუძლია, თავისი ცხოველის ნეშტი მოიძიოს და სხვაგან გადამარხოს. ამისთვის სასაფლაოს ადმინისტრაციას აქვს სათანადო რუკა, რომელზეც დიდი სიზუსტით არის ასახული ყველა სამარხის ადგილმდებარეობა.

ყოფილა შემთხვევები, ძაღლების თავშესაფრიდანაც დაგვკავშირებიან და ამ სასაფლაოზე დაუკრძალავთ ცხოველი.

სასაფლაოს ჩვეულებრივად ემსახურებიან მესაფლავეები, რომლებიც თხრას იწყებენ, როგორც კი შეტყობინება შემოვა. ერთი ეგ არის, მესაფლავეები ჩვეულებრივ, ადამიანების სასაფლაოზე მუშაობენ და შეთავსებით აქაც შრომობენ.

უკვე 100-ზე მეტი ცხოველია დამარხული ამ სასაფლაოზე.

აგერ კატა, **სახელად ოზი.** ის საკმაოდ ხნიერი — 16 წლის დაღუპულა. პატრონმა სიყვარულით მოუწყო სამარხი და ის პატარა ბურთიც დაუდო, რითიც სიცოცხლეში თამაშობდა.

მახლობლად ძაღლი, სახელად **„ვანოა“** დაკრძალული. რატომ — ვანო? თავშესაფარმა მოიტანა ლეში დასამარხად. ვანო იმიტომ დავარქვით, ვანში ვიპოვეთ ეს ძაღლიო.

**აი, აქ, სადაც ბეტონზეზული ობიექტი შენდება, კანეკორსოს ჯიშის ძაღლია დამარხული. პატრონისთვის იმდენად მნიშვნელოვანი არსება ყოფილა, რომ მის სახელზე ასეთი გრანდიოზული მემორიალის აგება გადაუწყვეტია. მშენებლობა, როგორც ხედავთ, ჯერ არ დასრულებულა.**

აგერ, 2 ძაღლის საფლავი — გვერდიგვერდ... ისინი ესპანეთიდან დაბრუნებულ ქართველებს ეკუთვნოდათ. ჯერ ერთი დაეღუპათ და დაკრძალეს, მოგვიანებით მის გვერდით მისი მეგობარიც დამარხეს.

**საზოგადოების ნაწილმა იცის ამ სერვისის შესახებ და სარგებლობს კიდეც. უმრავლესობა საქმის კურსში არ არის, არადა, საჭიროა, ყველამ იცოდეს, ვისაც სახლში საყვარელი ცხოველი ჰყავს.** ყველანი სიკვდილის შვილები ვართ და არსების მიმართ, რომელიც წლების განმავლობაში ოჯახის სრულფასოვან წევრად ითვლებოდა, ადამიანს აქვს მორალური ვალდებულება, რომ ამქვეყნიური ცხოვრებიდან შესაბამისი პატივით გააცილოს. სწორედ ეს სერვისი იძლევა

ლი დიდი ტკივილია. **იყო შემთხვევა, ერთი ძაღლი ვმარხავდით... პატრონი ორმოში ჩავიდა ერთგულ ცხოველთან დასამშვიდობებლად. ეწით აუწერელი მოთქმით და ემოციით ეთხოვებოდა, ორმოდან ველარ ამოგვყავდა! ძლივს დავამშვიდეთ და დამარხვის ცერემონიალი ბოლომდე მივიყვანეთ.**

## ბოლოთქმა




სევდიანი განწყობით დავტოვე სასაფლაო. წამოსვლისას ამეკვიატა და დიდხანს არ მომასვენა 14 წლის **ნალა-ბალას** საფლავზე შავ მარმარილოზე ამოტვიფრულმა ეპიტაფიამ: **შენ გვაჩუქე ცხოვრების საუკეთესო წუთები, გვასწავლე უსაზღვრო ერთგულება და სიყვარული, ჩვენო ნალა-ბალა!**

ასეთ გულწრფელ სიყვარულს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ზოგი ადამიანიც ვერ იმსახურებს. მსმენია, რომ ძაღლს სული არ გააჩნია, არამედ აქვს მხოლოდ სამშვინველი და მჯერა, ნალა-ბალას სამშვინველი უთუოდ ნეტარებაშია იქ, სადაც ახლა იმყოფება... ნეტარებაშია სიყვარულით, რომელსაც ამ ქვეყნიდან მისი პატრონები უგზავნიან!

*მოამზადა* **ზაზა დავითაია**

## კვირგვინოსნები

**ბაჩანა ჭანტურია**
*ანსამბლ სუხიშვილების ყოფილი წევრი*



მე ჩემი ცეკვით, სცენაზე დგომითა და შემოქმედებით **უფალს ვესაუბრები.** სცენაზე ცეკვის დროს ჩემი ფიქრებით **ალსარებაც ჩამიბარებია.** ამ მომენტში საკუთარ აზროვნებას ბოლომდე ხსნი და აცოცხლებ. ამ დროს ხდება გარდაქმნა, შეიძლება, ჩიტად იქცე, შეიძლება, ცხოველიც გახდე — **ეს ერთ-ერთი ყველაზე დიდი ბედნიერებაა, რომელიც შეიძლება, მოკვდავმა ადამიანმა განიცადოს.**

„თბილისელები“

**შერმადინ ჭყუასელი**
*ანსამბლ „ერისიონის“ ხელმძღვანელი, ჯემალ ჭყუასელის შვილი*



**მამაჩემი მეუღლის მონატრებით დაღლილი წავიდა იმქვეყნად.** არ ვიცი, ძველი დიდება რამდენად დავიბრუნეთ, მაგრამ თავი არ დაგვიზოგავს. **დარბაზში, სადაც ვმუშაობთ, მამას დიდი პორტრეტია და სულ მაქვს შეგრძნება, რომ ამ პორტრეტიდან თვალს გვადევნებს, გვაფასებს, როგორ ვაგრძელებთ მის გზას.** დარწმუნებული ვარ, უკმაყოფილო არ არის.

„სარკე“



# 10 შეკითხვა სალომე ზურაბიშვილს

**ნანა კაკაბაძე**



## ქალბატონო სალომე,

**1.** როგორ გესმით საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლით განსაზღვრული სტატუსი, რომლის მიხედვითაც **„საქართველოს პრეზიდენტი არის ქვეყნის ერთიანობისა და ეროვნული დამოუკიდებლობის გარანტი“?**

აქედან გამომდინარე, ის შეურაცხყოფა და დამამცირებელი დამოკიდებულება, რაც ევროპული სტრუქტურებიდან საქართველოს მისამართით მოედინება, არის თუ არა ეროვნული დამოუკიდებლობის შელახვის მცდელობა?

**2. ფიქრობთ, თუ არა, რომ ნებისმიერი ქვეყნიდან თუ ევროპული გაერთიანებიდან მომდინარე ცეკას დირექტივების მსგავსი ყველა მოთხოვნა უპირობოდ უნდა შეასრულოს საქართველომ?**

თუ მხოლოდ პირადი ვიზიტების შეფერხებები მიგაჩნიათ უფლებების შელახვად? ან ასეთი შეფერხების დამადასტურებელ რაიმე დოკუმენტს რატომ არ წარმოადგენთ?

**3. მართლა ფიქრობთ, რომ ქვეყნის წინაშე დამსახურებების თუ დამაზიანებელი მოქმედებების შეფასებისას ერთ სიბრტყეზე შეიძლება დააყენოთ ბიძინა ივანიშვილისა და მიხეილ სააკაშვილის პოლიტიკური ფიგურები?**

**4.** თქვენც მიგაჩნიათ, რომ სააკაშვილის დროს უკეთესი მდგომარეობა იყო საქართველოში დემოკრატიის, ადამიანის უფლებათა დაცვის, მართლმსაჯულების სისტემის, კერძო საკუთრების დაცვის კუთხით და, ზოგადად, მაშინ იყო „კარგი მმართველობა“ და 2013 წლის შემდეგ ყველაფერი გაფუჭდა?

**5. თქვენც მიგაჩნიათ, რომ საქართველოში მედიის მდგომარეობა გაუარესებულია, ხოლო 2021 წლის 5 ივლისის მოვლენების კვალდაკვალ 30-ზე მეტი ადამიანის სისხლის სამართლის დამნაშავედ ცნობა და დასჯა საკმარისი არ არის?** იქნებ მათი სასჯელები გეცოტავებათ და მართლა ფიქრობთ, რომ ერთ-ერთი ნაცემი ოპერატორი ერთი კვირის შემდეგ, სწორედ 5 ივლისს მიღებული ტრავმებით და არა სხვა მიზეზითაა გარდაცვლილი? იცნობთ ამ პირის გარდაცვალების მიზეზთან დაკავშირებით არსებულ ექსპერტიზის დასკვნას?



**6.** ეთანხმებით ევროპული კვლევის ცენტრის დასკვნას, რომ **„საქართველოს პოლიტიკური რეჟიმი წლებია, ევროკავშირის ფუნდამენტურ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, დემოკრატიული ინსტიტუტების ფუნქციონირებისა და კანონის უზენაესობის თვალსაზრისით, პრობლემის სათავეში ქმედითი ძალაუფლების კონცენტრაციაა, ოლიგარქ ბიძინა ივანიშვილის ხელში, რომელიც არც არჩეულია და არც ანგარიშვალდებული, რაც სახელმწიფოს მიტაცების განსხეულებაა“?**

**7.** თუ ასე არ მიგაჩნიათ, რატომ ერთხელ მაინც არ გამოთქვამთ პროტესტს ევროპელი პოლიტიკოსების უსაფუძვლო და ცილისმწამებლურ განცხადებებთან დაკავშირებით? თუ, რასაც ევროპელები დაგვაბრალებენ და მოგვთხოვენ, ყველაფერი ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ და შევასრულოთ?

**8. თქვენს საარჩევნო პლაკატებზე ბიძინა ივანიშვილის პორტრეტი რომ იყო გამოსახული, როდესმე ხომ არ გიქმნიდათ ეს უხერხულობას? ან დღეს ხომ არ გეხამუშებათ?**

**9.** ხვდებით თუ არა, რომ ნაცები მანამდე მოგეფერებიან, სანამ დაჭირდებით მათთვის სასურველი გადაწყვეტილების მისაღებად და რომ მათთვის მისაღებ პოლიტიკოსად ვერასოდეს იქცევით?

**10. არსებობს თუ არა ევროპაში პოლიტიკური კორუფცია და ფიქრობთ თუ არა, რომ აქედან გამომდინარე, ევროპარლამენტში ბიძინა ივანიშვილის საწინააღმდეგო ლობისტური საქმიანობა შეიძლება, დაფინანსებული იყოს შეურაცხყოფილი საბანკო გიგანტის Credit Suisse-ს მიერ, რაც საქართველოს მეზობელი ქვეყნის ინტერესებსაც ემთხვევა?**

უფიქრია თუ არა აღნიშნულ ბანკს ასეთი ლობიზმისთვის, თუნდაც 100 მილიონი ევროს დახარჯვა, თუ ივანიშვილის დასანქცირების შემთხვევაში ბანკი 600 მილიონზე მეტი ვალის გადახდისგან შეიძლება გათავისუფლდეს?

# პატიმარ სააკაშვილის ციხეში საკითხავი

# სააკაშვილის „ძალის გამოღვიძება“ და რუსთავის საპყრობილეში მიძინება!




***„ასავალ-დასავალი“ აგრძელებს მიხეილ სააკაშვილის ქართულ ენაზე დასტამბული მემუარების მიმოხილვას. ეს წიგნი ნაცთა ფიურერმა ჯერ კიდევ უკრაინაში ცხოვრებისას გამოსცა და იმდენად არის საინტერესო, რამდენადაც სწორედ ამ ნაშრომით გეგმავდა საქართველოში სარევოლუციოდ „ძალის გამოღვიძებას“, როგორც ადოლფ ჰიტლერი თავისი „მაინ კამპფით“, ანუ „ჩემი ბრძოლით“!***

მიხეილ სააკაშვილი თავის მემუარებს აგრძელებს იმ რეფორმების მიმოხილვით, რითიც, მისი მტკიცებით, „ახალი საქართველო“ დაფუძნდა! არადა, პირველსავე წინადადებაში ისე ურცხვად და ცინიკურად ცრუობს, რომ სინდისის ქენჯნასაც არ განიცდის:

> ***„რევოლუციის შემდეგ მე და ჟვანიამ გადავწყვიტეთ, ჩვენი პარტიები გაგვეერთიანებინა“*** *(მ. სააკაშვილი, „ძალის გამოღვიძება“, გვ. 89).*

არადა, არავითარი **„მე და ჟვანიამ“** გადავწყვიტეთ არ ყოფილა! 2003 წლის ნოემბრის ბოლოს **„ვარდების რევოლუციად“ წოდებული სპეცოპერაციით,** ძალაუფლების მიტაცების შემდეგ, სააკაშვილმა პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად შევარდნაძის პარლამენტის თავმჯდომარე **ნინო ბურჯანაძე** მიავლინა და 2004 წლის 4 იანვარს ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დანიშნა! როგორც კი ამ არჩევნებზე გაიმარჯვა და საქართველოს პრეზიდენტის მანტია მოისხა, 28 მარტისთვის ვადამდელი საპარლამენტო არჩევნებიც დანიშნა! **ჰოდა, სწორედ ამ არჩევნების წინ წაუყენა ულტიმატუმი ზურაბ ჟვანიას — პარტია გააუქმეთ და ყველანი ნაცმოძრაობაში გადმობარგდითო!**

ჟვანიასაც მეტი არაფერი დარჩენოდა და მიიღო უკვე საქართველოს პრეზიდენტად წამომჯდარი სააკაშვილის ულტიმატუმი!

**რატომ გააუქმებინა სააკაშვილმა ჟვანიას პარტია?! იმიტომ, რომ პრემიერად დანიშნულ ჟვანიას არ ჰყოლოდა თავისი გუნდი და ყველაფერი ერთპიროვნულად სააკაშვილს ეკონტროლებინა!** აი, ასეთი „რეფორმატორობით დაიწყო მიხეილ სააკაშვილმა!

მემუარისტი თავად აღიარებს, რა ქაოსი და ბაქანალიაც იყო მის „რეფორმატორულ მთავრობაში“:

> ***„პირველ თვეებში მინისტრები გამუდმებით იცვლებოდნენ. ისინი ერთ ადგილზე დიდხანს არ ჩერდებოდნენ. ჩემი და ჟვანიას მეგობარი გიორგი ბარამიძე ჯერ შინაგან საქმეთა მინისტრად დაინიშნა, შემდეგ კი — თავდაცვის მინისტრად.*** *ჩემმა მარჯვენა ხელმა* ***ზურაბ ადეიშვილმა*** *რამდენიმე თვე იუსტიციის მინისტრად იმუშავა, რის შემდეგაც სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჩაუდგა სათავეში.* ***ვანო მერაბიშვილმა მოასწრო ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნისა და სახელმწიფო უსაფრთხოების მინისტრის თანამდებობებზე ყოფნა, სანამ 2004 წლის ბოლოს შინაგან საქმეთა მინისტრად არ დანიშნეს...“*** *(იქვე, გვ. 89).*

აი, ასე თამაშობდნენ სააკაშვილი და მისი უმწიფარი თანამზრახველები „სახლობანას“ და ამას დღემდე **„თანამედროვე სახელმწიფოს მშენებლობად“** გვასაღებენ!

სააკაშვილი იმასაც იხსენებს, როგორ ჩამოიყვანა მოსკოვიდან ეკონომიკის მინისტრად **კახა ბენდუქიძე:**

> ***„კახა ბენდუქიძის ეკონომიკის მინისტრად მოწვევა ჩემი იდეა იყო. ის გავიცანი მოსკოვში ჩემი პირველი ვიზიტის დროს, სადაც შეხვედრა მომიწყვეს მსხვილი ბიზნესის წარმომადგენლებთან. აქ იყვნენ: დერიპასკა, ვექსელბერგი, ფრიდმანი და სხვები. გაზაფხულის მიწურულს რუსი ბიზნესმენები საპასუხო ვიზიტით საქართველოში ჩამოფრინდნენ. ბენდუქიძესთან ვისაუბრე, რის შემდეგაც ჟვანიას ვკითხე, ხომ არ მოგვეწვია ის ჩვენთან ეკონომიკის მინისტრად. ჟვანიამ მომიგო: „მოდი, ვცადოთ“. ნახევარი საათის შემდეგ დამირეკა და მითხრა, რომ ბენდუქიძე დათანხმდა“*** *(იქვე, გვ. 90).*

მარტივი კითხვაა: რა ესაქმებოდა „პროდასავლური კურსის“ საქართველოს პრეზიდენტს ამ მამალ რუს ოლიგარქებთან: **დერიპასკა-ვექსელბერგ-ფრიდმანებთან?!** ესენი ხომ რუსული იმპერიის ისეთივე დამრტყმელი ძალაა, როგორც სატანკო არმიები?! ეს ხომ კრემლის ფინანსური სპეცრაზმია, რომელიც პირდაპირ რუსეთის სახელმწიფო ინტერესებით მოქმედებს?! და ამ დროს მათ საქართველოში ქონების დასაპატრონებლად ეპატიჟები! და ამ ყველაფერთან ერთად, პუტინის ოლიგარქების ერთ-ერთი წარმომადგენელი **კახა ბენდუქიძე** მთლად ეკონომიკის მინისტრად მოგყავს! ალბათ, გემახსოვრებათ, როგორ ამბობდა საჯაროდ ბენდუქიძე — **ყველაფერი იყიდებაო!** სტრატეგიული ობიექტების გაყიდვით გამოწვეულ პროტესტზე კი, საერთოდ, სიცილით კვდებოდა — **ვინმემ ამიხსნას, რა სისულელეა ეს ტერმინი „სტრატეგიული ობიექტი“ და რატომ არ შეიძლება მისი გაყიდვა სხვა ქვეყნის ბიზნესზეო!**

აი, სწორედ ასე აღმოჩნდა „რუსეთთან მებრძოლი“ სააკაშვილის პირადი მეცადინეობით რუსეთის ხელში საქართველოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის ათობით სტრატეგიული ობიექტი!

ძალიან ნიშანდობლივია, როგორ იხსენებს სააკაშვილი პრემიერად დანიშნული **ჟვანიასთვის** საკუთარი უპირატესობის დემონსტრირებას:

> ***„მე, როგორც პრეზიდენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური ვიყავი, ამიტომ უფლება მქონდა, მთავრობის სხდომები წამეყვანა. ამას ძალიან იშვიათად ვაკეთებდი, ბოლო წლებში კი მართვის სადავეები საერთოდ პრემიერს დავუთმე*** *(ანუ 2005 წლის 3 თებერვალს, ჟვანიას სიკვდილის შემდეგ დანიშნულ პრემიერებს! — გ.გ.).* ***პირველი სხდომა ჟვანიასთან ერთად ჩავატარე. მას უნდოდა, ეჩვენებინა, რომ ისიც მთავარი იყო და ვიწრო მაგიდის თავში ორი სკამი დადგა. „შენ რა, ვერ ხედავ, რომ ამ მაგიდასთან ვერ ვეტევით? სკამი მოაცილე, მე თავად წავიყვან სხდომას“. თუ ამ ტიპის ბავშვურ შეჯიბრს არ ჩავთვლით, ჩვენ ძალიან პარტნიორული ურთიერთობები გვქონდა“*** *(იქვე, გვ. 90).*

როგორი „პარტნიორული ურთიერთობები“ ჰქონდა სააკაშვილს ჟვანიასთან, მომდევნო აბზაცშივე თავისი პირით ამბობს:

> ***„ჟვანია ახლოს იყო პატარკაციშვილთან. მან 2003-ის არჩევნებში მხარი დაუჭირა ბურჯანაძეს და მათ კამპანიისთვის ხუთი მილიონი დოლარი გამოუყო.*** *შედარებისთვის, ნაციონალური მოძრაობის მთელი საპარლამენტო კამპანია ათჯერ ნაკლები დაგვიჯდა. პრემიერის პატარკაციშვილთან მჭიდრო ურთიერთობა რევოლუციის შემდეგაც გაგრძელდა. პრობლემა ის იყო, რომ პატარკაციშვილის ინტერესები ძირეულად განსხვავდებოდა სახელმწიფო ინტერესებისაგან ისევე, როგორც ნებისმიერი ქვეყნის ნებისმიერი ოლიგარქის...* ***დროდადრო ჟვანიას შეჩერება მიხდებოდა, როდესაც ის ხელს უწყობდა სხვადასხვა აქტივების პატარკაციშვილისთვის დაბალ ფასში გადაცემას, ჩვენ კი ვცდილობდით, ისინი რაც შეიძლება მაღალ ფასში გაგვეყიდა“*** *(იქვე, გვ. 91).*

როგორც ხედავთ, სააკაშვილი თავად აღიარებს, რომ ჟვანიასთან ქონების გადანაწილების საკითხში სერიოზული უთანხმოება ჰქონდა! მეტიც, სააკაშვილი პირდაპირ ამბობს, პრემიერ-მინისტრი ჟვანია **ბადრი პატარკაციშვილთან** ალიანსით, არც მეტი, არც ნაკლები, სახელმწიფოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ მოქმედებდაო!

რატომ აკეთებს ამას მემუარისტი?! იმიტომ, რომ ჟვანიას გაშავებით ერთგვარი ალიბი შეიქმნას მისი იდუმალი სიკვდილის საქმეში!

სააკაშვილი ჟვანიასთან ერთად ბადრი პატარკაციშვილსაც დიდ ყურადღებას უთმობს და მასაც აშავებს! აი, როგორ იხსენებს მემუარისტი პატარკაციშვილთან პირველ შეხვედრას:

> ***„ჩემი პრეზიდენტად არჩევის შემდეგ ჟვანიამ პატარკაციშვილთან მიმიყვანა. ოცდაათი წუთი გვალოდინეს კართან. დაცვის დატოვება შესასვლელთან მოგვიხდა. ის ასეთი სიტყვებით შეგვხვდა: „არჩევნების შედეგებით ძალიან უკმაყოფილო ვარ. ამას არ ველოდი. რაღაც უცნაურობები გააკეთეთ, მე სრულიად სხვა გეგმები მქონდა. დახმარება გინდა? მაშინ გარანტიები მჭირდება“.*** *ვეკითხები: რანაირი გარანტიები გჭირდება? მიპასუხა: „მაგალითად, როდესაც ბერეზოვსკი ლებედს აფინანსებდა, ჩვენ ის ვაიძულეთ, ბიჭებთან სექსით დაკავებულიყო და ეს ვიდეოზე გადავიღეთ. ეს ჩვენი გარანტია იყო.“* ***ვფიქრობ, ის ცრუობდა, მაგრამ განგებ აგდებულად მელაპარაკებოდა“*** *(იქვე, გვ. 92).*

წარმოიდგინეთ ასეთი ვითარება: პრეზიდენტი სააკაშვილი მიდის მილიარდერ **პატარკაციშვილთან** აუდიენციაზე ფინანსური მხარდაჭერისთვის! დიახ, ეს პატარკაციშვილისეული — **„დახმარება გინდა?“** — სწორედ ამას ნიშნავს, რომ სააკაშვილი მილიარდერთან სწორედ ფულის სათხოვნელად მივიდა! ჰოდა, პატარკაციშვილი ფულის მიცემის გარანტიების სანაცვლოდ **„ბიჭებთან სექსის“** თემას უყვება! ანუ სააკაშვილს თუ დავუჯერებთ, პატარკაციშვილმა რაღაც გარანტიებისთვის მას ბიჭებთან სექსი და ამის ვიდეოზე გადაღება შესთავაზა?! ეს ხომ ბოდვაა!

როგორც სააკაშვილი იხსენებს, მან ამაზე პატარკაციშვილს „ძალიან მკვახე პასუხი“ გასცა **(თუმცა, არ აკონკრეტებს, რა იყო ეს „ძალიან მკვახე პასუხი“!)**, რაზეც, თურმე, „ჟვანიამ ჩვენს შესარიგებლად მოირბინა“!

მაგრამ ამ „უღირსი შეთავაზების“ მიუხედავად, სააკაშვილი იქვე ყვება, რომ კიდევ არაერთხელ იყო **პატარკაციშვილის** სასახლეში:

> ***„მის სასახლეში კიდევ რამდენიმე სუფრაზე ვიყავი და დანამდვილებით ვიცოდი, რომ ყველაფერი იწერებოდა. კადრებზე, რომელიც შემდეგ მან ეთერში გაუშვა იმ მიზნით, რომ ეჩვენებინა, თითქოს მე და მას საერთო საქმეები გვქონდა, უბრალოდ, ბევრს ვჭამ. დიახ, იქ სულაც არ მინდოდა ლაპარაკი“*** *(იქვე, გვ. 92).*

აბა, თუ ლაპარაკი არ გინდოდა, ამხელა პრეზიდენტი კაცი იქ მუცლის ამოსაყორად და სათქვლეფად დადიოდი?!

პატარკაციშვილის გასაშავებლად სააკაშვილი ეკონომიკის მინისტრად მოსკოვიდან ჩამოყვანილი **ბენდუქიძისა** და მილიარდერის დაპირისპირებასაც იხსენებს:

## *მიხეილ სააკაშვილი:*

# პატარკაციშვილი ბენდუქიძეს დაემუქრა – „თუ საბადოებს არ მომყიდი, ხვალვე „იმედი“ აჩვენებს, როგორ გააუპატიურე პატარა ბიჭი“!



16



> ***„ბენდუქიძე თავიდანვე გამუდმებით ეკამათებოდა პატარკაციშვილს, „ფრთების გაშლის“ საშუალებას არ აძლევდა და ერთხელაც პატარკაციშვილმა მას უღრიალა. საქმე, თუ არ ვცდები, ჭიათურმარგანეცის საბადოებს ეხებოდა. პატარკაციშვილი ბენდუქიძეს დაემუქრა: „თუ საბადოებს არ მომყიდი, ხვალვე „იმედი“ აჩვენებს, როგორ გააუპატიურე პატარა ბიჭი“. ეს „პატარა ბიჭებთან“ დაკავშირებული თემა ყოველთვის მზად ჰქონდა... ბენდუქიძემ თავის სტილში ერთი მაგრად შეუკურთხა“*** *(იქვე, გვ. 92).*

***გიორგი გიგაური***

***გაგრძელება იქნება***

# ნონა აღდგომელაშვილი:

# მსოფლიოში არანაირი პანდემია არ ყოფილა!




*„ქრონოლოგიურად გამოვიკვლიე ჩინეთში, უხანის პროვინციაში, პირველი ინფიცირებულის დაფიქსირებიდან ჯანმოს მიერ პანდემიის ზეპირსიტყვიერად გამოცხადებამდე პროცესები, რაც ნათლად მეტყველებს, რომ სინამდვილეში მსოფლიოში არანაირი პანდემია არ ყოფილა! გლობალისტები ადამიანის გენომის რედაქტირებას აპირებენ, ეს არის ჰიბრიდული ომი კაცობრიობის წინააღმდეგ!“* ***— ამ სკანდალური სიტყვებით დაიწყო ჩვენთან საუბარი ექიმმა ნონა აღდგომელაშვილმა:***

— **გენრედაქტირების** (GRISP-GAS 9) **ტექნოლოგია** მე-20 საუკუნის 80-ანი წლების ბოლოს აღმოაჩინეს და 90-ან წლებში მისი საშუალებით უკვე მიიღეს გენმოდიფიცირებული ხილი და ბოსტნეული. შემდეგ ცდები ტარდებოდა სხვა ცოცხალ ორგანიზმებზე, მათ შორის, დაავადების გამომწვევ პათოგენებზე ფუნქციების გასაძლიერებლად. **ახლა ექსპერიმენტები უკვე ადამიანებზე დაიწყეს! მეთოდი მდგომარეობს შემდეგში: გენომიდან მოიჭრება კონკრეტული დაზიანებული გენი და მის ადგილზე ლაგდება დაუზიანებელი გენი. შედეგად ხდება გენომის ცვლილება, რომელიც გადაეცემა შთამომავლობას და ამ მეთოდით ცდილობენ ადამიანთა გენეტიკური დაავადებებისაგან „გათავისუფლებას“.**

თუ ექსპერიმენტი ხდება ბიოეთიკის კანონის დაცვით, პიროვნების ინფორმირებული თანხმობითა და რისკების გააზრებით, შეიძლება ცუდი არც არის, მაგრამ, რაც დღეს ხდება, ძალიან შემაშფოთებელია — **გარკვეულ ძალებს სურთ, ეს გააკეთონ იძულებით, მოტყუებით და მასობრივად!** საგანგაშოა, რომ ამ ექსპერიმენტის პარალელურად აწესებენ რეგულაციებს, რაც თავისი მავნე გავლენებით ყველა მიმართულებით პირდაპირ „ბომბავს“ ადამიანის ჯანმრთელობას. ჯანმრთელობისათვის აუცილებელია სულიერი, მენტალური, ფსიქოემოციური, ფიზიკური სიჯანსაღე და სწორი სოციალური ადაპტაცია. ამ საკითხებში საკმაოდ კარგად გაცნობიერებულმა მეცნიერებმა დაგვიწესეს ეს რეგულაციები. **მათ მშვენივრად იცოდნენ, რასაც აკეთებდნენ და როგორ უნდა გაენადგურებინათ ადამიანის იმუნიტეტი. აღარაფერს ვამბობ ხელოვნურად შემოგდებულ თემებზე, რომელიც საზოგადოებას მტრულად განწყობილ ბანაკებად ყოფს.**

**— ეს ავადსახსენებელი პანდემია ბოლოს და ბოლოს ხომ დასრულდა?**

— პანდემია არც ყოფილა. კითხვას შემოგიბრუნებთ — **სად გაქრა გრიპის ვირუსები?** საყოველთაო ვაქცინაციის საშუალებით კორონავირუსის წინააღმდეგ მიმდინარეობს მასობრივი გენური „თერაპია“, თუმცა, მხოლოდ ლაბორატორიული მეთოდებით არის შესაძლებელი გრიპის ვირუსის გარჩევა კორონავირუსისაგან, იმდენად ჰგავს სიმპტომები ერთმანეთს.

ახლა ვრცელდება ინფორმაცია, რომ პორტუგალიაში აფეთქდა BA-5 ვირუსის შტამი. კი მაგრამ, იქ ხომ მოსახლეობის 92% აცრილია და თან — არაერთხელ?! გამოდის, ვაქცინა არაეფექტური ყოფილა! ასე მოხდა ისრაელში, ბრიტანეთსა და სეიშელის კუნძულებზე: **მეორე ტალღა იქ აფეთქდა, სადაც მოსახლეობა მაქსიმალურად იყო ვაქცინირებული.**

დიახ,

**ვაქცინირებულ მოსახლეობაში იმუნოდეფიციტის გამო ახალ-ახალი შტამები ჩნდება. ეს ვირუსის თავდაცვითი რეაქციაა.**

**ვაქცინირებულებში ისე სუსტდება იმუნიტეტი, რომ გარეგანი გამაღიზიანებელიც არ უნდა, თავად ორგანიზმში არსებული მიკროორგანიზმები აქტიურდებიან, მრავლდებიან და ორგანიზმი ავადდება.** ტყუილად არ უწოდებენ ამ ვაქცინაციის შედეგს **„ვაქცინაციურ შიდსს!“**

მერწმუნეთ, ამიერიდან გრიპის ყოველ სეზონზე შეეცდებიან კოვიდვაქცინაციას. საქართველოში მოსახლეობის ნახევარზე მეტი აუცრელია და შეიძლება დაკვირვება, ამ სეზონს ვინ როგორ იტანს. **ვამჩნევ, რომ ვაქცინირებულებს უფრო უჭირთ!**

რაც შეეხება „მაიმუნის ყვავილის“ პანდემიას, აქ ორი ფაქტია ნიშანდობლივი. მისი საწინააღმდეგო ვაქცინები 2019 წლის ოქტომბრის ბოლოს დაამტკიცა ჯანმომ, ხოლო 2021 წლის მარტში ჩატარდა „მაიმუნის ყვავილის“ გავრცელების გლობალური სიმულაცია, რომელმაც მსოფლიოში 270 მილიონი ადამიანი იმსხვერპლა, ხოლო ეპიდემიის გამოცხადება 15 მაისს დაიგეგმა. ასე რომ, საზოგადოებამ განსაჯოს...

**— რა ხდება სინამდვილეში?**

— **ეს ჰიბრიდული ომია, რომელიც კაცობრიობას გამოუცხადა გლობალურმა ელიტამ ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად! ამ ომის პირველი მიზანია დედამიწაზე მოსახლეობის რაოდენობის მკვეთრად შემცირება, ხოლო ადამიანების ცნობიერებაზე — ტოტალური კონტროლის დამყარება!**

პროცესის სათავეში გაერო და მსოფლიო ბანკი დგანან. პროექტი ხორციელდება სხვადასხვა ბანკების, ჯანმოს, უხვად დაფინანსებული მასმედიის, ვაქცინაციისა და იმუნიზაციის გლობალური ალიანსის, იუნისეფის, გიგანტური ფარმაკომპანიების, სხვადასხვა ფონდების (მათ შორის, ბილ გეითსის), არასამთავრობო ორგანიზაციების, კანონმდებლების, მთავრობების, დაავადებათა ეროვნული კონტროლის ცენტრების და კლინიკის ხელმძღვანელების ჩართულობით. **პანდემია სტარტი იყო, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ომები, ხელოვნურად გამოწვეული შიმშილი, სხვადასხვა დაავადება** (რასაც აუცილებლად გამოიწვევენ ვაქცინაციით), **ეკონომიკური გაჭირვება.**




## „ეს ჰიბრიდული ომია, რომელიც გლობალისტების ელიტამ ახალი მსოფლიო წესრიგის დასამყარებლად კაცობრიობას გამოუცხადა!“

ჯერ კიდევ ორი წლის წინ ვსაუბრობდით, ვაქცინაცია — ეს გენური თერაპია — წარიმართებოდა ბიოეთიკის კანონების დარღვევით, რის გამოც შეურაცხყოფას გვაყენებდა ყველა, ვისაც არ ეზარებოდა! **შეურაცხყოფის კამპანიას დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელები პროვოცირებდნენ, რასაც მასმედია და საზოგადოების გარკვეული ნაწილი იტაცებდა.** ჩვენ ვამბობდით, რომ ვაქცინაცია რეალურად კვლევის მესამე ფაზა იყო და კანონდარღვევით მიმდინარეობდა.

ჩვენი სიმართლე დადასტურდა: ბარაქ ობამამ ღიად განაცხადა, რომ მილიარდობით ადამიანს ჩაუტარდა კვლევა ვაქცინაციის საშუალებით, ხოლო „ბაიერნ-მონსანტოს“ გენერალურმა დირექტორმა **სტეფან ერლიხმა** მსოფლიო ჯანდაცვის სამიტზე, რომელსაც 600-მდე მეცნიერი ესწრებოდა, ზარ-ზეიმით განაცხადა: „ორი წლის წინ საზოგადოება რომ გამოგვეკითხა, გსურთ თუ არა გენური ან უჯრედული თერაპიის მიღება და ორგანიზმში შეყვანა, ალბათ, 95%-ანი უარის მაჩვენებელი გვექნებოდა. ვფიქრობ, რომ ამ პანდემიამ ბევრ ადამიანს ასევე აუხილა თვალი ინოვაციებზე იმგვარად, როგორც ეს შეუძლებელი იყო ადრე!“

**— ამის მიუხედავად, საზოგადოების დიდ ნაწილს ვაქცინაციის გაგონებაც არ უნდა. მოსალოდნელია თუ არა იძულებითი ვაქცინაცია?**

— აუცილებლად შეეცდებიან, სხვაგვარად პროექტი ჩავარდება! **განსაკუთრებით შეეცდებიან ე. წ. მესამე კატეგორიის ქვეყნებში, რადგან ღატაკი ადამიანი ადვილად სამართავია.** ჩვენ, სამწუხაროდ, ზუსტად ეს სტატუსი გვაქვს, თითქმის 30 წელია, საცდელი ცხოველების როლში ვართ. ამიტომ იყო, რომ საქართველოში მუნიციპალური ტრანსპორტიც კი გააჩერეს, მწირი ხელფასი ტაქსში გადასახდელად არ ყოფნიდა ადამიანს, რათა სამსახურში წასულიყო. ბევრმა დაკარგა მაშინ სამსახური და უფრო გაღატაკდა. სხვა მექანიზმებთან ერთად ამგვარადაც აიძულებდა საქართველოს ხელისუფლება მოსახლეობას ვაქცინაციას. ახლო მომავალშიც შეეცდებიან, როგორც კი გააქტიურდება სეზონური გრიპის ვირუსი.

**— რას გვეტყვით „მაიმუნის ყვავილის“ ვირუსზე? როგორია მისი გადაცემის გზები მაიმუნიდან ადამიანზე და ადამიანიდან — ადამიანზე? გველოდება ახალი პანდემია?**

— „მაიმუნის ყვავილი“ ზოონოზური ვირუსული დაავადებაა, რომელიც ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკაში გვხვდება. ვირუსით ადამიანის დაინფიცირების პირველი შემთხვევა დადასტურდა 1970 წელს. ის ენდემური დაავადებაა, მაგრამ 2003 წელს ამერიკაში ვირუსით ადამიანის დაინფიცირების 70 შემთხვევა დადასტურდა, ხოლო 2017 წელს ნიგერიაში ეპიდაფეთქება იყო, რაც ლოკალურად გააჩერეს.

**ინფექცია მაიმუნიდან ადამიანზე გადადის უშუალო ფიზიკური ურთიერთობით და სქესობრივი კონტაქტით. ასევე თერმულად არასათანადოდ დამუშავებული ინფიცირებული მაიმუნის ხორცის მირთმევით.** ადამიანიდან ადამიანზე გადაცემის მექანიზმიც იგივეა: დაინფიცირებულ ადამიანთან უშუალო ფიზიკური ურთიერთობა, როცა შესაძლებელია სითხით სავსე ბუშტუკების გახეთქვა და შიგთავსის მოხვედრა ლორწოვან გარსზე (პირზე, ცხვირზე, თვალზე). ასევე **სქესუალური ურთიერთობა, განსაკუთრებით — ანალური.** ასეთი ტიპის სქესობრივი კონტაქტი განსაკუთრებით სახიფათოა, რადგან სწორი ნაწლავის ლორწოვანის დაზიანების გამო დაავადებების გამომწვევები ადვილად ხვდება სისხლში და ორგანიზმი ინფიცირდება. ზოგადად, ჰომოსექსუალ მამაკაცებში ნებისმიერი ინფექციები მარტივად ვრცელდება მათი სუსტი იმუნური სისტემის გამო.

## „მაიმუნის ყვავილი“ ჩვენ არ გვემუქრება, რადგან არ მივირთმევთ მაიმუნის ხორცს, უშუალოდ არ ვეკონტაქტებით მაიმუნებს. თუ ვინმეს ჰყავს სახლში – აცრას და მორჩა!

**— მაისის ბოლოს ერთდროულად მიმდინარეობდა მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი და ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის 75-ე ასამბლეა. განიხილებოდა თუ არა პანდემიის თემა?**

— დიახ, რუსეთ-უკრაინის ომთან, ეკონომიკური კრიზისებისა და კლიმატის ცვლილების თემებთან ერთად პანდემიის საკითხიც განიხილებოდა. მნიშვნელოვანი იყო იმის აღიარება, რომ „ფაიზერის“ და „მოდერნას“ ლაბორატორიებს თავისი ვაქცინები არ აუწყვიათ რეალური ვირუსის გენომზე. მათ აიღეს ჩინეთის მიერ გამოქვეყნებული გენის თანმიმდევრობა და შეიმუშავეს ვაქცინა კომპიუტერულ სიმულაციაზე დაყრდნობით. გარდა ამისა, დაგვამშვიდეს, რომ კოვიდპანდემია არ დასრულებულა და ახალ-ახალ პანდემიებს დაგვპირდნენ.

ყველა ელოდა, როგორ წარიმართებოდა ე. წ. პანდემიის ხელშეკრულების განხილვა, რაც საბოლოოდ 2024 წელს უნდა დასრულდეს. **მასზე ხელმოწერის შემთხვევაში ქვეყნები კარგავენ სუვერენიტეტს და მმართველობა ჯანმოს გადაეცემა.** სუვერენული ქვეყნების კონსტიტუციები გაუქმდება და ადამიანები ციფრულ კონტროლს დაექვემდებარებიან. საბედნიეროდ, რამდენიმე ქვეყანამ უარი თქვა განხილვაზე და სუვერენიტეტის დათმობაზე, რის შედეგადაც სექტემბერში მისი რატიფიცირება არ მოხდება. ასე რომ, **ჯანმოს მხრიდან მსოფლიოში ახალი დიქტატურის დამყარების მცდელობა ამ ეტაპზე ჩაიშალა.**

**— ხშირად გაისმის მოთხოვნები ჯანმოდან გამოსვლაზე...**

— რაც საბჭოთა კავშირი დაიშალა, იმის შემდეგ იმდენ „კავშირში“ შევედით, სათვალავი ამერია. ყველა რაღაცის დათმობას ითხოვს და ასე შემოგვეძარცვა დამოუკიდებლობაც და სუვერენიტეტიც. ზოგან საერთოდ არ გველოდებიან და მაინც ჯიუტად ვაკაკუნებთ კარზე. **ჯანმო ექვემდებარება გაეროს, რომლის წევრიც საქართველო არის 1992 წლის 31 ივლისიდან.** ახალი მსოფლიო წესრიგი, რომელიც საბოლოოდ ერთი პოლიტიკური და რელიგიური ლიდერის მოსვლით უნდა დაგვირგვინდეს, სწორედ გაეროს და მსოფლიო ბანკის ერთობლივი პროექტია, ხოლო ჯანმო — მისი აღსრულების ერთ-ერთი მექანიზმი. ვერ გეტყვით, რა მექანიზმებით შეიძლება გამოვიდეთ ჯანმოდან ისე, რომ გაეროს წევრად დავრჩეთ, თან მსოფლიო ბანკის რისხვა არ დავიმსახუროთ, რომლის დიდი ვალიც გვაქვს!

## „ჩვენი სიმართლე დადასტურდა: ბარაქ ობამამ ღიად განაცხადა, რომ მილიარდობით ადამიანს ჩაუტარდა კვლევა ვაქცინაციის საშუალებით!“



*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

## ეს იყო!

*ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ცნობილი ჟურნალისტი **გუბაზ მეგრელიძე** შინსახკომის გამომძიებლების მიერ 1936-1937 წლებში რუსთაველის თეატრის მსახიობთა დაკითხვის ოქმების გასაჯაროებას აგრძელებს. ამჯერად გთავაზობთ მსახიობ **ელგუჯა ლორთქიფანიძის** დაკითხვის ოქმს, რომელიც შედგა 1936 წელს:*



გუბაზ მეგრელიძე:

# მსახიობმა ელგუჯა ლორთქიფანიძემ დაკითხვის ოქმში ჩაწერა – ახმეტელი ბანდის წევრი იყო და ტყეში იმალებოდაო!

— რუსთაველის თეატრის მსახიობს **ელგუჯა ლორთქიფანიძეს** დაკითხვებზე იბარებდნენ 1936 წლის აგვისტოდან. პირველივე შეკითხვაზე — საბჭოთა ხელისუფლების მიმართ ოპოზიციურად განწყობილი იყავით თუ არაო, უპასუხა — თავიდანვე ოპოზიციურად ვიყავი განწყობილი, არ მომწონდა და თანამოაზრეებიც მყავდაო. დაასახელა ის მსახიობები, რომლებიც რუსთაველის თეატრიდან **სანდრო ახმეტელის** მოხსნის მერე ოპოზიციურად განწყობილ ჯგუფში იყვნენ: **ივანე აბაშიძე, გიორგი დავითაშვილი, ნინო ღვინიაშვილი, პლატონ კორიშელი, გიორგი სალარაძე, ბიძინა წულაძე, ნინო დავითაშვილი, ნატალია ჯავახიშვილი, ივანე ლაღიძე, სუზან ბეჟანიშვილი, ია ქანთარია, ოთარ დადიანი, გიგუცა ბეჟუაშვილი და მიხეილ ჩიხლაძე.** ეს ჯგუფი თეატრის რეჟისორებს — **აკაკი ვასაძეს, შოთა აღსაბაძეს და კუკური პატარიძეს** უნიჭოდ მიიჩნევდა, ხოლო **სანდრო ახმეტელს** აქებდა. **ელგუჯა ლორთქიფანიძე** დაკითხვის ოქმში აღიარებს, რომ ამ ჯგუფის წევრობას ნანობს.

**— რა დავალება უნდა შეესრულებინა ელგუჯა ლორთქიფანიძეს?**

— მისი აღიარებით, უნდა ჩაეშალათ რუსთაველის თეატრის შემოქმედებითი მუშაობა, რადგან ასეთი იყო **სანდრო ახმეტელისა** და მისი მეუღლის **თამარ წულუკიძის** სურვილი. დასახულ გეგმებზე სასაუბროდ მსახიობები ძირითადად იკრიბებოდნენ **პლატონ კორიშელის, თამარ წულუკიძის,** სუფლიორ **ნინო ღვინიაშვილის, ნინო დავითაშვილისა და თავად ელგუჯა ლორთქიფანიძის** ბინაზე. ისინი გარკვეულ დავალებებს იღებდნენ **სანდრო ახმეტელისგან.** კერძოდ, დაკითხვის ოქმის მიხედვით, 1935 წლის სექტემბრიდან მოყოლებული, **ახმეტელმა** მსახიობებს შემდეგი დავალებები მისცა — თეატრში შეექმნათ დაძაბული სიტუაცია, მოეხდინათ მისი ხელმძღვანელობის დისკრედიტაცია და მხოლოდ **ახმეტელის** დადგმები ეთამაშათ კარგად, სხვების კი ჩაეშალათ. თუმცა, **ახმეტელმა** ერთხელ საკუთარი სპექტაკლის „ინ ტირანოს“ ჩაშლაც დაავალა. მსახიობებს კონფლიქტის კერა კიდევ უფრო უნდა გაეზარდათ და თეატრში არსებულ მდგომარეობაზე ესაუბრათ პოეტებთან — **პაოლო იაშვილთან, ტიციან ტაბიძესთან, ირაკლი აბაშიძესთან,** ოპერის მომღერლებთან — **პეტრე ამირანაშვილთან და ნიკო ქუმსიაშვილთან.** ახმეტელს ამ ხელოვანთა მხარდაჭერის იმედი ჰქონდა.

**— როგორ ახასიათებდა ელგუჯა ლორთქიფანიძე ახმეტელს, როგორც პოლიტიკურ მოღვაწეს?**

— **ლორთქიფანიძემ** დაკითხვის ოქმში ჩაწერა — ადრეულ წლებში **ახმეტელი** ბანდის წევრი იყო და ტყეში იმალებოდაო! **ლორთქიფანიძემ** ასევე განაცხადა — **ახმეტელი** ფაშისტ **გრიგოლ რობაქიძეს** აიდეალებდა, ნაციონალურ სპექტაკლზე „ლამარა“ ამბობდა, ეს ჩვენი საფუძველია, თეატრი ამაზე უნდა ავაშენოთო!

რაც უნდა გასაკვირი იყოს, გამოძიება დაინტერესებული იყო **სერგო ორჯონიკიძის** ძმის **პაპულია ორჯონიკიძის** დამოკიდებულებით რუსთაველის თეატრის მსახიობებთან.



სანდრო ახმეტელი



ელგუჯა ლორთქიფანიძე

**— რა საქმე ჰქონდა პაპულია ორჯონიკიძეს ახმეტელის მსახიობებთან?**

— გამომძიებელი **ლორთქიფანიძეს** ჩააცივდა, თუ რატომ შეხვდა იგი თბილისის რკინიგზის სადგურზე **პაპულია ორჯონიკიძეს** და რა ინფორმაცია მიიღო მისგან. **ლორთქიფანიძემ** დაასახელა ის პირები, ვინც **პაპულია ორჯონიკიძესთან** შეხვედრის დროს ახლდა — **ვლადიმერ ადამიძე და ნინო ღვინიაშვილი.** თურმე, პაპულიას, სანამ მოსკოვიდან თბილისში ჩამოვიდოდა, დეპეშა გამოუგზავნია ტექსტით: დამხვდით, ამა და ამ დღეს ჩამოვდივარო. გამომძიებელი ამტკიცებდა, რომ ამ მოკითხვაში დაშიფრული ინფორმაცია იდო და ჯერ კიდევ მოსკოვში **ახმეტელსა და პაპულია ორჯონიკიძეს** ერთმანეთთან კავშირი ჰქონდათ. გამომძიებელმა **ელგუჯა ლორთქიფანიძე** ისე აწვალა, რომ ამ უკანასკნელმა ბოლოს განაცხადა: **ახმეტელი** მოსკოვში **სერგო ორჯონიკიძეს** შეხვდა და მასთან საუბარში თეატრიდან მოხსნის მიზეზად ნასვამ მდგომარეობაში თეატრში მისული ერთი მსახიობის გათავისუფლება დაასახელა — მთვრალი მსახიობის გაშვება არ მაპატიესო! **აკაკი ხორავას** გულისხმობდა.

**— ახმეტელი პაპულია ორჯონიკიძესთან მეგობრობდა?**

— თავის დროზე **ახმეტელს** კარგი დამოკიდებულება ჰქონდა **სერგო ორჯონიკიძესთან** და არც მის ძმას პაპულიას ერჩოდა. 1935 წელს მოსკოვში ჩასული **ახმეტელი სერგო ორჯონიკიძესთან ცდილობდა საქმის მოგვარებას, ეგონა, ამ გზით რუსთაველის თეატრში დაბრუნებას შეძლებდა.** 1937 წელს ძმებ ორჯონიკიძეებზე — სერგოსა და პაპულიაზე დაუნდობელი შეტევა განახორციელეს — პირველი 1937 წლის 18 თებერვალს, ოფიციალური ვერსიით, გულის შეტევით გარდაიცვალა (სინამდვილეში მოკლეს), ხოლო მეორე — იმავე წლის 9 ნოემბერს დახვრიტეს. ასე რომ, **სანდრო ახმეტელს** ამ ძმებთან სიახლოვე ვერ გადაარჩენდა და ვერც ის მსახიობები გადაურჩებოდნენ რეპრესიებს, რომლებიც მოსკოვიდან დაბრუნებულ **პაპულია ორჯონიკიძეს** რკინიგზის სადგურში დახვდნენ.

**— ელგუჯა ლორთქიფანიძეს რა ბრალდება წაუყენეს?**

— სხვათაშორის, **ლორთქიფანიძე** ნასამართლევი იყო — 1935 წელს ხულიგნობისათვის დააპატიმრეს, ერთი წლის შემდეგ კი სანდრო ახმეტელზე ადრე — 1936 წლის 23 სექტემბერს დაიჭირეს და ბრალად წაუყენეს საბჭოთა თეატრში პარტიული ორგანოებისა და ღონისძიებების დისკრედიტაცია და გამხრწნელი საქმიანობა, ასევე — **სანდრო ახმეტელის** მიერ შექმნილი ანტისაბჭოთა კონტრრევოლუციურ-ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა (ეს ბრალდება ჰქონდა ყველა მსახიობს) და **ლავრენტი ბერიას** წინააღმდეგ ტერორისტული აქტის დაგეგმვა. **ლორთქიფანიძის** დაკითხვა 9 თვის განმავლობაში მიმდინარეობდა. დაკითხვის ოქმში წერია — დანაშაულს ნაწილობრივ აღიარებს, ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდა თეატრში, მაგრამ ტერორისტული მუშაობაზე არაფერი იცისო! როცა უკანასკნელი სიტყვა მისცეს, **ელგუჯა ლორთქიფანიძემ** სიცოცხლის შენარჩუნება ითხოვა, მაგრამ დახვრიტეს **სანდრო ახმეტელთან** ერთად 1937 წლის 29 ივნისს. დახვრეტილ იქნენ მისი ძმებიც, რომლებსაც ბრალად კონტრრევოლუციური მუშაობა ედებოდათ.

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## ექიმის ტრიბუნა

*მთქნარება ორგანიზმის ის ბუნებრივი და უნიკალური რეფლექსია, რომელიც ხშირად ღიმილს იწვევს, მაგრამ ძალიან ბევრ რამეზე მიგვანიშნებს. ცნობილი მეცნიერი, ჰომეოპათი და ექიმი **კახა საბახტარიშვილი** იმ საშიშ დაავადებებს ჩამოთვლის, რომელთა სიმპტომატიკაც სწორედ ხშირ და არანორმალურ მთქნარებასთან გახლავთ დაკავშირებული:*



კახა საბახტარიშვილი:

# თუ გვინდა, ჯანმრთელი ვიყოთ, და-ვამ-თქნა-როთ!

— ალბათ, იშვიათია ადამიანი, რომელიც დღის განმავლობაში რამდენჯერმე არ ამთქნარებდეს. როგორც წესი, ადამიანები ყველაზე უფრო უძილობის, გატეხილი ღამის შემდეგ ამთქნარებენ. ხშირია მთქნარება მაშინაც, როცა ადამიანი დახუთულ სივრცეში, ჟანგბადით ღარიბ გარემოში იმყოფება. ვამთქნარებთ მაშინაც, როცა ვიღვიძებთ და აქტიურ ფიზიკურ ან გონებრივ მუშაობას ვიწყებთ. მთქნარება უმეტეს შემთხვევაში იმის მანიშნებელია, რომ ადამიანს ეძინება. როცა გონებრივად დიდხანს ვმუშაობთ და ტვინს დასვენება სჭირდება, მაშინაც ვამთქნარებთ. საერთოდ, უნდა ვიცოდეთ, რომ მთქნარება ეს არის ორგანიზმის უნიკალური ფიზიოლოგიური თვისება, რომელსაც ადამიანისთვის დიდი სარგებლობა მოაქვს.

**— ბატონო კახა, მთქნარება, როგორც წესი, გარშემო მყოფებში ღიმილს იწვევს, ამიტომ ბევრი ცდილობს, ეს ბუნებრივი და ფიზიოლოგიური პროცესი დათრგუნოს. ამაზე რას იტყვით?**

— მთქნარების ხელოვნურად დათრგუნვას ორგანიზმისთვის ზიანის მეტი არაფერი მოაქვს! როცა ღამით გვძინავს, ამ დროს ტვინი „ისვენებს“, ხოლო გაღვიძებისას ჩვენს ორგანიზმში უამრავი რეფლექსი ირთვება და ტვინი გაძლიერებულად იწყებს მუშაობას, რაც იმას ნიშნავს, რომ მას უფრო მეტი ჟანგბადის მიწოდება სჭირდება. სწორედ აქედან გამომდინარე, ადამიანი იწყებს მთქნარებას — პირი ფართოდ იღება, ღრმა შესუნთქვის შედეგად ჰაერის დიდი ნაკადი შედის ფილტვებში, რომლებიც, თავის მხრივ, ჟანგბადით ამარაგებენ თავის ტვინს. **როცა მთქნარებას ხელოვნურად ვბლოკავთ, ამით თავის ტვინს მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ჟანგბადს ვაკლებთ, რამაც შესაძლოა, გამოიწვიოს გონების დაბინდვა, თავბრუდახვევა, ადვილად დაღლა, მოთენთილობა და ა.შ.** მთქნარებას აქვს ერთი უმთავრესი ფუნქცია — ტვინის „გაგრილება!“

**— როგორ, რა მექანიზმით?**

— საქმე ის გახლავთ, რომ ტვინი თავისი არსით ძალიან წააგავს კომპიუტერს, რომელიც საუკეთესოდ მუშაობს გრილ გარემოში. როდესაც გონებრივად ბევრს ვმუშაობთ, თავის ტვინი გადახურებულია. მთქნარების შედეგად, როცა პირს ფართოდ ვაღებთ, ჰაერის ძლიერი ნაკადი, რომლის ტემპერატურაც სხეულის ტემპერატურასთან შედა-

## კვირგვინოსნები



**ალეკო ელისაშვილი**
*„მოქალაქეების“ ლიდერი, პარლამენტარი*

**ოპოზიციაში არიან ისეთი გარეწრები,** რომლებიც ევროპარლამენტში ეუბნებოდნენ, **ვიზალიბერალიზაცია არ მიგვეღო,** არ გამოვრიცხავ, ისევ დადიოდნენ და ეუბნებოდნენ, **სტატუსი არ მისცეთო.**

„პირველი არხი“



**ზურაბ ჭიაბერაშვილი**
*„ევროპული საქართველოს“ ყოფილი წევრი*

როცა გაბრალებენ — **აბა, ომი გინდათ?** თუ საჭიროა, უნდა უთხრა, რომ ქვეყნის თავისუფლებისთვის **თუ ომია საჭირო, დიახ, ომი მინდა.**

„TV ფორმულა“



**ალექსანდრე გულდავა**
*დეკანოზი*

წარმოუდგენელია, ვინმეს **ქართველების წმინდა მიწაზე დაბრუნება** არ უხაროდეს — **რახან ოპოზიციონერი ხარ, ყველაფერი უნდა წაბილწო?**

„TV იმედი“



**დავით ხუჯაძე**
*მომღერალი*

**მეორე შვილის** დაბადებამ ახალი აზრი მისცა ჩემს ცხოვრებას. საერთოდ ვთვლი, რომ **რაც უფრო მეტი შვილი გეყოლება,** მით უკეთესია, მეც არ ვაპირებ ამაზე გაჩერებას.

„სარკე“



**გიორგი ქევლიშვილი**
*„საზოგადოება და ბანკების“ ხელმძღვანელი*

**გაზის გაძვირება ყველას გვეხება,** რადგან მოვიხმართ საქონელს, რასაც ბიზნესი ამ გაძვირებული გაზით აწარმოებს და, ცხადია, **პროდუქცია გაძვირდება.**

„კვირის პალიტრა“

რებით შესაძლოა, 10-20 გრადუსით დაბალი იყოს, თავის ტვინის ფუძეს ხვდება და ტვინს გადახურებისგან იცავს. **ამიტომ ჩემი რჩევაა, როცა გონებრივი მუშაობა გვიწევს, ხშირად დავამთქნაროთ! ამ ხერხით თავის ტვინი მაქსიმალურად გვიან გადაიღლება და ჩვენი შრომის ნაყოფიერებაც დიდი ხნის განმავლობაში პიკზე იქნება.**

როცა ადამიანი სტრესულ სიტუაციაში იმყოფება ან შეშინებულია, ასეთ დროს სუნთქვა ეკვრის, რის გამოც თავის ტვინს ნაკლები ოდენობის ჟანგბადი მიეწოდება. ამიტომაა, რომ გამოცდებისა და ძლიერი სტრესული სიტუაციის დროს ადამიანები ხშირად ამთქნარებენ. როცა თვითმფრინავში ვართ და სმენა გვეხშობა, მთქნარება აუცილებელია, რათა გარე და შიდა ყურში ატმოსფერული წნევა გათანაბრდეს და ხმა კარგად გავიგონოთ. იგივე შეიძლება ვთქვათ იმ სიტუაციაზეც, როცა მწვერვალზე ავდივართ.

**— მთქნარება ყოველთვის სასარგებლო და უსაფრთხო მოვლენად შეიძლება ჩაითვალოს?**

— თუ ადამიანი დღის განმავლობაში მინიმუმ — სამჯერ და მაქსიმუმ ოცჯერ ამთქნარებს, ეს ნორმად შეიძლება ჩაითვალოს, მაგრამ, თუ მთქნარების რიცხვი უფრო მეტია, მაშინ საქმე გვაქვს სერიოზულ პათოლოგიებთან. კერძოდ, **ხშირი მთქნარება, უპირველეს ყოვლისა, გულის საშიში დაავადებების მანიშნებელი შეიძლება, იყოს!** როგორც წესი, გულის მუშაობაზე დიდ გავლენას ახდენს **ცდომილი ნერვი** (nervus vagus), რომელიც თავის ტვინს გულთან და კუჭ-ნაწლავის ორგანოებთან აკავშირებს. როცა ამ ნერვის მოქმედება კომპენსირებული არ არის, პულსი მცირდება, წნევა ეცემა, სუნთქვა იშვიათდება, გული და თავის ტვინი ნაკლებ ჟანგბადს ღებულობს და ყოველივე ამის გამო ადამიანი ამთქნარებს. შესაძლოა, ადამიანს ტიპური ინფარქტის ნიშნები არ ჰქონდეს **(მწვავე ტკივილი მკერდის ძვლის უკან, ტკივილის გადაცემა მარცხენა ხელში, მარცხენა ქვედა ყბაში, კოშინი)**, მაგრამ გალურჯებული ჰქონდეს ტუჩი, ხელი ან ფეხი. ამ სილურჯეს თუ მთქნარებაც დაერთო, სახეზეა ინფარქტის საწყისი ნიშნები და სასწრაფო ზომების მიღებაა საჭირო.

ხშირი მთქნარება შესაძლოა, **ფარისებრი ჯირკვლის პრობლემებზეც** მიუთითებდეს. კერძოდ, **ჰიპოთირეოზის** დროს, როცა **ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონების** გამოყოფა შემცირებულია, ორგანიზმი განიცდის ენერგეტიკულ შიმშილს. ასეთ დროს ადამიანი ხშირად ამთქნარებს. თუ მთქნარებას თან ახლავს მშრალი კანი, თმის ცვენა და წონის მატება, პაციენტი სასწრაფოდ ენდოკრინოლოგთან არის მისასვლელი. **ხშირი მთქნარება შესაძლოა, დიაბეტის ადრეული გამოვლინების მიზეზიც იყოს.** როცა გლუკოზა უჯრედში ვერ ხვდება, ადამიანი უენერგიოა, ადვილად იღლება, ტვინს ჟანგბადი ნაკლები რაოდენობით მიეწოდება და ამის საკომპენსაციოდ ადამიანი ხშირად ამთქნარებს ჟანგბადის მარაგის შესავსებად.

**— გამიგია, ადამიანს, რომელსაც ინსულტი განუვითარდა, მანამდე დაეწყო ხშირი მთქნარება. ასეთ დროს რასთან გვაქვს საქმე?**

**— ხშირი მთქნარება ინსულტის წინა პერიოდის მანიშნებელიც შეიძლება, იყოს. ეს ხდება განსაკუთრებით მაშინ, როცა ადამიანის მეტყველება გაურკვეველი ხდება და სიცილი სახის მხოლოდ ერთ ნაწილზე ფიქსირდება.**

ასეთ დროს სახე შეშუპებულია, კიდურები — დასუსტებული, ხოლო ხელის აწევა — გაძნელებული.

**პათოლოგიური მთქნარება გაფანტულ სკლეროზსაც ახასიათებს.** ასეთ დროს ადამიანს დარღვეული აქვს მოძრაობის კოორდინაცია, მგრძნობელობა და დასუსტებული აქვს კიდურები. ჩემთან, კლინიკაში, არცთუ იშვიათად შემხვედრია პაციენტები, რომლებიც დროულად იძინებენ და არც ძილს იკლებენ (8 საათის განმავლობაში სძინავთ), მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ წინა დღით არც ფიზიკურად და არც გონებრივად განსაკუთრებული დატვირთვა არ მიუღიათ, მეორე დღეს მაინც გრძნობენ მოთენთილობას, დაღლილობას და ხშირად ამთქნარებენ. ასეთ დროს გული უნდა გამოვიკვლიოთ, მაგრამ, თუ გული ჯანმრთელია, მაშინ ზემოხსენებული ნიშნები შესაძლოა, **ობსტრუქციული აპნოეს სინდრომის** გამოვლინება იყოს!




**— რა არის ობსტრუქციული აპნოეს სინდრომი და რატომ ამთქნარებს ამ დროს ადამიანი?**

— აპნოე ძილში სუნთქვის შეკავებას ნიშნავს. **აპნოეს დროს ადამიანმა სუნთქვა შესაძლოა, ერთ წუთამდეც კი შეაკავოს და ეს პროცესი მთელი ღამის განმავლობაში ათჯერ და ოცჯერაც შეიძლება,** განმეორდეს. ასეთ დროს თავის ტვინს საკმარისი რაოდენობის ჟანგბადი ვერ მიეწოდება და ამიტომ დილით ის უკვე გადაღლილია. ამის საკომპენსაციოდ ირთვება მთქნარების რეფლექსი, რათა ტვინმა ჟანგბადი შეივსოს.

მთქნარება დეპრესიის მანიშნებელიც შეიძლება, იყოს! კერძოდ, დეპრესიის დროს ადამიანის ორგანიზმში ნორმაზე მეტი **კორტიზოლი** გამომუშავდება, რომელიც სისხლძარღვებს ავიწროებს და თავის ტვინს ნაკლები რაოდენობის ჟანგბადი მიეწოდება. ამის საპასუხოდ ორგანიზმი ისევ და ისევ მთქნარების რეფლექსს აამოქმედებს. ვინც ანტიდეპრესანტებს იღებს, ხშირად ამთქნარებს, რადგან მათი ზემოქმედების შედეგად ორგანიზმში ჭარბად გამოიყოფა ბედნიერების ჰორმონი **სეროტონინი,** რაც მუდმივ დაღლილობასა და მთქნარებას იწვევს.

**— რატომ არის მთქნარება გადამდები?**

— მთქნარება ცხოველებმაც იციან. როცა ადამიანი ამთქნარებს და ჩვენ ამას ცხადად ან მხატვრულ ფილმში ვუყურებთ, შესაძლოა, უნებლიეთ, იგივე გავიმეოროთ და დავამთქნაროთ. ამის მიზეზი გახლავთ თავის ტვინში არსებული სარკისებრი ნეირონები, რომლებიც ადამიანს სხვის მიერ ჩადენილი კონკრეტული მოქმედებისა თუ უმოქმედობის, სიკეთისა თუ ბოროტების აღქმისა და გამეორების სურვილს უჩენს.

**როცა სუფრაზე ყველა მხიარულობს, სარკისებრი ნეირონების საშუალებით ეს განწყობა ჩვენც გადმოგვედება, ხოლო, როცა საყოველთაო მწუხარებაა, იმავე მექანიზმით ჩვენც მწუხარე და დარდიანი ვხდებით.**

მთქნარების დროსაც ზუსტად ანალოგიურ მოვლენასთან გვაქვს საქმე.

ცნობისათვის, ამერიკაში ერთ-ერთ გადაცემას, რომელიც ეთერში გვიან გადის, წამყვანი ყოველთვის მთქნარებით ამთავრებს. მაყურებელი ერთხმად აღნიშნავს, რომ წამყვანის მთქნარება გადამდებია და ყველას მალე და ტკბილად ეძინება.

დასასრულ, ჩვენი რჩევა ასეთია — **თუ გვინდა, რომ ჯანმრთელი ვიყოთ, ხშირად დავამთქნაროთ!** ეს გაახალგაზრდავებასაც უწყობს ხელს, რადგან მთქნარების პროცესში სახისა და კისრის უამრავი კუნთი ერთვება და ნაოჭების გაჩენის საფრთხეც კლებულობს! განსაკუთრებით ხშირად უნდა ამთქნარონ იმათ, ვინც სიგარეტს ეწევა. მწეველების ორგანიზმში მუდმივად ჟანგბადის ნაკლებობაა, ამიტომ ჟანგბადის შესავსებად მთქნარება ერთ-ერთი საუკეთესო, უწყინარი და ბუნებრივი საშუალებაა!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

# „ხშირი მთქნარება, უპირველეს ყოვლისა, გულის საშიში დაავადებების მანიშნებელი შეიძლება, იყოს!“


## თქვენი ჯანმრთელობისათვის!

# კოვიდი ვინც გადაიტანა, «გულის ელექსირი» ყველამ უნდა მიიღოს!





**„გულის ელექსირი“ ყველა სააფთიაქო ქსელშია!**
**593 31-70-34**

უნიკალური ლიცენზირებული ბუნებრივი ჰომეოპათიური პრეპარატი **„გულის ელექსირი“,** რომელსაც თავისი მაღალეფექტიანობის და გვერდითი მოვლენების არქონის გამო ხალხში უკვე სიცოცხლის ელექსირადაც მოიხსენიებენ, მოკლე ხნის განმავლობაში **ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი საგული საშუალება გახდა. „გულის ელექსირი“** შესაბამისი პროცედურების გავლის შემდეგ შეიძლება გახდეს **პირველი ქართული ჰომეოპათიური წამალი, რომელიც ევროკავშირის წევრ ქვეყნებშიც თავისუფალ გაყიდვაში იქნება!**

გაზაფხულზე ხშირია გეომაგნიტური დღეები: **წნევა ცვალებადობს, წარმოიქმნება არითმიები**. ადამიანები უჩივიან **მოთენთილობას, ადვილად დაღლას.** მატულობს **ინფარქტების, ინსულტების** წარმოშობის რისკი. სწორედ ასეთ დროს ფასდაუდებელი დახმარების გაწევა შეუძლია **„გულის ელექსირს“.**

**„გულის ელექსირი“:**

**1. ხსნის სპაზმებს;**

**2. კვებავს გულის კუნთს;**

**3. აფართოებს სისხლძარღვებს;**

**4. აქვს არითმიის საწინააღმდეგო მოქმედება;**

**5. აქვს დამამშვიდებელი ეფექტი;**

**6. მისი გამოყენებით გულის შეტევების სიხშირე 10-ჯერ მცირდება;**

**7. ეფექტურია გულის შუნტირების შემდგომ პერიოდში.** რაც მთავარია: წნევის მარეგულირებელია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არა აქვს შეზღუდვა. მისი გამოყენება შესაძლებელია როგორც მაღალი, ისე დაბალი წნევის დროსაც.

**„გულის ელექსირის“** შემქმნელმა **ეკოლოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა, ექიმმა კახა საბახტარიშვილმა** თითქმის 15 წელი მოანდომა „გულის ელექსირის“ ყველაზე ოპტიმალური ფორმულის დადგენას. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ათასობით პაციენტზე დადებითი შედეგი იქნა მიღებული, **„გულის ელექსირი“** დარეგისტრირდა ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ არა როგორც საკვები დანამატი, არამედ როგორც სამკურნალო წამალი, ყოველგვარი **გვერდითი მოქმედებებისა და მიჩვევის ეფექტის გარეშე. „გულის ელექსირი“** ყველა აფთიაქში **რეცეპტის გარეშე** გაიცემა და მისი გამოყენება შესაძლებელია ნებისმიერ ქიმიურ მედიკამენტთან ერთად. 1 ფლაკონის ფასი 16 ლარამდეა და ჰყოფნის 1 თვეზე მეტი!

**P.S.**

**აშშ-ის ვაშინგტონის უნივერსიტეტის** კვლევებით კოვიდინფექცია 72-ჯერ ზრდის **გულით დაავადებათა** განვითარების **რისკს.** ყოველი 100 ადამიანიდან, რომელთაც **გული საერთოდ არ აწუხებდათ, „კოვიდის“** გადატანის შემდგომ 40 პროცენტს აღენიშნათ: ***გულის არეში პერიოდული ჩხვლეტა, გულისცემის გახშირება — ტაქიკარდია, ქოშინი დატვირთვისას, ქვედა კიდურების მსუბუქი შეშუპება.*** ეს სხვა არაფერია, თუ არა ***გულის კუნთის ანთება — მიოკარდიტი.*** თუ დროულად არ მოხდა ამ დაავადების მკურნალობა, **შესაძლოა, განვითარდეს ექსტრასისტონია, არითმია,** რომელიც *ინფარქტით სრულდება.* **„გულის ელექსირის“** მიღებული 5-7 წვეთი დღეში 3-4-ჯერ ხსნის ამ მოვლენებს, **იცავს კოვიდგადატანილ** პაციენტს *ინფარქტისა და ინსულტისაგან.*


## კვირგვინოსნები

**ივანე ჩხაიძე**
*იმუნიზაციის ტექნიკურ მრჩეველთა ეროვნული ჯგუფის ხელმძღვანელი*



**„მაიმუნის ყვავილის“** ეპიდემიად ქცევის მხოლოდ თეორიული შანსი არსებობს. **თუ „კოვიდი“ ჰაერწვეთოვანი გზით ვრცელდება** და, უმეტეს შემთხვევაში, ერთ მეტრ მანძილზეა გადამდები, მისგან განსხვავებით, **„მაიმუნის ყვავილი“ არ ვრცელდება ჰაერწვეთოვანი გზით,** არამედ ხანგრძლივი და მჭიდრო კონტაქტით. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია მას არ განიხილავს საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის საშიშ მოვლენად, ვინაიდან **გავრცელების ეს გზა არ მიიჩნევა პანდემიის, ან, თუნდაც, ეპიდემიის გამომწვევად.**

„კვირის პალიტრა“

**თამარ ივერი**
*სოპრანო*



ჩემს შვილებს რომ ეკითხებიან, **ვისი შვილები ხართო,** პასუხობენ, **თამარ ივერისო.** ჩემი მეუღლის მეგობარმა უთხრა, კი მაგრამ, სულ თამარს რომ იძახით, მამას რატომ არ ასახელებთო. **დედაჩვენს ყველა იცნობს, სულ ტელევიზორშია, მამას კი არავინ იცნობსო.** ძალიან ვიხალისეთ.

„სარკე“

**ერეკლე საღლიანი**
*პოეტი*



დიდი დარტყმები მივიღე ცხოვრებისგან, მაგრამ დროული იყო გონს მოყვანის მიზნით, ეგ რომ არა, უბედური ვიქნებოდი. **კაცს რომ ბოდიშის მოხდა არ შეუძლია, ის კაცი არ არის.** უშეცდომო არავინაა. სამწუხაროდ, ბევრი **თავისუფლებას ალვირახსნილობაში ურევს.**

„თბილისელები“

**რატი ამაღლობელი**
*პოეტი*



ომი კი არა, **ღირსება და მშვიდობა გვინდა.** ცვლილებების დროა, **ყველგან რაღაც უნდა შეიცვალოს** როგორც ხელისუფლებაში, ისე ოპოზიციაში.

„კვირის პალიტრა“






თარაზულად: 1. ერთგვარი, გულიანი კანფეტი; 6. ყველაზე ღრმა ტბა; 7. მეოთხე ნოტი; 8. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარი ოკეანის სამხრეთში; 11. სიგრძის საზომი ერთეული (ძვ.); 12. სამაგიდო თამაში; 14. ზოგიერთ სპორტულ შეჯიბრებაში წარმატების ციფრობრივი აღნიშვნა; 15. ავადმყოფობის განვითარების უმაღლესი წერტილი; 16. ნორჩი (16 წლამდე) მოჭიდავე; 18. რაიონი საქართველოში; 19. სატრანსპორტო საშუალება, ერთგვარი ბრტყელძირიანი გემი; 20. აზრი, ჩანაფიქრი; 22. მოხდენილი აღნაგობის მქონე; 23. ცუდის მდომი; 26. ნამცხვარი, რომელსაც გულად აქვს ცხიმში მოხალული ფქვილი; 27. ტივტივა; 29. აფრიკული ვრცელი ველი; 30. სისხლით ნათესავი; 31. თანხმობა; 32. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი.

შვეულად: 2. უსაქმოდ მოხეტიალე, მოხულიგნო ახალგაზრდა; 3. დაარბია,ააწიოკა; 4. მარტოხელა; 5. თეთრყვავილიანი მერქნიანი მცენარე; 8. ზრდილობიანი მიმართვა იაპონელი მამაკაცისადმი; 9. ზნეობა; 10. სახოტბო ლექსი; 13. ციტრუსი; 14. პორთოსის თავადაზნაურული ტიტული; 17. მამაკაცის ყველაზე მაღალი სასიმღერო ხმა; 19. მაღალი ხარისხის ბროლი; 21. ქალაქი გერმანიაში; 24. კუბის დედაქალაქი; 25. დასაკეცი საფარი ფანჯარაზე; 28. განძი, საუნჯე (ძვ.).

## ლოგიკური დეტექტიური ამოცანა



### ცალთვალა ედის მხილება

მრავალჯერ ნასამართლევი ედი ბროტი, მეტსახელად „ცალთვალა“, ღამით დააპატიმრეს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისთვის. მეორე დღეს, დილით, იმავე ქალაქში, საკუთარ სახლში, მოკლული იპოვეს ქვრივი ქალის ნ-ს გვამი. სასამართლო ექსპერტიზამ დაადგინა, რომ ქალი დაახრჩვეს.

ინსპექტორმა ვარნიკემ დასაკითხად გამოიძახა ცალთვალა ედი, რომელმაც თქვა, რომ წინა დღის საღამოს მან მართლაც მოინახულა თავისი რამდენიმე „კლიენტი“. ვარნიკეს კითხვაზე, იყო თუ არა მის „კლიენტებს“ შორის ქვრივი ნ, ედიმ განაცხადა, რომ ამ ქალბატონის მკვლელობასთან საერთო არაფერი აქვს. როცა ინსპექტორმა ჰკითხა, საიდან იცის ნ-ს მკვლელობის ამბავი, ედიმ უპასუხა, რომ ქალის სახლის კართან გავლისას ჭუჭრუტანაში შეიჭყიტა და იატაკზე მწოლიარე ქალი დაინახა. კარზე დააკაკუნა, მაგრამ არავინ გაუღო. როდესაც ედი ექსპერიმენტის ჩასატარებლად ქალის სახლის კართან მიიყვანეს, ინსპექტორმა ვარნიკემ ბოროტმოქმედი სიცრუეში დაადანაშაულა და მისი დაპატიმრების ბრძანება გასცა.

**როგორ დაადგინა ინსპექტორმა, რომ ედი ცრუობდა?**

## 10 კითხვა ინტელექტუალთათვის





1. ვინ შემოიღო ტერმინი **„ოქროს კვეთა“**, რომელიც ჰარმონიულ გაყოფას ნიშნავს



2. **რა ჰქვია კამეჩის ნაშიერს?**



3. ძველ რომსა და საბერძნეთში საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ნახავდით სპილენძის ან ქვის დაფას, რომელზეც ამოტვიფრული იყო განცხადებები, ასეთ დაფას ლათინური წამომავლობის ერთი სიტყვით მოიხსენიებდნენ. **რა სიტყვა იყო ეს?**



4. ერთხელ **ოტო ფონ ბისმარკმა** შენიშნა: **„ადამიანები ყველაზე ხშირად იტყუებიან ნადირობის შემდეგ, სეირნობის დროს და ... წინ“.** ჩასვით გამოტოვებული სიტყვა.



5. გაერთიანებული ერების ორგანიზაციას სამუშაო ენებად ამჟამად აღიარებული აქვს 6 ენა. **რომელი ენებია ეს?**



6. **ამ პროდუქტს იოჰან სებასტიან ბახმა კანტატა მიუძღვნა, პეტრე ჩაიკოვსკიმ — ცეკვა. რომელი სახელმწიფოა ამ პროდუქტის ყველაზე დიდი მწარმოებელი?**



7. **ვინ შექმნა პირველი საბეჭდი დაზგა?**



8. **რა აკრძალა 1759 წელს გამართულმა კრებამ საქართველოში?**



9. რა ერქვა თანამდებობას, რომელიც ეკავა **გიორგი ჭყონდიდელს მეფის კარზე?**



10. **რისგან არის შექმნილი ხელოვნური კუნძული ოდაიბა, რომელიც იაპონიის დედაქალაქს ხიდით უკავშირდება.**

## 10 კითხვა ინტელექტუალთათვის პასუხები:

1. ლეონარდო და ვინჩიმ; 2. ზაქი; 3. რეკლამა; 4. არჩევნების წინ; 5. ინგლისური, ფრანგული, ჩინური, რუსული, არაბული და ესპანური; 6. ბრაზილია; 7. გუტენბერგმა; 8. ტყვეთა სყიდვა; 9. მწიგნობართუხუცესი; 10. ნაგვისგან.

## კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. კარამელი; 6. ბაიკალი; 7. ფა; 8. სამოა; 11. ადლი; 12. ნარდი; 14. ბალი; 15. აკმე; 16. კადეტი; 18. ონი; 19. ბორანი; 20. იდეა; 22. კენარი; 23. მტერი; 26. ქადა; 27. ბუი; 29. სავანა; 30. და; 31. კი; 32. გიტარა. შვეულად: 2. ავარა; 3. აიკლო; 4. ეული; 5. აკაცია; 8. სან; 9. მორალი; 10. ოდა; 13. მანდარინი; 14. ბარონი; 17. ტენორი; 19. ბაკარა; 21. დორტმუნდი; 24. ჰავანა; 25. დარაბა; 28. ლარი.

ედი თავისი მარცხენა თვალით ვერ შეძლებდა კარის საკეტის ჭუჭრუტანაში შეხედვას.

## სკანვორდის პასუხები:

1. ატილა; 2. რბოლა; 3. იენა; 4. როინ; 5. პი; 6. ტრიფონი; 7. იბერია; 8. აა; 9. ლა; 10. ნეი; 11. გრაფი; 12. კაკი; 13. ობა; 14. გალა; 15. დაფნა; 16. ენა; 17. იაბო; 18. კარ; 19. ეტლი; 20. ლუ; 21. რახი; 22. კონო; 23. ციხე; 24. ჰიდრა; 25. ხატია; 26. შუ; 27. ლი; 28. ონო; 29. დანია; 30. ჰავა; 31. მარტი; 32. აია.

ფოტოები: აკაკი ხორავა, გორის ციხე, შტეფი გრაფი

# პროდუქტები, რომლებიც წნევას ამცირებენ

***პროდუქტები, რომლებიც შეიცავენ 3 გრამ „ომეგა-3“-ს, წნევას აქვეითებენ — განაცხადეს ჩინელმა მეცნიერებმა მაკაოს უნივერსიტეტიდან.***

სპეციალისტებმა 1987-დან 2020 წლამდე პერიოდში ჩატარებული 71 კლინიკური კვლევა გააანალიზეს და მივიდნენ დასკვნამდე, რომ დღეში 3 გრამი „ომეგა-3“-ის შემცველი პროდუქტების მიღება წნევას ამცირებს.

„ომეგა-3“-ს კი შეიცავს შემდეგი პროდუქტები: **კაკალი, ვირთევზას ღვიძლი, ოკეანის ორაგული და სელის ზეთი.**



# მოცვი დემენციისგან დაგვიცავს

***მეცნიერთა აზრით, მოცვს, სხვა უკვე დადგენილი დადებითი თვისებების გარდა, დემენციისგან დაცვაც შეუძლია.***

მოცვი ერთ-ერთი პოპულარული პროდუქტია, რომელიც განთქმულია სამკურნალო თვისებებით. მისი მიღება სასარგებლოა გაცივების, თირკმლების დაავადებებისა და სხვა შემთხვევებში.

ბრიტანელმა მეცნიერებმა ახლახან გამოაქვეყნეს კვლევის შედეგები, რომელშიც ნათქვამია, რომ მოცვი გამოირჩევა ნეიროპროტექტორული (ნეიროპროტექტორი — ეს არის საშუალება, რომელსაც შეუძლია გამოავლინოს ტვინის ნეირონების დაზიანება) პოტენციალით და ადამიანს იცავს ტვინთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემისგან. **ექსპერიმენტის მიმდინარეობისას ამოწმებდნენ, რა გავლენას ახდენს 50-80 წლის ადამიანებზე ყოველდღიურად 100 გრამი მოცვის მიღება. კვლევის მიზანი იყო, დაედგინათ, შეუძლია თუ არა მოცვს დემენციისგან დაცვა.**

მკვლევართა ჯგუფი 12 კვირის განმავლობაში სწავლობდა ექსპერიმენტში მონაწილე პირების ტვინის ფუნქციებსა და ქოლესტერინის დონეს. ექსპერიმენტში მონაწილეობდა 60 ჯანმრთელი ადამიანი, მათგან, 30 ყოველდღიურად იღებდა მოცვის ფხვნილს — 100 გრამი ცოცხალი მოცვის ეკვივალენტს, დანარჩენებს აძლევდნენ პლაცებოს.

გაირკვა, რომ **კენკრის მოხმარებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა ექსპერიმენტში მონაწილეთა მეხსიერება, ტვინისთვის სისხლის მიწოდება და ნერვული სისტემის მუშაობა. ამას გარდა, შემცირდა ათეროსკლეროზის გამომწვევი ქოლესტერინის დონე.** ეს კი ნიშნავს იმას, რომ მოცვს შეუძლია სისხლძარღვების ჯანმრთელობისა და ტვინის კოგნიტური ფუნქციების გაუმჯობესება. აღსანიშნავია ისიც, რომ მოცვში ბევრია მიკროელემენტი და ცნობილია, როგორც ანტიოქსიდანტური და ანთების საწინააღმდეგო თვისებების მცენარე.

## როდის გამოვიყენოთ

მოცვი რაციონში უნდა ჩართოთ ფიზიკური, გონებრივი და ემოციური დაძაბულობის პერიოდში. **მოცვის წვენისა და ასკილისგან დამზადებული წვენი შესანიშნავად ცვლის ყავას და ორგანიზმს ეხმარება დატვირთვებთან გამკლავებაში.**

მოცვი აგრეთვე ამცირებს ისეთი დაავადებების განვითარების რისკს, როგორებიცაა: ● **გულის იშემიური დაავადება;** ● **მიოკარდიუმის ინფარქტი;** ● **ტვინის ქრონიკული იშემია.**

# წნევის გაზომვის მარტივი მეთოდები



***წნევის გაზომვის ყველაზე მარტივი და ხელმისაწვდომი მეთოდი მისი პულსით განსაზღვრაა, — განაცხადა ექიმმა-კარდიოლოგმა რუსტემ ოსმანოვმა.***

**„პულსის სიხშირის გასაზომად აუცილებელია, თითები დავიდოთ მაჯაზე, ვიგრძნოთ პულსი და წამზომის დახმარებით დავითვალოთ დარტყმების რაოდენობა წუთში, გულისცემის ნორმალური სიხშირე წუთში 60-80 დარტყმაა“.** — თქვა სპეციალისტმა. ოსმანოვმა აღნიშნა, რომ ამ მეთოდით წნევის ზუსტად გაზომვა რთულია, ამიტომ მას არაზუსტ მეთოდად მიიჩნევენ.

წნევის გაზომვის კიდევ ერთ მეთოდად ექიმმა მობილური ტელეფონის სპეციალური აპლიკაციის გამოყენება დაასახელა, მაღალი წნევის ყველაზე ხშირ სიმპტომებად კი — თავბრუდახვევა, გულისრევა, სმენის დაქვეითება, პულსის გახშირება და შფოთვა. ექიმის რჩევით, ყველამ პერიოდულად უნდა გაიზომოს წნევა, რადგან ის უარყოფით გავლენას ახდენს **გულის, თირკმლებისა და თავის ტვინის მუშაობაზე.**



# ხალხური რეცეპტები

## იშემიის მკურნალობა ჭინჭრის წვენით

იშემიას უძველესი დროიდან მკურნალობდნენ ჭინჭრის ახლად გამოწურული წვენით. ჭინჭრის მიწისზედა მთლიან ნაწილს ვატარებთ ხორცსაკეპში, ვახვევთ მაგარ ტილოში და მისგან ვწურავთ წვენს. სასურველია, წვენი დავაყოვნოთ მაცივარში 12 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც კვლავ გავწუროთ ორ პირ ბინტში.

**მიღება:** გამოწურულ წვენს ვიღებთ დღეში ოთხჯერ დესერტის კოვზით, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

## გულის დაავადებით გამოწვეული შეშუპების მკურნალობა

ემალირებულ ქვაბში ვყრით სიმინდის დაქუცმაცებულ ულვაშს, ვასხამთ ერთი ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს და ვათავსებთ ძალიან დაბალ ცეცხლზე ნახევარი საათით. ამის შემდეგ ნაყენს ოთახის ტემპერატურაზე ვაყოვნებთ ერთი საათით. მისი მოცულობა მიგვყავს საწყის მოცულობამდე, ანუ ერთ ჩაის ჭიქამდე და კვლავ ვწურავთ ბინტში.

**მიღება:** დღეში სამჯერ 1-2 სუფრის კოვზი, ჭამამდე 15 წუთით ადრე.

# სავარჯიშოები „მშრალი“ თვალებისთვის

***თვალებში ე.წ. ქვიშის შეგრძნებასთან გამკლავებაში დაგეხმარებათ უბრალო მოქმედებები, რომლებსაც ოფთალმოლოგები გვირჩევენ.***

**1. ხშირად დაახამხამეთ, ისე, როგორც პეპელა აფარფატებს ფრთებს**

ყველაზე მარტივი და სწრაფი სავარჯიშო დაღლილობის მოსახსნელად არის თვალების სწრაფად და ხშირად დახამხამება, თითქოს პეპელა ფარფატებს, ან რამდენჯერმე კატასავით მოჭუტოთ თვალები. ეს მოძრაობები აუმჯობესებს სისხლის მოძრაობას და ატენიანებს თვალებს.

**2. წარმოიდგინეთ ზღვა**

თვალის კუნთების მოსადუნებლად, 5-10 წუთით დახუჭეთ თვალები. ამ დროს წარმოიდგინეთ რამე დამამშვიდებელი — ზღვა, მწვანე მდელო, ლურჯ ცაზე მოძრავი თეთრი ღრუბლები.

**3. დახატეთ ფიგურები**

პირველი და მთავარი: ისე, რომ თავი არ აამოძრაოთ, **გაიხედეთ ზემოთ-ქვემოთ, მარცხნივ-მარჯვნივ.**

შემდეგ დაიწყეთ თვალებით ფიგურების „ხატვა“ — რომბის, კვადრატის, ვარსკვლავის. ბოლოს გამოსახეთ რვიანი, ჯერ — ვერტიკალური, შემდეგ — ჰორიზონტალური.

**4. მასაჟი**

მსუბუქი მასაჟი თვალების ქსოვილებში სითხის ცირკულაციას უწყობს ხელს.

სამი თითი დაიდეთ დახუჭულ თვალებზე და 1-2 წამის განმავლობაში გაიკეთეთ მასაჟი. მოდუნდით და დაახამხამეთ. გაიმეორეთ 4-5-ჯერ.

**5. თამსატეხები თვალებისთვის**

არსებობს სპეციალური სტერეონახატები, რომლებზეც დახედვისას თავდაპირველად გამოსახულებას ვერ ხედავთ — მხოლოდ გადღაბნილ ფიგურებს. შემდეგ, როცა კარგად დააკვირდებით, უცებ დაინახავთ მოცულობით გამოსახულებას. ასეთი ნახატები ავარჯიშებს არამხოლოდ თვალებს, არამედ ტვინსაც.





## დაიცავი წესი 20:20:20

კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობისას ყოველ 20 წუთში შეხედეთ 20 მეტრით დაშორებულ ობიექტს 20 წუთის განმავლობაში. აგარაკზე ეს შეიძლება იყოს ხე, ოფისში — რამე საგანი ფანჯარაში.

# გაურკვეველი ეტიოლოგიის ჰეპატიტის შემთხვევები

***ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ მსოფლიოს 33 ქვეყანაში გაურკვეველი ეტიოლოგიის 650 შემთხვევის გამოვლენის შესახებ განაცხადა.***

მათ გარდა, კიდევ 99 შემთხვევაზე განსასაზღვრია კლასიფიკაცია. რეგისტრირებული შემთხვევების უმრავლესობა ევროპის 22 ქვეყანაშია აღრიცხული. მათგან 230-მდე შემთხვევა დიდ ბრიტანეთზე მოდის. დაავადებულთა 75,4% 5 წლამდე ბავშვია. დაუდგენელი ეტიოლოგიის ჰეპატიტმა 9 ბავშვის სიცოცხლე იმსხვერპლა.




# კარდიონევროზის მკურნალობა მცენარეებით



**კარდიონევროზი** — ეს არის გულის მოქმედების ფუნქციური დარღვევა, რომლის დროსაც ავადმყოფი გრძნობს თავის პულსს, ზოგჯერ — მთელი სხეულით. ამ დაავადების გართულებული ფორმის შემთხვევაში ადამიანი შეიძლება, აგრეთვე, გრძნობდეს თავბრუდახვევას, გულმკერდის ღრუში ხანგრძლივ და შემაწუხებელ ტკივილს, ზოგჯერ უჩივის უმიზეზო შიშს და გულის წასვლას.

არსებობს მრავალი ფიტოთერაპიული საშუალება, რომლითაც კარდიონევროზს მკურნალობენ. აი, ერთ-ერთი რეცეპტი: თანაბარი რაოდენობით (თითო ჩაის ჭიქა) ვიღებთ შემდეგ მცენარეებს:

1 **კატაბალახა — მშრალი და დაქუცმაცებული;**
2 **ბარამბო;**
3 **ფარსმანდუკი;**
4 **კრაზანა.**

ეს მცენარეები ერთმანეთში კარგად უნდა ავურიოთ ერთგვაროვანი მასის მიღებამდე. შემდეგ ვიღებთ ორ სუფრის კოვზ ნარევს, ვყრით პატარა ზომის ემალირებულ ქვაბში, ვასხამთ 2,5 ჩაის ჭიქა მდუღარე წყალს, თავდახურულ ქვაბს ვფუთავთ შალის ნაჭერში და ვაყოვნებთ ოთახის ტემპერატურაზე 2 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც ვწურავთ. მიღებულ მასას ვამატებთ 1 სუფრის კოვზ ნატურალურ თაფლს.

**მიღება:** ნახევარი ჩაის ჭიქა დღეში 3-4-ჯერ. **მკურნალობის კურსი:** 2 თვე.

# რა სჭირდება გულს:



**კაკალი,** აგრეთვე: **საფუარი, ღვიძლი, თირკმლები, მცენარეთა მწვანე ფოთლები**.

B ჯგუფის ვიტამინები ხელს უშლის ათეროსკლეროზის პროგრესს და დადებითად მოქმედებს ნივთიერებათა ცვლაზე.

**კენკრა,** აგრეთვე: **ბოსტნეული, ხილი, ბურღულეული** შეიცავს მცენარეული ბოჭკოს უჯრედისს, ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი ქოლესტერინის გამოდევნას და ამით უზრუნველყოფს ათეროსკლეროზის პროგრესირების პროფილაქტიკას.

**საზამთრო,** აგრეთვე: **წიწიბურა, შვრია** შეიცავს მაგნიუმს, რომელსაც სისხლძარღვების გამაფართოებელი და შარდმდენი მოქმედება ახასიათებს.

**ზეთი,** უჯერი ცხიმოვანი მჟავებია მთავარი წყარო, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს ქოლესტერინის ცვლის ნორმალიზაციაზე.

**კალმარები,** აგრეთვე: **მიდიები, ზღვის კომბოსტო** შეიცავს იოდს, რომელიც სასიკეთოდ მოქმედებს ათეროსკლეროზის დროს ნივთიერებათა ცვლაზე.

**წიწაკა,** აგრეთვე: **ვაშლი, კამა, ასკილი, ქაცვი, მოცხარი** შეიცავს C ვიტამინს, რომელიც აძლიერებს სისხლძარღვების კედლებს.

**ლობიო,** აგრეთვე: **სოია, გარგარი, შავი ქლიავი, ბარდა** შეიცავს კალიუმს, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზმიდან ზედმეტი სითხის გამოდევნას და გულის კუნთის მოქმედების გაუმჯობესებას.

# მიხეილ ცაგარელი: ზოდიაქოს ყველაზე საიმედო ოჯახური წყვილები



*— შეყვარებული წყვილის ოჯახური თანაცხოვრების წინასწარი რეალური პერსპექტივის დასანახავად ასტროლოგია რას გვთავაზობს? მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევის შედეგად, რომელია ზოდიაქოს ნიშანთა შორის ის რვა წყვილი, რომელთა ოჯახები ყველაზე დიდხანს ძლებს და რომელთა განქორწინებაც მეტად იშვიათია? რა არის იმის მიზეზი, რომ სხვებისგან განსხვავებით, ვერძისა და მერწყულის წყვილს ერთმანეთი არასოდეს არ ბეზრდებათ. ამასთან ერთად, ვერძი რისთვის არის მუდამ მზად, ხოლო მერწყული მუდმივად რას საჭიროებს და რატომ არის მათი კავშირი ესოდენ ხანგრძლივი? მიწის სტიქიის ორი ნიშნის — კუროსა და მერწყულის წყვილზე დაკვირვებისას, რა შეიძლება მოგეჩვენოთ და რატომ არ უნდა შეგეპაროთ ეჭვი მათი გრძნობის გულწრფელობაში? ამ წყვილმა როგორ უნდა გაანაწილოს როლები და მოვალეობანი, რათა ეს კავშირი უფრო გაძლიერდეს და რომელი ცნობილი ფრაზაა მათზე ზედგამოჭრილი? — ამ და სხვა საკითხებზე ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი გვესაუბრება.*

**— როგორც აღნიშნეთ, იშვიათია ისეთი ადამიანი, რომელიც ასტროლოგიით დაინტერესებისას განსაკუთრებით „სასიყვარულო ასტროლოგიით“ არ ინტერესდება. დღეს ცოტა თუ მოიძებნება ისეთიც, ვინც ახალი სასიყვარულო პარტნიორის გამოჩენისას არ დაინტერესდება მისი ზოდიაქოს ნიშნით და შემდეგ ამ ნიშნის დახასიათებას არ წაიკითხავს, რათა დაფიქრდეს, თუ რამდენად შეესატყვისება რჩეული მის იდეალს. დამეთანხმებით, ყველას სურს, იყოს ბედნიერი და გაუმართლოს სიყვარულში. ამ მიმართებით ასტროლოგია რით დაგვეხმარება?**

— **სიყვარული სამყაროში ყველაზე დიდი და ძლიერი გრძნობაა. სწორედ სიყვარულია ყველაფრისა და ყველას მამოძრავებელი, ყველაფრის თავი და ბოლო, საწყისი და დასასრული, ანი და ჰოე.** ადამიანი, შეიძლება იყოს მდიდარი, გავლენიანი, დაფასებული, მაგრამ სიყვარულის გარეშე თავს სრულფასოვან ბედნიერად ვერ იგრძნობს. სიყვარული ფართო ცნებაა და იგი სხვადასხვა სახის შეიძლება იყოს.

**— ითვლება, რომ ცალმხრივი სიყვარული სიყვარული არ არის...**

— **ორ ადამიანს შორის სიყვარული მაშინ არის დიდი და ბედნიერების მომტანი, როდესაც იგი ორმხრივია. სწორედ ამ შემთხვევაში სურთ ადამიანებს ოჯახის შექმნა და მთელი ცხოვრების ერთად გატარება.** თუმცა, ისეც ხდება, რომ ერთ დროს მოსიყვარულე წყვილს წლების შემდეგ სასიყვარულო გრძნობა უქრებათ, ურთიერთგაგება და პატივისცემა ეკარგებათ, პრეტენზიები უჩნდებათ და ოჯახიც ინგრევა. ცხადია, **იმისათვის, რომ წინასწარ ასტროლოგიურად განისაზღვროს ორი ადამიანის ერთმანეთთან შეწყობა, აუცილებელია ორივე პრეტენდენტის პირადი ჰოროსკოპის შედგენა, რამეთუ ხშირ შემთხვევაში, მხოლოდ ასე თუ შეგვიძლია, დავინახოთ ამ წყვილის რეალური პერსპექტივა. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მარტივ სტატისტიკურ მონაცემებსაც ვერსად გავექცევით. მაგალითად, მსოფლიოს მასშტაბით ჩატარებული კვლევის თანახმად, გამოვლინდა ზოდიაქოს ნიშნებს შორის ყველაზე გამძლე რვა წყვილი, რომელთა ოჯახური თანაცხოვრება ყველაზე დიდხანს ძლებს და რომელთა განქორწინებაც ყველაზე იშვიათია. ასეთნი აღმოჩნდნენ: ვერძი — მერწყულის, კურო — ქალწულის, ტყუპი — მერწყულის, ტყუპი — სასწორის, ლომი — მშვილდოსნის, თხის რქა — კუროს, კირჩხიბი — ღრიანკალის, თევზები — კირჩხიბის წყვილები.** იმისათვის, რომ უკეთ გავიგოთ, თუ რა ფენომენთან გვაქვს საქმე, შევეცადოთ, ასტროლოგიური თვალთახედვით განვიხილოთ ეს წყვილები და ვნახოთ, თუ რა განაპირობებს მათ ძლიერ მიზიდულობას, ურთიერთდამოკიდებულებას და რა არის თანაცხოვრებისას ჰარმონიულობისა და ბედნიერების მიზეზი.

***1.*** **ვერძი და მერწყული: ზოდიაქოს ეს ორი ნიშანი თავგადასავლების ყველაზე დიდი მაძიებლები არიან. ამასთან, ეს ეხება არა იმდენად მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას, რამდენადაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ახალ-ახალ აღმოჩენებსა თუ სიახლეებს. მათ ერთად ყოფნა ძალიან მოსწონთ, ამიტომ ცდილობენ, კარგად ურთიერთშეთამაშებული გუნდივით ყველაფერი ერთად აკეთონ.** მოგეხსენებათ, ხშირ შემთხვევაში, სხვა წყვილებს მუდმივად ერთად ყოფნა, ურთიერთობა, სიახლოვე ბეზრდებათ და პარტნიორისგან იღლებიან კიდეც, მაგრამ **ვერძისა და მერწყულის წყვილს** ეს საშიშროება არ ემუქრება. მათ არასოდეს ბეზრდებათ ერთმანეთი. ამის მიზეზი კი არის უზარმაზარი, მძლავრი ენერგია, რომელიც თავისი სიკაშკაშითა და მრავალფეროვნებით რაღაცით საახალწლო ფეიერვერკს ჰგავს. ნიშანდობლივია, რომ **მერწყულის გონებამახვილი და გამჭრიახი მითითებებით ვერძის შემოქმედებითი აქტიურობის კაშკაშა გამონათებანი სწორ მიმართულებას პოვებს და ორმაგად სასარგებლო ხდება. სამაგიეროდ, ვერძი მუდამ მზად არის, თავისი ძვირფასი მერწყული გულში ჩაიკრას, მოუსმინოს და გაათბოს, რომელიც, თავის მხრივ, მთელ მსოფლიოზე დარდითა და განცდით გადაღლილი საჭიროებს მოდუნებას, ემოციურად დაცლას, ლაპარაკით გულის მოოხებას, ან თუნდაც ცოტა წამოტირებას.** ამგვარად, ეს კავშირი თითქმის ურყევია და ხანგრძლივი არსებობა ძალუძს.

***2.*** **კურო და ქალწული: მიწის სტიქიის ამ ორი ზოდიაქოს ნიშნის წარმომადგენელს, უბრალოდ, არ შეუძლიათ, ერთმანეთი არ უყვარდეთ ან, უკიდურეს შემთხვევაში, მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა არ ჰქონდეთ.** მათი ურთიერთობა იმდენად პრაქტიკული, მშვიდი და გაწონასწორებულია, რომ გვერდიდან შემხედვარეს, შესაძლოა, მოეჩვენოს, რომ ეს კავშირი ფიქტიურია, რომ ამ ადამიანებს აკავშირებთ რაღაც მოლაპარაკება ან პრაქტიკული გათვლა. სინამდვილეში **ქალწულისა და კუროს** გრძნობაში ეჭვი არავის არ უნდა შეეპაროს. ამავე დროს, თუ შეძლებენ ერთმანეთში როლებისა და მოვალეობების სწორად განაწილებას, მათი სიყვარული მხოლოდ გაორმაგდება და გაძლიერდება. **ამ წყვილში კუროს ევალება, გადაანაწილოს პრიორიტეტები და ითამაშოს იდეური შთამაგონებლის როლი (სხვა წყვილში, კუროს ეს თვისება, ძლიერი პარტნიორის ფონზე, შესაძლოა, დაიკარგოს), ქალწულმა კი აუღელვებლად და ხარისხიანად უნდა შეასრულოს კუროს ნაკარნახევი.** ასეთი სასიყვარულო კავშირი მთელი სიცოცხლე გრძელდება და სწორედ მათზეა ნათქვამი ცნობილი ფრაზა „... და ცხოვრობდნენ ისინი ერთად დიდხანს და ბედნიერად!“

*რუბრიკას უძღვება*
***მარინა მერკვილაძე***

## 13 – 19 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
გადაადგილებების, მოგზაურობის, შეხვედრებისა და მიმოწერის რაოდენობა მოიმატებს. დროებითი სამუშაოს შესრულებისას ცვლილებებსა და ნოვატორული მეთოდების გამოყენებას მოერიდეთ. კოლეგებს ნუ დაუპირისპირდებით, შინაგანი სიმშვიდე შეინარჩუნეთ. თქვენი ყველა ჩანაფიქრის განსახორციელებლად შესაძლოა, ფინანსები საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამ კვირაში შესაძლოა, სასიყვარულო განცდა და მღელვარება გაგიძლიერდეთ.

**კურო** (21.04-20.05)
თვითგამოხატვისა და შემოქმედებითობის რეალიზაციის სურვილი მოგემატებათ. ინტელექტუალური შრომა, ახალი იდეები და ენერგიულობა ჩანაფიქრთა განხორციელებასა და ცხოვრების გაუმჯობესებაში დაგეხმარებათ. უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმეები მოგვარდება, მაგრამ ბევრი ადამიანის შეწუხება მოგიწევთ. შეყვარებულს უმიზეზოდ ნუ შეეკამათებით და შეეცადეთ, მისი ჭირვეულობის მიმართ უფრო მომთმენი იყოთ.

**ტყუპი** (21.05-22.06)
ინტუიცია, გამოცდილება და პროფესიონალიზმი დაგეხმარებათ კარიერულ აღმასვლაში. შესაძლოა, თქვენი საქმე წამოიწყოთ, რომელიც მოგებასთან ერთად კმაყოფილებასაც მოგიტანთ. კარგი იქნება, თუ საურთიერთობო წრეს გაიფართოვებთ და თქვენს იდეებს ფართო აუდიტორიასაც გააცნობთ. მყარი ფინანსური მდგომარეობით შეძლებთ როგორც პირადი, ისე საოჯახო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. შეყვარებულთან ერთად შორეული მოგზაურობა საუკეთესო მოგონებებს დაგიტოვებთ.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ხელმძღვანელობასთან მოლაპარაკება რთულად, მაგრამ დადებითად ჩაივლის. აზარტი და რისკის სურვილი დაიოკეთ. გაურკვევლობა ურთიერთობისას ან არაკეთილსინდისიერება საქმიანი პარტნიორის მხრიდან გაიძულებთ, გეგმები შეცვალოთ. შესაძლოა, პრობლემა შეიქმნას ბინის ყიდვა-გაყიდვისას ან გაქირავებისას. სასიყვარულო ურთიერთობის, გრძნობების გამძაფრებისა და ინტიმური კავშირის გააქტიურების სურვილის შემთხვევაში, შეეცადეთ, გამოუსწორებელი შეცდომა არ დაუშვათ.

**ლომი** (23.07-23.08)
გარშემო მყოფებთან ხშირი ურთიერთობები უფრო პოპულარულს გაგხდით. თქვენით ახალი საქმიანი პარტნიორები დაინტერესდებიან და ახალ შემოთავაზებებსაც მიიღებთ. წინასწარი გათვლის გარეშე ნუ გარისკავთ და მოულოდნელობებს მოერიდეთ. ეს დრო გავლენიან ადამიანებთან დაახლოებისთვის გამოიყენეთ. თქვენი სამომავლო გეგმები ოჯახსა და საყვარელ ადამიანს დაუკავშირდება. შორეული მოგზაურობა გადადეთ და დასვენების მიზნით ხშირად ისეირნეთ ბუნების წიაღში.

**ქალწული** (24.08-23.09)
სამუშაოს წარმატებით შესრულებისთვის საჭიროა ადამიანებთან არასტანდარტული მიდგომა. მოუცლელობის მიუხედავად, ოჯახსა და მშობლებს დრო დაუთმეთ. ნათესავთა პროტექცია წარმატების საწინდარი იქნება. თქვენი ინტუიცია მოიმატებს. უფრო ფრთხილი და წვრილმანთა მიმართ დაკვირვებული გახდებით. შესაძლოა, თქვენი სასიყვარულო კავშირი ცნობილ, სკანდალურ ან მაღალი თანამდებობის პირთან საზოგადოების განხილვის საგანი გახდეს.

## 13 – 19 ივნისის ასტროლოგიური პროგნოზი

**სასწორი** (24.09-22.10)
ნებისმიერი წამოწყება საქმიან სფეროში ფინანსურ კეთილდღეობას გპირდებათ. უხეშობასა და კონფლიქტს მოერიდეთ. მშობლებთან ან მეუღლესთან დაკავშირებით მოსალოდნელია ცვლილება. შესაძლოა, ოჯახის შესანარჩუნებლად გარკვეული დათმობების დაშვება მოგიწიოთ. ფარული სასიყვარულო ურთიერთობა მალე დასრულდება. მოგზაურობისას კი შეეცადეთ, ყველა მარშრუტი თუ საქმე წინასწარ განსაზღვროთ.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ენერგიულად მოქმედების პერიოდია. ახალი ნაცნობობა და შეხვედრები ყოფას გაგილამაზებთ. თუმცა, გარშემო მყოფთა პრობლემების მოსმენაზე დროს ნუ დახარჯავთ და ეცადეთ, გაუთვალისწინებელი ხარჯი მინიმუმამდე შეამციროთ. ფინანსურ ან ქონებრივ საკითხთან დაკავშირებით, შესაძლოა, საბუთებთან მუშაობა და იურიდიულ ორგანიზაციებთან ურთიერთობა მოგიწიოთ. სიფრთხილე და ყურადღება კი ტრავმებსა და ავადმყოფობას აგაცილებთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ხიბლი და აქტიურობა მოგემატებათ. საჭირო კავშირებს ადვილად დაამყარებთ და ამით თქვენი ცხოვრება უფრო საინტერესო გახდება. შემოქმედებითად მუშაობის სურვილი სამსახურის ან სპეციალობის შეცვლაზე დაგაფიქრებთ. მომავალი ფინანსური წარმატება თქვენს შრომისმოყვარეობაზე იქნება დამოკიდებული. საოჯახო და სასიყვარულო კავშირიც უფრო ჰარმონიული გახდება. გადაადგილებების, მოგზაურობების, შეხვედრებისა და კონტაქტების რიცხვიც გაიზრდება.

**თხის რქა** (22.12-19.01)
მკვლევართათვის, მეცნიერთათვის და ორატორებისთვის კარგი პერიოდია. ცნობისმოყვარეობა მეტ მობილურობასა და ბევრი ადამიანის გაცნობას გაიძულებთ. მომხიბვლელობა კი წარმატების საწინდარი იქნება. თუ გონივრულად იმოქმედებთ, ფინანსური ოპერაციები დიდ წარმატებას მოგიტანთ. საცხოვრებელი ადგილის შეცვლა ან სახლში დიდი გადაადგილება სიმშვიდეს მოგგვრით. მოგზაურობისას ყოველი ნაბიჯი წინასწარ გათვალეთ. უეცარი სასიყვარულო რომანი ასევე უეცრად დასრულდება.

**მერწყული** (20.01-18.02)
მოუცლელობის მიუხედავად, ეცადეთ, ოჯახს დრო დაუთმოთ. თქვენი ინტუიცია იმატებს. წარმატების საწინდარია არასტანდარტული აზროვნება და კოლეგებთან ინდივიდუალური მიდგომა. უფრო ფრთხილი და წვრილმანების მიმართ დაკვირვებული გახდებით. ეცადეთ, ყოველი თავისუფალი წუთი დასვენებისთვის გამოიყენოთ. შესაძლოა, თქვენი კავშირი ცნობილ ან გავლენიან ადამიანთან გახმაურდეს და განხილვის საგნად იქცეს.

**თევზები** (19.02-20.03)
მშვენიერი განწყობა გექნებათ. საბანკო, საშუამავლო, პოლიტიკური და სადაზღვევო საქმიანობა წარმატებული იქნება. შესაძლოა, შემოსავლის გაზრდის მიზნით, აუცილებელი გახდეს გარისკვა. თქვენ მიმართ ინტერესი იმატებს და თავადაც მომხიბვლელი იქნებით, რაც ავტორიტეტს შეგმატებთ. საეჭვო ადამიანებთან კავშირს კი მოერიდეთ. მოგზაურობა სასიამოვნოდ ჩაივლის. ეცადეთ, შეყვარებულის მიმართ ზედმეტად ეჭვიანი და მომთხოვნი არ იყოთ.

**მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 13, 14, 16 და 18 ივნისი**

**14 ივნისი – სავსემთვარეობა, პიკი – 15.53 საათზე;**
**29 ივნისი – ახალმთვარეობა, პიკი – 06.52 საათზე.**

# რას ურჩევს ასტროლოგი მიხეილ ცაგარელი ზოდიაქოს თორმეტივე ნიშნით დაბადებულებს?

## 13 ივნისი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მთვარის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.36 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.33) მშვილდოსნის ზოდიაქოში. ამოდის 18.42 საათზე, ჩადის 14 ივნისს 03.09 საათზე (მთვარის მე-15 დღე იწყება 21.36 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.40 საათიდან 02.33 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** სიახლეებისათვის კარგი დღეა. ინტელექტისა და კომუნიკაციების მმართველი პლანეტა მერკური გადაინაცვლებს ტყუპის ზოდიაქოში (5 ივლისამდე), რაც გააძლიერებს გონებამახვილობას, კომუნიკაბელურობას, უცხო ენების ათვისების უნარს, სიახლეებისკენ მიდრეკილებას, იუმორის გრძნობას და ასევე ზედაპირულობას, გაორებას, მერყეობას, სულსწრაფობას, ფლირტისა და ტყუილისკენ მიდრეკილებასაც. დღეს კი ინტუიცია იმატებს. არ არის სასურველი მშენებლობა, სისხლის გადასხმა, პრეტენზიულობისა და ეგოიზმის გამოვლენა. კარგი დღეა ხელშეკრულების დასადებად, მგზავრობისთვის, სპორტული ღონისძიებებისთვის, ტურისტული ლაშქრობისთვის, უცხოელებთან ურთიერთობისთვის, იურიდიული საქმეებისთვის, სწავლისთვის, სამგზავრო ბილეთების შესაძენად, სამეცნიერო კვლევებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, საზარდული, მენჯ-ბარძაყის სახსარი. **ქვები:** ფირუზი, სარდიონი, ლაზურიტი, საფირონი, ლალი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 14 ივნისი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** მშვილდოსნის ზოდიაქოშია. ამოდის 20.06 საათზე, ჩადის 15 ივნისს 03.54 საათზე (მთვარის მე-16 დღე იწყება 23.09 საათზე. **სავსემთვარეობაა, პიკი** — 15.53 საათზე. ამ დროს იწყება მე-3 ფაზაც). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 18.58 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეს სავსემთვარეობის მძიმე ენერგიები განაპირობებენ ტრავმებს, ავარიებს, აგრესია-დეპრესიის გამოვლენას, ცდუნებებს, შეცდომებს, ჯანმრთელობის გაუარესებას. სასიკეთოა ლოცვა. არ არის სასურველი ეგოიზმის, სულსწრაფობის, დიქტატორული თვისებების გამოვლენა, სარკაზმი, სისხლის გადასხმა, ცივი სასმელ-საჭმლის მიღება, მშენებლობა, ფულის სესხება-გასესხება. კარგი დღეა ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის, ზომიერი სპორტული ვარჯიშებისთვის, სწავლისთვის, მეცნიერული კვლევისთვის, უცხოელებთან კონტაქტისთვის, პარტნიორული თანამშრომლობისთვის. მოერიდეთ კამათს და აკონტროლეთ ბავშვების ქუჩაში გადაადგილება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი, მენჯ-ბარძაყის ძვალი, საზარდული. **ქვები:** ფირუზი, საფირონი, ნეფრიტი, ქარვა, გიშერი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 15 ივნისი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.37 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (02.15) თხის რქის ზოდიაქოში. ამოდის 21.10 საათზე, ჩადის 16 ივნისს 04.50 საათზე (მთვარის მე-17 დღე იწყება 23.20 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 02.15 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს ძალაუფლებისთვის ბრძოლა დიდ პრობლემებს წარმოქმნის. მოერიდეთ კამათსა და ურთიერთობის გარჩევას. დღის მეორე ნახევარი ურთიერთობებისთვის უფრო ჰარმონიული იქნება. კარგი დღეა ბავშვის ჩასახვისთვის, მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების შეძენა-გაყიდვისთვის, მანქანის შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, კოლექციის შესაგროვებლად, მიწათმოქმედებისთვის. ეფექტურია ფილტვების, მკერდის, კუჭნაწლავის მკურნალობა. არ არის სასურველი სიმძიმის აწევა და მკვეთრი მოძრაობები, საფინანსო ოპერაციები, ქორწინება, ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა, ახალი თანამშრომლის მიღება, ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები, კბილები, კანი. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, ოპალი, ამეთვისტო. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## 16 ივნისი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** თხის რქის ზოდიაქოშია. ამოდის 22.07 საათზე, ჩადის 17 ივნისს 05.59 საათზე (მთვარის მე-17 დღე გრძელდება. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.41 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოერიდეთ თავის მოტყუებას, ფუჭ საუბრებს. წყალთან მიმართებით სიფრთხილე გამოიჩინეთ. მაღალია საკვებითა და მედიკამენტებით მოწამვლის ალბათობა. ურთიერთობისას ნუ იქნებით ზედმეტად მომთხოვნი, პრეტენზიული, ამპარტავანი. კარგი დღეა მავნე ჩვევისგან გათავისუფლებისთვის, ექიმთან კონსულტაციისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, სარესტავრაციო სამუშაოებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, საოფისე ნივთების, საათის, მანქანის შესაძენად. არ არის სასურველი ფინანსური ოპერაციები, ბარტერი, ხელმძღვანელთან ურთიერთობა, ქორწინება, სტომატოლოგიური პროცედურები, სიმძიმის აწევა, მკვეთრი მოძრაობები. ალერგიის გამომწვევი პროდუქტის მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ძვლოვანი სისტემა, ხერხემალი, სახსრები, მუხლები. **ქვები:** ონიქსი, ქრიზოპრაზი, აქატი, მალაქიტი, ოპალი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის.

## 17 ივნისი, პარასკევი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (01.45) მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 22.52 საათზე, ჩადის 18 ივნისს 07.16 საათზე (მთვარის მე-18 დღე იწყება 01.04 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 01.45 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს პრობლემების გადაწყვეტა უმჯობესია ტრადიციული გზის მეთოდებით და არა ნოვაციურად და ექსპერიმენტით. მაღალია მოულოდნელი გაუგებრობის ალბათობა, განსაკუთრებით სიფრთხილე გმართებთ მეგობრულ წრეში. ნუ ინერვიულებთ და ნუ აფორიაქდებით. ნაკლები ილაპარაკეთ, ურთიერთობისას მეტი პატიოსნება და გულწრფელობა გამოავლინეთ, პრაგმატული იყავით და ფანტაზიებს ნუ აჰყვებით. კარგი დღეა კომპიუტერული ტექნიკის, აირ და ელექტროაპარატურის შესაძენად, სამეცნიერო კვლევისთვის, ბინის შესაცვლელად, სესხის ასაღებად, სარემონტო სამუშაოებისთვის, გართობისთვის. არ არის სასურველი მხედველობის გადაღლა, დიდხანს ფეხზე დგომა, მცენარეთა დარგვა-გადარგვა (ხეების გარდა). **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია მხედველობა, ნერვული სისტემა, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ამაზონიტი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, სასწორისთვის. **ნეგატიურია** თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 18 ივნისი, შაბათი

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.26 საათზე, ჩადის 19.38 საათზე. **მთვარე** მერწყულის ზოდიაქოშია. ამოდის 23.26 საათზე, ჩადის 19 ივნისს 08.34 საათზე (მთვარის მე-19 დღე იწყება 01.30 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 22.50 საათიდან 23.59 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** ერთგვარი კარმული გამოცდის დღეა. არ არის სასურველი ურთიერთობის გარჩევა, წვრილმანზე კამათი, პარტნიორის გრძნობით მანიპულირება, ზედმეტი და უკონტროლო ემოციების გამოვლენა. თქვენს მავნე ჩვევებს ნუ გამოავლენთ. მოერიდეთ ფულის უყაირათოდ ხარჯვას. არ არის სასურველი ზედმეტი ლაპარაკი, ფორიაქი, თვალების გადაღლა, მცენარეთა დარგვა-გადარგვა (ხეების გარდა), ფანტაზიორობა, ცხარე და მარილიანი საკვების მიღება. კარგი დღეა ნოვატორული საქმიანობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, პროგრამული სისტემის ასათვისებლად, ელექტრო და აირაპარატების, კომპიუტერული ტექნიკის, უძრავი ქონების შესაძენად, ბინის შესაცვლელად, გართობისთვის, სამშენებლო-სარემონტო სამუშაოებისთვის, სესხის ასაღებად. დღეს მანდილოსნები უფრო რეალისტურები იქნებიან, ვიდრე მამაკაცები. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ნერვული სისტემა, თვალები, ფეხის კუნთები. **ქვები:** საფირონი, აკვამარინი, ცირკონი, ციტრინი, ამაზონიტი, ლაბრადორიტი. **პოზიტიური დღეა** ტყუპისთვის, ლომისთვის, მშვილდოსნისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 19 ივნისი, კვირა

**მზე** იმყოფება ტყუპის ზოდიაქოში. ამოდის 04.25 საათზე, ჩადის 19.39 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (03.02) თევზების ზოდიაქოში. ამოდის 23.36 საათზე, ჩადის 20 ივნისს 09.56 საათზე (მთვარის მე-20 დღე იწყება 01.46 საათზე. მე-3 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 00.00 საათიდან 03.02 საათამდე. **ტენდენციები:** დღევანდელი დასვენება შესაძლოა, მეტად ძვირი და ნაკლებად კომფორტული აღმოჩნდეს. სულიერებისკენ მიდრეკილება იმატებს. სასიკეთოა ლოცვა, ქველმოქმედება, საჩუქრის მიძღვნა. კარგი დღეა შემოქმედებისთვის, ქორწინებისთვის, მგზავრობისთვის, მცენარეთა დარგვა-გადარგვისთვის, ხილის წვენების მომზადება-მიღებისთვის. არ არის სასურველი ახალი საქმის დაწყება, საიდუმლო საქმის წარმოება, სესხის გაცემა ან აღება, ალკოჰოლური სასმელების, ფსიქოტროპული და ნარკოტიკული პრეპარატების მიღება. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ტერფები, ნერვული და ლიმფური სისტემა. **ქვები:** მარგალიტი, ალექსანდრიტი, გიშერი, ამეთვისტო, მარჯანი. **პოზიტიური დღეა** თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, სასწორისთვის.

## საეკლესიო კალენდარი

✝ **13 ივნისი. ორშაბათი. სულთმოფენობის შემდგომი დღესასწაული. სულიწმიდის ორშაბათი.**

✝ **14 ივნისი. სამშაბათი.** ღირსთა მოწამეთა: მღვდელმონაზონისა შიო ახლისა, დავით მწირისა, გაბრიელისა, პავლესი და გაბრიელისა, გარეჯელთა, ლეკთაგან მოწყვეტილთა.

✝ **15 ივნისი. ოთხშაბათი. მცხეთის ჯვრის დღესასწაული.** ლომისობა; ნიკიფორე აღმსარებელისა, კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა.

✝ **16 ივნისი. ხუთშაბათი.** მოწამეთა: ლუკილიანესი, კლავდისა, იპატისა, პავლესი, დიონისესი და ქალწულმოწამისა პავლასი.

✝ **17 ივნისი. პარასკევი.** მიტროფანე კონსტანტინოპოლელი პატრიარქისა; მოწამეთა: ფრონტასისა, სევერინესი, სევერიანესი და სილანესი.

✝ **18 ივნისი. შაბათი. სულთმოფენობის დღესასწაულის წარგზავნა.** მღვდელმოწამისა დოროთესი, ტვირელი ეპისკოპოსისა.

✝ **19 ივნისი. კვირა. ყოველთა წმიდათა კვირიაკე:** პეტრეპავლობის მარხვის აღება. ღირსისა ბესარიონ ეგვიპტელისა, სასწაულმოქმედისა.


ელის უნიკალური კრემი და სასწაულმოქმედი სამკურნალო მალამო თქვენი სილამაზისა და ჯანმრთელობისთვის!



ქალბატონი ელი ამაშუკელის საგვარეულო მალამო 14 წელია, უამრავ ადამიანს კურნავს. ჩვენმა უამრავმა პაციენტმა დაამარცხა ძალზე ვერაგი სახსროვანი დაავადებები. შეიმსუბუქეთ მტანჯველი ტკივილები და უარი თქვით ნემსებზე, მედიკამენტებზე, ჰორმონებზე და უშედეგო მკურნალობაზე, გადაყრილ ფულზე. აჩერებს ართრიტის, ართროზის, კოქსართროზისა და ოსტეოპოროზის (და სხვა) პროცესს ძალიან ეფექტურად; აქრობს ანთებას თიაქარის დროს და უბრუნებს სახსარს ქმედითუნარიანობას; კურნავს მუხლის სახსროვან პათოლოგიებს და ხსნის ტკივილს; კვებავს სახსარსა და ძვალს; აფერხებს სითხის განლევას; ხსნის შეშუპებასა და დასიებას; აცხრობს ვენების ანთებით პროცესს; აჩქარებს გაბზარული ძვლის აღდგენას; ამაგრებს ქსოვილებს და მყესებს; აუმჯობესებს კანის სტრუქტურას და მასაჟის ფონზე ერევა ცელულიტს; ხდის კანს ელასტიკურს; შეიცავს უამრავ ვიტამინსა და მინერალს. მალამო არის ქართული საგვარეულო რეცეპტი ბუნებრივი კომპონენტებით.

თბილისი, ფალიაშვილის 81, ვაკის პარკთან
599-22-59-09

საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა



GIDMEDI
GEORGIA - ISRAEL JOINT CLINIC

გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

ნათელმხილველი მერი ლაპაჩი

დაგეხმარებათ ყველა საქმეში, მოგიხსნით ჯადოს და ცუდ აურას. გაგაცნობთ თქვენს წარსულსა და მომავალს სანთლით და ბედის აურის გახსნით.

599 34 08 32, 599 51 93 73

მიღება წინასწარი ჩაწერით დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

მაღაზია «ბუკვიცა»

ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს 1945 წლამდე.

მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.
574-73-46-96, 243-01-17
555-68-82-90



წიგნის მუზეუმის ბუკინისტი:

შეიძენს კოლექციისთვის ძველ წიგნებს 1933 წლამდე გამოშვებულს — 1500 ლარად, ჟურნალებს, ასევე საბავშვო წიგნებს და ჟურნალებს — 1945 წლამდე გამოშვებულს, პლაკატებს, არქივებს, ავტოგრაფებს, ქაღალდის ფულს, მედლებს და ანტიკვარიატს

591-75-35-38


### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მოტოროლა; 8. ღვინო; 12. როტონდა; 13. ნალი. 14. სინეკურა; 15. რბოლა; 16. ყირმიზი; 17. სონი; 18. რეგოლიტი; 22. ბლიცი; 23. მიმასი; 26. სკოტ; 27. მარინისტი; 28. რიკი; 30. ლამბადა; 31. ბიო; 33. კამიკაძე; 36. ფორმა; 37. დიაფანი; 41. ასტრონომია; 43. კატონი; 46. რელიგია; 47. მათემატიკა; 49. რუბაია; 50. მატინე; 53. პავილიონი; 58. კოპიო; 61. ფო; 62. მაგნოლია; 63. რესურსი; 64. უსენი; 65. სარკოზი; 66. სირი; 67. ეპილოგი; 68. ასი; 69. ერა.

შვეულად: 2. ონისე; 3. ოტელო; 4. ოტული; 5. არაყი; 6. სტარტი; 7. ანგინა; 8. ღარიბი; 9. ინოზიტი; 10. ონასისი; 11. კლინტონი; 18. რომი; 19. გერმა; 20. ლენცი; 21. ტესლა; 23. მილედი; 24. მუმია; 25. საათა; 28. რაფი; 29. კურკა; 31. ბაქო; 32. ოსპი; 33. კოსტავა; 34. მარკესი; 35. კანკანი; 38. იარა; 39. ფოლგა; 40. ნაგაი; 42. მეი; 43. კარე; 44. ტაბლო; 45. ნაიბი; 48. კაი; 50. მოა; 51. ტანძია; 52. ნილოსი; 53. პირკე; 54. ვისტი; 55. ლარგო; 56. ოფისი; 57. ნო; 58. კაური; 59. პკე; 60. ოლიფა; 62. მოკო.

მ ა ლ ა გ ა დ ი ა მ ა ნ ტ ი ს ა დ ა ფ ი ო ნ ი ს ე ლ ა პ ი ს ი ნ ე მ ა ნ ი ლ ო ს ი
ს ი ა თ ა მ ა რ ი ნ ა პ ო ლ ი პ ი პ ე ტ ი ც ი ა ლ ი კ ა ნ ი ბ ა ლ ი ს ტ ა ტ ო რ ი

| ესპანური ღვინო | ალმასი, ბრილიანტი (მოძვ.) | მოლუსკი. ნიჟარის შიდა ფენა | მსახიობი ... ონიანი | სამედიცინო მოსაწვავი თეთრი ფხვნილი | მდინარე ბელარუსში | ცხენ-ირემი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხერხემლის ძვალი | სხვისი შვილის გამზრდელი ქალი | ლოგარითმის წილადური ნაწილი | განთიადი (წიგნ.) | წყლის მტაცებელი ცხოველი | კინოს მოძველებული სახელი | მდინარე აფრიკაში |



თარაზულად: 1. მობილური ტელეფონების ამერიკული კომპანია; 8. ყურძნის მათრობელა სასმელი; 12. გუმბათიანი მრგვალი ნაგებობა; 13. საქონლის ჩლიქზე დასაკრავი ფირფიტა; 14. შემოსავლიანი თანამდებობა; 15. სირბილი, რბენა (ძვ.); 16. წითელი (ძვ.); 17. თურქული ტექნიკის ფირმა; 18. მტვრისებური მასალა, რომლითაც დაფარულია მთვარის ზედაპირი; 22. სწრაფად გათამაშებული ჭადრაკის პარტია; 23. პლანეტა სატურნის თანამგზავრი; 26. ამერიკელი მწერალი ფრენსის ... ფიცჯერალდი; 27. მხატვარი, რომელიც ზღვის ხედებს ხატავს; 28. მოკლე ჯოხი; 30. ბრაზილიური ცეკვა; 31. სიცოცხლესთან დაკავშირებული სიტყვის ნაწილი; 33. იაპონელი თვითმკვლელი მფრინავი მეორე მსოფლიო ომის დროს; 36. რისამე გარეგნული მოხაზულობა, მოყვანილობა; 37. მქრქალი ფაიფური; 41. ცის სხეულების შემსწავლელი მეცნიერება; 43. რომის პოლიტიკური მოღვაწე; 46. სარწმუნოება, ანუ? 47. მეცნიერების ერთ-ერთი დარგი; 49. სამიჯნურო ხასიათის ლექსი სპარსულ პოეზიაში; 50. ქალის დილის ერთგვარი ხალათი; 53. ექსპონატების გამოსაფენი შენობა; 58. ასლი; 61. იტალიელი დრამატურგი; 62. დეკორატიული მცენარე თეთრი ყვავილებით; 63. ფულადი სახსრები; 64. ფატმანის ქმარი („ვეფხისტყაოსანი"); 65. საფრანგეთის ყოფილი პრეზიდენტი; 66. იგივეა, რაც ჩიტი (ძვ.); 67. ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 68. განთქმული მფრინავი; 69. ეპოქა, ხანა.

შვეულად: 2. ხევისბერი გოჩას ვაჟი (ალ. ყაზბეგი); 3. უ. შექსპირის დრამა; 4. ჰოლივუდის მსახიობი მამაკაცი; 5. ალკოჰოლური სასმელი; 6. შეჯიბრის დაწყების მომენტი; 7. ხახის ლორწოვანი გარსის ანთება; 8. ხელმოკლე, უქონელი ადამიანი; 9. კუნთის შაქარი; 10. ბერძენი მილიარდერი; 11. აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტი; 18. იტალიის „მარადიული" ქალაქი; 19. ბატის წმინდა ბუმბული; 20. პოლონელი ფერმწერი, გრაფიკოსი; 21. მაგნიტური ინდუქციის ერთეული; 23. ლორდის მეუღლის ხსენება ინგლისში; 24. დაბალზამებული გვამი; 25. სარეველა მცენარე, იკეთებს მზისკენ მოქცეულ ყვავილს; 28. მიკროავტობუსის ტიპი; 29. ატმის, ბლის მაგარნაჭუჭიანი თესლი; 31. აზერბაიჯანის დედაქალაქი; 32. პარკოსანი მცენარე; 33. საქართველოს ეროვნული მოძრაობის ლიდერი; 34. კოლუმბიელი მწერალი; 35. ფრანგული საესტრადო ცეკვა; 38. ღია ჭრილობა; 39. კილიტა; 40. იაპონელი მწერალი; 42. მევიოლინე ვანესა ...; 43. თმის ერთგვარი ვარცხნილობა; 44. შუქოვანი სასიგნალო დაფა; 45. მმართველი შამილის საიმამოში; 48. ვაჟა-ფშაველა — „... ყმა"; 50. გადაშენებული მორბენალი ფრინველი; 51. სოფელი ბოლნისის რაიონში; 52. მდინარე აფრიკაში; 53. ტუბერკულოზის სინჯი კანზე; 54. ბანქოს ერთგვარი თამაში; 55. ნელი ტემპის აღმნიშვნელი ტერმინი (მუს.); 56. სამმართველო, კანტორა ინგლისსა და აშშ-ში; 57. იაპონური თეატრი; 58. შუა სარმა ქართულ ჭიდაობაში; 59. ღვინის ობი; 60. მოხარშული ტექნიკური ზეთი; 62. ყავის სახეობა.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| ჩამონათვალი | საქართველოს ქალი მეფე | იტალიის საფეხბურთო კლუბი | თხევადი წამლის ჩასაწვეთებელი მილაკი | ციმციმი | კატიჟამია, ველური | ელმანქანის უძრავი ნაწილი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ძველებური თოფი | სურათი ზღვის ხედით | ცხვირის ღრუს კეთილთვისებიანი სიმსივნე | წერილობითი კოლექტიური თხოვნა | ქართული მინერალური წყალი | ლოდსატყორცნი მანქანა (ძვ.) | ნადირის თათი |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.


დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს

დამოუკიდებელი და ზეპარტიული

**ასავალ დასავალი**

2022 წლის 13 — 19 ივნისი №25 (1437)

გამოდის ორშაბათობით

მეტაპროექცია "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"

სარედაქციო კოლეგია

*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ მისამართზე: **თბილისი, 0160, „ასავალ-დასავალი"**.
ტელეფონები: **215-25-25; 215-35-35; (+995) 570-50-50-50; (+995) 570-50-50-70**
„ასავალ-დასავალის" ვებ-გვერდი ინტერნეტში: **www. asavali.com**
ელ-ფოსტა: **mail@asavali.com** ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე:
**www.facebook.com/Asavali.com** გაზეთი დაბეჭდილია **„ასავალ-დასავალის" სტამბაში.**


